# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№7 (154). 30 მარტი – 12 აპრილი, 2012 წ. სამხედრო-

## სიახლე!

**ააწყვე საკუთარი ხელით!**
**საბრძოლო ტექნიკა 3D მოდელი**

ფასი 3,5 ლარი




„არსენალთან“ ერთად 5 ლარი

## ექსკლუზივი: „ნებაყოფლობითი რეზერვისტების“ ნაამბობი

## დამატებითი ქართული ბატალიონი ავღანეთისთვის

## ბრიტანელი მზვერავისგან გაწირული ქართველი აგენტები

## ყველაზე ძლიერი ჯიბისპისტოლეტი

**ამ ნომერთან ერთად: „სუპერკობრა“ AH-1W შენს თაროზე –**

ინსტრუქცია ამერიკული საბრძოლო შვეულმფრენის მოდელის ასაწყობად



ეროვნული ბიბლიოთეკა



## რა სურთ მექსიკელ ინდიელებს?

24



## სუეცის კრიზისი

21



## Су-25 წერტილოვანი დარტყმისთვის

16

## ომისწინანდელი ბრიტანული ტანკები




30



## ირანის სახმელეთო ქალები

44



## სნაიპერები ჩეჩნეთის ომში

35

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**
4 სამხედრო სიახლეები

**მისია**
6 დამატებითი ბატალიონი ავღანეთისთვის

**???????**
7 „ნებაყოფლობითი რეზერვი“ თუ „შეიარაღებული უკანონო ფორმირება“?

**ერაყის ომი**
9 სამხედრო თარჯიმანის თვალით დანახული ერაყი

**ენერგეტიკული საფრთხე**
11 ფარული ბრძოლა სტრატეგიული გაზსადენების გასაკონტროლებლად

**რეგიონი**
14 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

**ტექნიკის მოდერნიზაცია**
16 რუსეთი Су-25-ს წერტილოვან დარტყმებს „ასწავლის“

**სპეცსამსახურების არქივიდან**
18 ბრიტანელი მზვერავისგან გაწირული ქართველები

**ლოკალური ომები**
21 სუეცის კრიზისი

**კრიზისები, კონფლიქტები, ომები**
24 რა სურთ მექსიკელ ინდიელებს მთავრობისგან

**ტანკმშენებელი ქვეყნები**
30 ბრიტანული ჯავშანტექნიკა — 1920-39 წლების ტანკები

**გამოცდილება**
35 სნაიპერები ჩეჩნეთის ომში

**100 დიდი მხედართმთავარი**
38 სალადინი

**ინოვაციური ტექნოლოგიები**
40 უჩვეულო უპილოტოები

**ომის წინ?**
44 ირანის სახმელეთო ძალები

**ჩანახატი**
47 ღამის რაინდები

**კოლექცია**
50 შექმენი შენი არსენალი „არსენალთან“ ერთად

**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**
53 ყველაზე ძლიერი ჯიბის პისტოლეტი

გარეკანზე: ბრიტანული ძირითადი საბრძოლო ტანკი Challenger 2


პალიტრა მედია

## რედაქციისგან

პოლიტიკურ ბრძოლაში შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ჩარევა ძალზე სახიფათო საქმეა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობის უფლება აქვს, მაგრამ კატეგორიულად ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრობა. პენტაგონის წარმომადგენლები ურჩევენ ქართველ კოლეგებს, რომ ქართულმა ჯარმა დაიცვას პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და სამხედრო უწყება აპოლიტიკური იყოს.

რაც შეეხება ნებაყოფლობით რეზერვს, პრობლემა მისი ჩამოყალიბება კი არა, არამედ ის არის, თუ როგორ გამოიყენებს მას ხელისუფლება.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
26.03.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

# საფრანგეთის კონტრდაზვერვა გაფიცვისთვის ემზადება



საფრანგეთის უშიშროების ცენტრალური სამმართველოს კონტრდაზვერვის მუშაკთა პროფკავშირმა თავის აქტივისტებს სამსახურში გამოუცხადებლობისკენ მოუწოდა. დაიწყება თუ არა უპრეცედენტო აქცია, ეს უახლოეს მომავალში, პროფკავშირში დაგეგმილ თათბირზე გადაწყდება.

შპიონაჟთან, ტერორიზმსა თუ ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლ ფრანგებს თურმე თვალში თავიანთი უწყების საკადრო პოლიტიკა არ მოსდით. უფრო კონკრეტულად კი მათი უკმაყოფილების მიზეზი ცოტა ხნის წინ ოპერატიულ თანამდებობაზე ადმინისტრატორის და არა „საველე აგენტის“ დანიშვნა გახდა.

ოთხი ათასიდან ზუსტად რამდენი კონტრშზვერავი გამოუცხადებს ბოიკოტს სახელმწიფო სამსახურს, წინასწარ ძნელი სათქმელია, მანამდე კი სამმართველოს თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ მათი პროტესტი პოლიტიკას არ უკავშირდება და მხოლოდ საკადრო საკითხს ეხება.

არადა, კონტრშზვერავთა უკმაყოფილების „პოლიტიკურობის“ ეჭვს, ქვეყნის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი პუნქტი ბადებს, რომელიც ქვეყნის სპეცსამსახურებში ძირეული რეფორმების გატარებას გულისხმობს.



# ამერიკელი საზღვაო ქვეითები „ტკივილის სხივით“ აღიჭურვნენ

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს არალეტალური შეიარაღების სამმართველომ ელექტრომაგნიტური ქვემეხი წარმოადგინა, რომელსაც 1 კმ-ზე მძლავრი სითბური სხივის გაშვება შეუძლია. იარაღს „ტკივილის სხივი“ შეარქვეს. ის ავტომობილზე დამონტაჟდება და, ძირითადად, მასობრივი არეულობის დროს ადამიანთა დიდ ჯგუფებზე ზემოქმედებისთვისაა გამიზნული.

სითბური გამოსხივების ქვემეხის შექმნაზე დაახლოებით 120 მლნ დოლარი დაიხარჯა და პირველად ჯერ კიდევ 2007 წელს წარმოადგინეს. თავდაპირველად ახალი იარაღის მიწოდება ერაყში საზღვაო ქვეითებისთვის იგეგმებოდა, მაგრამ მიზეზთა გამო, სამხედროებმა ის მხოლოდ 2010 წელს ავღანეთში მიიღეს, თუმცა იარაღმა ხარვეზების გამო ვერც მაშინ პოვა გამოყენება. როგორც ჩანს, ამჟამად ტექნოლოგია დაიხვეწა და სითბური გასხივების ქვემეხი გამოყენებისთვის მზადაა.

რაც შეეხება ამ არამომაკვდინებელ საშუალებას, ის მიკროტალღური ღუმელის პრინციპით მუშაობს, თუმცა მისგან ტრავმის მიღების რისკი უფრო მცირეა, ვიდრე, მაგალითად, რეზინის ტყვიებისა თუ ცრემლსადენი გაზისგან. იარაღი 11 ათას კაცზე გამოცადეს, რომელთაგან მეორე ხარისხის დამწვრობა მხოლოდ ორმა მიიღო. აშშ-ის არმიის კვლევითი ლაბორატორიის წარმომადგენლის თქმით, სითბური გამოსხივება არ იწვევს ორგანიზმში სიმსივნური წარმონაქმნის გაჩენას თუ არსებულის გამიზეზებას, უშვილობას ან სხვა რაიმე დეფექტს.

რაც შეეხება იარაღის მოქმედების ეფექტს, მის გამოცდაში მონაწილე ერთ-ერთი საზღვაო ქვეითის აღწერით, სხივის ზემოქმედებით ისე დასცხა, თითქოს ღია ღუმელთან იდგა და მისგან სასწრაფოდ გაცლის სურვილი გაუჩნდა.



# ამერიკელებს აშშ-ის სამხედრო ძლიერების აღარ სჯერათ

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ამერიკელთა მხოლოდ 54%-ს მიაჩნია სამხედრო თვალსაზრისით აშშ მსოფლიოს ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ. გამოკითხვა კომპანია Gallup-მა ჩაატარა და საინტერესოა, რომ პროცენტული მაჩვენებელი მამაკაცებსა და ქალებს შორის განსხვავებული აღმოჩნდა. მაგალითად, აშშ-ს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სამხედრო სახელმწიფოდ მამაკაცთა 66% მიიჩნევს, თუმცა ეს მხოლოდ ქალების 44%-ს სჯერა.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ჩატარებულ მსგავს გამოკითხვაში აშშ-ის პირველობას ამერიკელთა 64% აღიარებდა. არადა, ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტმა უკვე 700 მლრდ დოლარს მიაღწია და ერთად აღებული სხვა სახელმწიფოების მიერ თავდაცვაზე გაწეულ ხარჯებს უტოლდება.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# BAE Systems-ი ამერიკელებს ახალ ჯავშანჟილეტებს მიაწვდის



კომპანია BAE Systems-მა აშშ-ის სამხედრო შესყიდვების სააგენტოსგან ახალი ტაქტიკური ჯავშანჟილეტების მიწოდებაზე კონტრაქტი მიიღო, რომელიც ოთხწლიანია და ქვეყნის თავდაცვის უწყებას 267 მლნ აშშ დოლარი დაუჯდება. გარიგების თანახმად, ახალი ჯავშანჟილეტების პირველი პარტია მეომრებმა უკვე 2013 წლის თებერვალში უნდა მიიღონ.

კომპანიის ვებგვერდის ცნობით, კონტრაქტით გათვალისწინებულია ორივე სქესისთვის განკუთვნილი, როგორც ჩვეულებრივი (Outer Tactical Vest, OTV), ისე გაუმჯობესებული (Improved Outer Tactical Vest, IOTV) ჯავშანჟილეტების მიწოდება. ჯავშანჟილეტები მყარი ფირფიტებისა და რბილი დანამატებისგან შედგება, რაც მოხვედრისას ტყვიისა და ნამსხვრევების ამორტიზებას იწვევს. ფირფიტა 7,62 მმ-იანი ტყვიისთვის შეუვალია.

ჯავშანჟილეტის გაუმჯობესებული ვერსია 2,7 კგ-ით მსუბუქი და მოხერხებულია, რაც ჯარისკაცს უფრო თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს.

# მსუქან ბრიტანელ პოლიციელებს ხელფასს ჩამოაჭრიან

ბრიტანელ პოლიციელებს, რომლებიც ფიზკულტურაში ჩათვლებს ზედიზედ სამჯერ ვერ ჩააბარებენ, დისციპლინურ და ფინანსურ სანქციებს დააკისრებენ.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების დაკვეთით მომზადებული ანგარიშის თანახმად, ლონდონის პოლიციის მოსამსახურეთა 64% ზედმეტ წონას უჩივის. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში სიმსუქნე სხვადასხვა დაავადებითაა გამოწვეული, მაგრამ ეს შეღავათს არ ითვალისწინებს, „პუტკუნა სამართალდამცველებს" ხელფასიდან 8% დაექვითებათ, რაც ზოგიერთ თანამდებობაზე წლიურ 3 ათას გირვანქას უტოლდება.

ანგარიშის მიზანი პოლიციის ბიუჯეტის 20%-ით შემცირებისთვის მომზადებაა. სავარაუდოდ, მომავალში მსუქან პოლიციელებს მხოლოდ ხელფასის დაკლებას არ აკმარებენ და საპენსიო ასაკის გაზრდითა და ზოგ შემთხვევაში სამსახურიდან დათხოვნითაც დასჯიან.




F 13 148

# ბანგკოკის აეროპორტში ტურისტებს სალაღაზმელი გოგონები მიუჩინეს

ტაილანდის პოლიცია ამაყობს თავისი სპეცრაზმის დანაყოფით, რომელიც მთლიანად ქალებითაა დაკომპლექტებული. ეს, ე.წ. „ტკბილი ასეული" სპეციალურად ადამიანების მასასთან ურთიერთობისთვისაა მომზადებული, ბანგკოკის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრების რიგებს მოაწესრიგებს და უცხოელ ტურისტებს შეამოწმებს. მისია ერთობ საპასუხისმგებლოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტაილანდის აეროპორტში მგზავრთა ნაკადი თუ არ იმატებს, არც კლებულობს. მაგალითად, ამ წლის იანვარში აეროპორტი ტურისტთა მოზღვავებას ვეღარ გაუმკლავდა, რასაც მოსაცდელ დარბაზში საპასპორტო კონტროლისას გიგანტური რიგები და აურზაური მოჰყვა. და აი, ამიერიდან ადამიანთა რიგებში წესრიგს „ტკბილი ასეულის" გოგონები დაიცავენ და საეჭვო მგზავრებს პასპორტებს მოღიმარი სახით შეუმოწმებენ და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მის მოწესრიგებაში ადგილზევე დაეხმარებიან.

# წყალქვეშა ნავებზე ცეცხლს რობოტი-მეხანძრეები შეებრძოლებიან



მეხანძრეობა რომ გმირული პროფესიაა, ყველამ ვიცით, თუმცა მცურავ საშუალებებზე, განსაკუთრებით წყალქვეშა ნავზე გაჩენილ ცეცხლთან ბრძოლა, ერთიორად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა და ამიტომ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების კვლევით-სამეცნიერო ლაბორატორიამ მცურავ საშუალებებზე ხანძართან მებრძოლი რობოტების შექმნა გადაწყვიტა. ახალი ჰუმანოიდი რობოტი-მეხანძრე SAFFiR-ი რობოტ CHARLI-L1-ის ბაზაზე შეიქმნება, ცეცხლთან საბრძოლველად მუდმივად სრულ მზადყოფნაში იქნება და მუშაობას ისეთ გარემოშიც (მაღალი ტემპერატურა, ტოქსიკური აირები) შეძლებს, სადაც ადამიანი უბრალოდ ვერ გადარჩება. რობოტი ადამიანის მსგავსია: აქვს ორი ხელი და ფეხი, თავში კი კამერები და თბოგიზორებია ჩამონტაჟებული, რითაც კვამლით დაბურულ სივრცეშიც „დაინახავს". ის კიბეზეც ადის და ლიუკში ჩაძრომასაც ახერხებს. SAFFiR-ის მისია მარტივია (ცეცხლის ჩაქრობა) და ავტონომიურ რეჟიმშიც მუშაობა შეუძლია. ცეცხლთან მებრძოლ რობოტს დამუხტული ბატარეა 30 წუთს ჰყოფნის.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დამატებითი ბატალიონი ავღანეთისთვის

საქართველოდან ავღანეთში მალე დამატებით კიდევ ერთი გაძლიერებული ქვეითი ბატალიონი გაიგზავნება და ქართული სამხედრო კონტინგენტის საერთო რიცხოვნობა ISAF-ის შემადგენლობაში 1685-ს მიაღწევს.

დღეს ავღანეთში, ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე NATO-ს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი — 1550 კაცი ავსტრალიას ჰყავს.

როგორც ჩანს, რამდენიმე კვირაში 23-მლნ-იანი ავსტრალია პირველობას 4,5 მლნ-იან საქართველოს დაუთმობს, რაც შეიძლება ზოგიერთი პოლიტიკოსისა და საზოგადოების ნაწილისთვის საამაყოდ იქცეს.

თუმცა, მეორე მხრივ, დღევანდელი 935-დან 1685-მდე, მომატებული ქართული სამხედრო კონტინგენტის რიცხოვნობა სერიოზულად იმოქმედებს საბრძოლო დანაკარგის რიცხვის შესაძლო გაზრდაზე, მით უმეტეს, რომ დამატებითი ბატალიონიც პლანეტის ყველაზე ცხელ წერტილში — ჰილმენდის პროვინციაში იგზავნება.

საგულისხმოა სხვა გარემოებაც: უზარმაზარი ქვეყანა — ავსტრალია (მას მთელი კონტინენტი უკავია), რომელსაც 51,5-ათასკაციანი შეიარაღებული ძალები ჰყავს, ავღანეთში 1550 კაცს გზავნის, მისთვის პირველობის ჩამორთმევის მსურველი პატარა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა მხოლოდ 37 ათასი კაცითაა განსაზღვრული. თუმცა ეს ციფრი მხოლოდ ქაღალდზეა, რადგან რეალურად ქართული არმიის რიცხოვნობა, სავარაუდოდ, ნაკლებია.

ავსტრალიას შეუძლია ავღანეთში ჰყავდეს თავისი შეიარაღებული ძალების 3%-მდე, თუნდაც იმიტომ, რომ მისი მეზობელი რუსეთი არ არის. სამაგიეროდ, რუსეთისნაირი საშიში მეზობლის (რომელსაც საქართველოს 20% აქვს ოკუპირებული) მყოლი ქვეყანა თავს უფლებას აძლევს, 2 ათასი კმ-ის დაშორებით გაგზავნოს შეიარაღებული ძალების 4,6%. თუმცა, ეს — ქაღალდზე, რადგან რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, ეს პროცენტი ბევრად მაღალია.

ქართული კონტინგენტის წელიწადში ორჯერ როტაციის პროცესისას ეს პროცენტი კიდევ უფრო იზრდება, რადგან ავღანეთში ნახევარწლიანი მივლინებიდან დაბრუნებულ ჩვენს სამხედროებს აუცილებლად სჭირდებათ რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის პროცესში (ორი-ოთხი კვირა) ბატალიონის ბრძოლისუნარიანობა მკვეთრადაა შემცირებული, რაც შეაფერხებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ყოველივე ამით მხოლოდ ერთი რამის თქმა გვინდა: ჩვენი ქვეყნისათვის, რომლის ნაწილი ოკუპირებულია, ხოლო ხელისუფლება მოსახლეობას მუდამ ახსენებს რუსეთის სამხედრო აგრესიის საშიშროებას (რაც სულაც არ არის გამორიცხული), ძალზე დიდი ფუფუნებაა, 2 ათასი კმ-ის დაშორებით შეიარაღებული ძალების ყველაზე ბრძოლისუნარიანი დაჯგუფების მნიშვნელოვანი ნაწილის გაგზავნა. კრიტიკულ შემთხვევაში მათი დროული დაბრუნება და საქართველოს დაცვაში სრულფასოვანი მონაწილეობა შეიძლება ძალზე გაჭირდეს, რისი მწარე მაგალითიც გახლდათ 2008 წლის აგვისტოს ომი. იმ დროს ერაყში 2 ათასამდე ქართველი სამხედრო იმყოფებოდა.

**ირაკლი ალადაშვილი**

ქართველი სამხედროები ავღანეთში წასვლის წინ შხადების დროს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნებაყოფლობითი რეზერვი“ თუ „შეიარაღებული უკანონო ფორმირება“?



**„ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან მოვიდა უწყება, რომ ნებაყოფლობითი რეზერვი იწყება და 40-წლამდე ასაკის მამაკაცები რეზერვში ვიყავით გაწვეული... რადგან დროებით უმუშევარი ვარ, ვიფიქრე, მაინც არაფერს ვაკეთებ და წავალ-მეთქი. ჩემთან ერთად სხვებიც ჰყოლიათ დაბარებული. ეს ჩემთვის პირველი შემთხვევა არ ყოფილა, ადრეც ვყოფილვარ რეზერვში, მაგრამ ეს ცოტა განსხვავებული იყო“, – თუ რაში გამოიხატება „ცოტა“ განსხვავება, ამის შესახებ ჟურნალ „არსენალს“ უამბობენ ჩვენი რესპონდენტები, რომლებიც თავად იყვნენ ბოლოს ძალიან აქტუალური და სადავო თემის შემსწრე, რომელსაც მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ.**

20 მარტს კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა ირაკლი ალასანიამ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიმართა. პოლიტიკოსის თქმით, მას აქვს მონაცემები დასავლეთ საქართველოში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნის შესახებ. მან ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს მიაწოდა დოკუმენტი, სადაც ირაკლი ასალანია იმ დაჯგუფებების წევრებს ასახელებდა, ვისაც ხელისუფლება უკანონო ნაღდი ფულით აფინანსებს. კითხვაზე, თუ რატომ იქმნება ასეთი ჯგუფები მაინცდამაინც სამეგრელოში, ალასანია პასუხობს: „სამეგრელო წარმოადგენს საქართველოს ელექტორატის ძალიან დიდ ნაწილს. სწორედ ეს უკავშირდება არჩევნებს. უნდათ იქ დაშინებული იყოს საზოგადოება. ახალაიების კლანი დიდი ხანია შიშს ამკვიდრებს საზოგადოებაში. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თბილისშიც იქმნება ასეთი დაჯგუფება. უახლოეს პერიოდში, როდესაც კიდევ ერთხელ გადავამოწმებთ ამ მონაცემებს, საზოგადოებას გავაცნობთ მათ“.

## „ეს რეზერვი წინასგან ცოტა განსხვავებული იყო“

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიას შეფასებით, „სრულიად გაუგებარია მოსაზრება, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიცია და შეიარაღებული ძალები არაფორმალური, უკანონო შენაერთები არიან. მით უმეტეს ალმაშფოთებელი და უპასუხისმგებლოა სამოქალაქო ომის ან სირიის ქალაქ ჰომსის მსგავსი ტრაგედიის წინასწარმეტყველება საქართველოში.

მოწოდებული მასალა არათუ არ შეიცავს რაიმე ღირებულ ინფორმაციას, მასში უბრალოდ ჩამოთვლილია მოქმედი სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების სახელები და გვარები, მათ შორის არიან საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, პოლიციის რეგიონული დანაყოფების უფროსები, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მაღალი რანგის ოფიცრები“, — ნათქვამია უშიშროების საბჭოს ოფიციალურ განცხადებაში.

როგორ ზემოთ აღვნიშნეთ, „არსენალი“ იმ ადამიანებს დაუკავშირდა, ვინც „ნებაყოფლობით რეზერვში“ იმყოფებოდა;

**თორნიკე, 24 წლის, სოფელ ჯიხაშკარის მკვიდრი:** „თავდაცვის სამინისტროდან მიღებული უწყების საფუძველზე წავედი რეზერვში. განსხვავებული არ ყოფილა. სასწავლო წვრთნებს გავდიოდით და დისლოკაციის ადგილიდან ბაზაში თავდაცვის სამინისტროს „პიკაპებით“ დავდიოდით. დასავლეთ საქართველოს კონფლიქტის ზონა ესაზღვრება და საფრთხე ყოველ წუთს არსებობს, ამიტომაც რამდენჯერაც იქნება საჭირო, იმდენჯერ წავალ რეზერვში. სოფელში დაბრუნებულებს გვითხრეს, ვერც კი გაიგეთ, ისე დაგარეგისტრირეს უკანონო შეიარაღებულ ჯგუფშიო, არადა, ჩემთან ერთად 100-მდე რეზერვისტი იყო და რეგისტრაცია ყველამ გაიარა. დავიჯერო, ჩალით არის ეს ქვეყანა დახურული?!“

**არჩილი, 37 წლის:** — რეზერვში ბოლოს გასული წლის მიწურულს ვიყავით. სენაკში წაგვიყვანეს და კარვებში დაგვაბინავეს. ჩვეულებრივ, დილას 6 ზე ვიღვიძებდით, მოწყობაზე ვდგებოდით და შემდეგ ვვარჯიშობდით, როგორც ფიზიკური მომზადება, ისე სასროლო წვრთნებიც გვქონდა. ბოლო რეზერვში კი რამდენიმესაათიანი სასროლო წვრთნები გვქონდა, ჩვეულებრივ, იარაღის მოხმარებას გვასწავლიდნენ, საღამოობით კი თეორიული ნაწილი დაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემატა, რაც პატრიოტულ თემებსა და მტრის თავიდან აცილების საფრთხეებს მოიცავდა. ხელმძღვანელობის თქმით, ჩვენი სახელმწიფოს მთავარი NATO-ს ალიანსში გაწევრებაა. თუმცა, „ვიღაც ძალებს“ სხვა მიზნებიც ჰქონდათ. სამხედრო პირები, განსაკუთრებით კი, რეზერვისტები, შეკითხვებს არ სვამენ, დავალებას გაძლევენ, რომელიც უნდა შეასრულო, ამიტომაც არავის უკითხავს, ვის არ უნდოდა NATO-ში შესვლა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა, დაკარგულ ტერიტორიებსა და კონფლიქტის ზონის პირა რაიონებში მოსალოდნელ საფრთხეებზე.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბოლო რეზერვში, ძირითადად ნასამართლევი პირები და ვადაზე ადრე გათავისუფლებული პირები გამოიძახეს.**

— დიახ, ამის შესახებ ჩემს სოფელშიც გავრცელდა ინფორმაცია, მაგრამ ჩემთან ერთად, როგორც გითხარით, ძალიან ბევრი უცხო იყო, არც ერთი თანასოფლელი არ შემხვედრია. ამიტომაც ვერ გეტყვით, ვინ იყვნენ ისინი. გარდა იმისა, რომ რეზერვისტვის კვალობაზე ბევრად პროფესიონალურად ფლობდნენ იარაღს, სხვა არაფერი შემიმჩნევია.

**— როგორც აღნიშნეთ, ეს რეზერვი თქვენთვის პირველი არ იყო, შესაბამისად, იარაღის მოხმარება, ურთიერთობა არც თქვენ უნდა გიჭირდეთ.**

— იარაღის გამოყენება იმ დონეზე ვიცი, რაც რამდენიმე თვის წინანდელ რეზერვში მიღებული სწავლებისგან შემომრჩა. რეზერვისტვი კი, მოგეხსენებათ, პროფესიონალურ ცოდნას ვერ მიიღებს. გარდა ამისა, ბოლო რეზერვს ჩემთვის უფრო იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე სამხედრო. ბევრს გვესაუბრებოდნენ მოსალოდნელ ხიფათზე, ბუნებრივ კატაკლიზმებზე.

**— შიდა არეულობაზე?**

— კი, ოღონდ ამას უფრო ზოგადად. რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ ყველა ქართველი მამაკაცი შეძლებისდაგვარად მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო მომზადებული და ნებისმიერი საფრთხისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით.

**ირაკლი, 32 წლის:** — მესამედ წავედი რეზერვში. ბიჭებმა თქვეს, ნებაყოფლობითია და ვინც საკუთარი სურვილით წავა, ხელფასის სახით რაღაც თანხას უხდიანო. წარმოიდგინეთ სოფელში რა მდგომარეობაა. უსაქმურად ყოფნა უკვე ყელში აქვს ყველას ამოსული და ვიფიქრე, კიდევ ერთხელ წავალ, რამდენიმე დღით ჯანმრთელი ცხოვრების რეჟიმს მაინც დავუბრუნდები, თუ ფულსაც მომცემენ, მაგას რა სჯობს-მეთქი. ჩემდა გასაკვირად, იქ რეზერვისთვის დამახასიათებელი რეჟიმი არ ყოფილა. დილას ადრე ვდგებოდით, ოღონდ მოწყობაზე არავინ მიდიოდა, ვერ გავიგე, სურვილის მიხედვით იყო თუ აუცილებელი. ვჭამდით, ვვარჯიშობდით, რამდენიმე კილომეტრს გავრბოდით და შემდეგ იარაღის მოხმარებას ვსწავლობდით. რეზერვის შემდეგ მკითხეს, შენთან ერთად „ზვიადისტებიც“ იყვნენო? — ჩემს სოფელში უმეტესობა ზვიადისტი იყო, მათ შორის ჩემი ოჯახიც და ამაში გასაკვირი არაფერია. უბრალოდ, წამოსვლის დღეს გაგვაფრთხილეს, შესაძლოა, კიდევ დაგვჭირდეთ და ეცადეთ, რაიონიდან არ გახვიდეთო.

**— თანხა მოგცეს?**

— არა, ჩემთვის არაფერი მოუციათ, მაგრამ რამდენიმეზე თქვეს, რომ ავანსად მართლაც მისცეს რაღაც თანხა.

**— იცნობთ იმ პირებს, ვისაც თანხა მისცეს?**

— შორიდან, ვიცი, მაგრამ განსაკუთრებული პოლიტიკური აქტიურობით არ გამოირჩევიან. აქ რაიონია და ყველა ცდილობს ისე იცხოვროს, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან პრობლემები არ შეექმნას. ამიტომაც უმეტესობა, რასაც ეტყვიან, იმას აკეთებენ. მათ კრიმინალურ წარსულზე არაფერი მსმენია, თუმცა ისიც ითქვა, რომ მათ იარაღის ტარების უფლება მისცეს. მე იმან გამაკვირვა, რომ ყოველ საღამოს ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები მოდიოდნენ და აღრიცხვას აწარმოებდნენ.

**— თეორიული მომზადება გქონდათ?**

— დიახ, მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის მზადყოფნას გვასწავლიდნენ, მაგრამ უჩვეულო არაფერი შემინიშნავს; წვრთნები გავიარეთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ წყალდიდობის, მიწისძვრისა და სხვა სტიქიური უბედურებების დროს.

**მერაბი, 27 წლის:** — მეორედ წავედი რეზერვში. სამხედრო სამსახურში ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას და როცა გავიგე, ნებაყოფლობითი იყო, ვიფიქრე, იქნებ რამეში წამადგეს-მეთქი. ამიტომაც არც დავფიქრებულვარ. ხელმძღვანელობამ, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს რაიონულ წარმომადგენლად გაგვეცნენ, გვითხრეს, რომ ეს „NATO-ს სტანდარტების მოთხოვნაა“, რომ ნებისმიერი საგანგებო სიტუაციისთვის მზად უნდა ვიყოთ. ლაპარაკი იყო, კონფლიქტის ზონიდან მოსალოდნელ საფრთხეზეც. ბოლო წლებში არაფერი გამიგია, შევარდნაძის ხელისუფლების დროს მართლაც გადმოდიოდნენ შეიარაღებული აფხაზები და მოსაზღვრე სოფლების მოსახლეობას აყაჩაღებდნენ. ბოლო წლებში მსგავსი არაფერი გამიგია.

**— რამდენი დღე იყავით რეზერვში?**

— 2 დღე წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ვიყავით, სამწუხაროდ, სოფლის სახელი არ მახსოვს. შემდეგ წაგვიყვანეს კი სოფელ ჯიხაშკარში, სადაც 4 დღე ვიყავით დაბანაკებული. ანუ სულ 6-დღიანი რეზერვი გამოვიდა...

***ნინო აფხაზავა***

**მთავარი პრობლემა არა რეზერვის ესა თუ ის სახეა, არამედ რამდენად კანონიერად და ეფექტურად გამოიყენებს მას ქვეყანა...**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამხედრო თარჯიმანის თვალით დანახული ერაყი



**საქართველოს შეიარაღებული ძალების უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სამსახურის შესახებ კამათი არ წყდება. საზოგადოებაში ამ თემაზე აზრთა სხვადასხვაობა ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როცა 2003 წელს ერაყის ქალაქ თიქრითში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად პირველი ქართული ოცეული გაემგზავრა, მოგვიანებით კი ქართველ სამხედროთა რაოდენობა გაიზარდა. რა პირობებში უწევდათ ქართველ სამხედროებს ერაყში სამსახური, როგორი იყო მათი დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობასთან და რას აკეთებდნენ მათი ნდობის მოსაპოვებლად, ამის შესახებ ქართველი სამხედრო თარჯიმანი, პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ზვიად ტყაბლაძე გვესაუბრება:**

— აზიის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათ კულტურას, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას, წეს-ჩვეულებებსა და ხალხს კარგად ვიცნობ. როცა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ერაყში სამშვიდობო მისიით მორიგი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა გადაწყვიტა, ორ ჩემს კოლეგასთან, ლევან აბულაძესა და გიორგი აბაზაშვილთან ერთად, ერაყში მეკავშირე-თარჯიმნად და ქვეყნის საკითხებში მრჩევლად წასვლა შემომთავაზეს. მოგეხსენებათ, ერაყში საომარი ვითარებაა, ავღანეთის შემდეგ ეს ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ ცხელ წერტილად ითვლება და იქ ყოფნა სარისკოა. ამიტომაც თავდაცვის სამინისტროში გასაუბრებაზე დამიბარეს და ჩემი ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად გამაცნეს.

გასაუბრების შემდეგ, 2007 წელს ერაყში გამგზავრებამდე, ერთი-ორი თვით ადრე, საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეით ბრიგადაში ვმსახურობდი და შემდეგ III ქვეით ბრიგადასთან ერთად ქუვეითში ამერიკის სამხედრო ბაზა „ვირჯინიაში“ მიმავლინეს, სადაც ერაყის გათავისუფლების ოპერაციაში (OIF) მონაწილე სხვა კოალიციური ძალები სპეცმომზადებას გადიოდნენ.

სამხედრო მომზადება მეც გავიარე.

აღმოსავლეთში გამგზავრება ყოველთვის მაინტერესებდა, მით უფრო, საერთაშორისო სამშვიდობო მისიით, თან ჩემს თანამემამულეებთან ერთად, ვიცოდი, რომ იქ ყოფნა საინტერესო და ნაყოფიერი იქნებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე, I-ლი ქვეითი ბრიგადის როტაციის შემდეგ, IV ქვეით ბრიგადასთან ერთად, რომელსაც მალე ჩამოსვლა უწევდა, ერაყში დავრჩენილიყავი, მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ყველაფერი შეცვალა და ქართული კონტინგენტი საქართველოში დაბრუნდა.

**— ერაყში ყოფნისას თქვენ რა გევალებოდათ?**

— მეკავშირე-თარჯიმანი (LNO) ვიყავი. როგორც სხვა სამხედროებს, ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი და იარაღი მქონდა. ქართველების ძირითადი კონტინგენტი წითელ ზონაში, ბაზა „დელტაში“ ვასითის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრთან, ქალაქ ალ-კუტში იყო დისლოცირებული. ეს ადგილი ბაღდადიდან სამხრეთით, 160 კმ-შია. მეორე ნაწილი — ბაზა „ქლეარში“, ხოლო ერთი ქვედანაყოფი კი ერაყის დედაქალაქ ბაღდადში, სადამ ჰუსეინის ერთ-ერთ სასახლეში, მწვანე ზონაში იყო. ბაღდადში მუდმივად იმაზე ვფიქრობდი, რომ ამ ქვეყანას წლების განმავლობაში ქართველი მამლუქები მართავდნენ. ვმუშაობდით შტაბში, დავდიოდით შეხვედრებზე არაბ და ქურთ მოსახლეობასთან, სოფლის თავკაცებთან, შეიხებსა და გლეხებთან. ყველა მათგანთან სპეციფიკური მიდგომა იყო საჭირო. ჩვენი სამხედროები რაიონებსა და სოფლებში პატრულირებდნენ: — საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე მანქანებს ჩხრეკდნენ, რათა ტერორისტებს უკანონო იარაღი, ასაფეთქებელი მოწყობილობა ან სხვა აკრძალული ნივთები არ გადაეტანათ. როცა ჩვენი სამხედრო ექიმები მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწევდნენ, ჩვენ მათ დიალოგებს ვთარ-

გმნიდით. არაბულენოვანი თარჯიმნების გარდა, ერაყში იყო ქართველ ოფიცერთა ინგლისური ენის თარჯიმანთა ჯგუფი, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბიდან და სხვადასხვა ბრიგადიდან მიავლინეს. მათ NATO-ს ქვეყნებში უკვე ჰქონდათ მრავალი სწავლება გავლილი. ბევრი მათგანი დღესაც ავღანეთში მსახურობს, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში (ISAF) მონაწილეობს.

ქართული ქვედანაყოფები ერაყში 2003 წლიდან მსახურობენ. ამიტომაც ერაყელებისთვის ქართველების იქ ყოფნა უცხო არ ყოფილა. თავიდან იქ სულ სამი ქართველი თარჯიმანი ვმუშაობდით და საქმე თავზე საყრელად გვქონდა. ამიტომ ვცდილობდით, ჯარისკაცებისთვის რამდენიმე სიტყვა ადგილობრივ დიალექტზე გვესწავლებინა, რათა მოსახლეობასთან ურთიერთობა არ გასჭირვებოდათ და გაუგებრობის გამო კონფლიქტი არ წარმოქმნილიყო.

არაბული სიტყვების აუცილებელმა მარაგმა მათ დიდი სარგებლობა მოუტანა, რადგან როცა არაბს მის ენაზე დაელაპარაკები, საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად ერთი ნაბიჯი უკვე გადადგმული გაქვს. გავიცანი ერაყის მოქალაქეები, ვინც ინგლისური ან რუსული ენები იცოდნენ. უმეტესობა სადამ ჰუსეინის ყოფილი სამხედრო თუ პოლიციის ოფიცრები იყვნენ, მაგრამ რეჟიმს განუდგნენ და ერაყის გათავისუფლების საქმეში ჩაერთვნენ.

**— იქ მყოფ ქართველ ბიჭებს ძირითადად რა პრობლემები ჰქონდათ?**

— მცირედი დისკომფორტი შექმნა ერაყის ცხელმა კლიმატმა, თუმცა ამას ბიჭები მომზადებული შეხვდნენ, რადგან ქუვეითში გავლილ სწავლებაში კლიმატთან ადაპტაციაც შედიოდა. ამერიკული ხელმძღვანელობა მათ საცხოვრებელ პირობებზე ყველანაირად ზრუნავდა, კარვებში კონდიცირების სისტემა იყო დამონტაჟებული. ამერიკული სამხედრო სისტემა სრულყოფილი, აწყობილი და გამართულია.

**— რით გამოიხატება ამერიკული ჯარის სრულყოფილება?**

— მათ მსოფლიოში ყველაზე კარგი შეიარაღება, ინფრასტრუქტურა, ლოჯისტიკა აქვთ. რაც მთავარია, ძლიერი არმია. საუკეთესოდ აქვთ ორგანიზებული კვება, მომარაგება, საცხოვრებელი პირობები. რა თქმა უნდა, ამას ემატება სამხედროთა სწორად გათვლილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება.

ქართველმა სამხედროებმა სხვებზე იოლად გამონახეს მოსახლეობასთან ადგილობრივებთან საერთო ენა, რაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რომ კოალიციური ძალების შემადგენლობაში ქართველებს ყველაზე მცირე ადამიანური დანაკარგი ჰქონდათ.

**— ქართული ბაზები ცალკე იყო განთავსებული?**

— ბაზა „დელტის" გარდა, სხვადასხვა დასახლებულ პუნქტთან ახლოს იყო პატარა ბაზები, ქართული ასეულებით დაკომპლექტებული, რათა ამ ტერიტორიების უსაფრთხოება დაეცვათ და იქაურობა ტერორისტებისგან გაეწმინდათ. ასეთ ბაზებში თარჯიმნები ვიყავით განაწილებული და ვცდილობდით, მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა გვქონოდა. ამერიკელებს ჩვენი ბიჭების პროფესიონალიზმი და მოტივაცია უკვირდათ და ამას არც მალავდნენ.

ყველა ამერიკულ ბაზაში კარგი ინფრასტრუქტურა იყო შექმნილი, მაღალ დონეზე იყო კვება, ძირითადად, ამერიკული, ნაწილობრივ კი აზიურ-ლათინური სამზარეულოს კერძები იყო. სასადილოში აზიის ქვეყნებიდან ჩამოსული მოქალაქეები, ინდოელები, პაკისტანელები მუშაობდნენ. ბაზაში სხვა ქვეყნების მოქალაქეებს თუ სამხედროებსაც შეხვდებოდით, მოკლედ, პატარა მსოფლიო იყო. ქართველებს თავიანთი ეროვნული კერძები ენატრებოდათ. შემდეგ ქართველი სამხედრო მზარეულებიც მოიყვანეს და მენიუში ქართული კერძებიც გაჩნდა.

ერაყში თითქმის წელზე მეტი ვიყავი და თავად გავხდი მოწმე ქართველი ჯარისკაცების მეომრული შემართებისა. ამიტომაც ვერ გავიზიარებ აზრს, რომ ამბობენ, მხოლოდ ფულის გამო მიდიანო. იმ ხნის განმავლობაში არც ერთი „გაუთვალისწინებელი შემთხვევა" არ მომხდარა, ანუ ყველა ოპერაცია ზედმიწევნით ზუსტად შესრულდა.

მართალია, ერაყელები კარგი სტუმართმასპინძლობით გამოირჩევიან, მაგრამ ამ თვისებას საკუთარი სახლის გარეთ არაფრად დაგიდევდნენ. ვინაიდან ქართველი სამხედროები ადგილობრივთა ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს პატივს სცემდნენ, ერაყელები მათ მიმართ სიმპათიას დაუფარავად გამოხატავდნენ. როდესაც სგპ-ზე (საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე) ქალის გაჩხრეკა სავალდებულო იყო, მათთან მხოლოდ ქართველი სამხედრო ქალები მუშაობდნენ.

მართლია, თავს არ ვზოგავდით, რომ მოსახლეობის კეთილგანწყობა მოგვეპოვებინა, მაგრამ საფრთხე მაინც რეალური იყო, — წითელ ზონაში ვიყავით და ტერორისტებისგან ბაზების დაბომბვის საშიშროება, ნაღმების აფეთქების საფრთხე ნებისმიერ დროს არსებობდა. ჩვენი ბიჭები ერაყელ ბავშვებს შოკოლადებსა და პროდუქტებს ჩუქნიდნენ, მათთვის წყალს ეზიდებოდნენ; როცა უცხო მიწაზე საომარი მოქმედებების დროს სამშვიდობო მისიით ხარ, ყველა დეტალი მნიშვნელოვანია.

**— თუ იყვნენ ისეთები, ვისაც მამლუქების ქართული წარმომავლობის შესახებ სმენიათ?**

— არა, იშვიათად, თუ მამლუქების შესახებ ვინმეს სმენია, ისინი თურქები ჰგონიათ, ვინაიდან იმ დროს ერაყი ოსმალეთის იმპერიის პროვინცია იყო. თუ ვინმეს პასპორტში სახელ დაუდს ანუ დათოს აღმოვაჩენდით და ვეტყოდით, ეს ქართული სახელიაო, გაოცებული რჩებოდნენ. ჩვენთან თარჯიმნად მუშაობდა ერაყელი გადამდგარი გენერალი, რომელსაც ქართული ფესვები ჰქონდა; სამხედრო განათლება საბჭოთა კავშირში ჰქონდა მიღებული და იცოდა, რომ მისი წინაპრები საქართველოდან იყვნენ. თუ არ ვცდები, გვარად ხოხიაშვილი იყო. ეს გადმოცემით იცოდა და როცა გაიგო, ქართველები ვიყავით, საქართველოზე ყველაფერი დაწვრილებით გამოგვკითხა.

***ლალი პაპასკირი***

ქართველი ბიჭები პროდუქტს არიგებენ



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ფარული ბრძოლა სტრატეგიული გაზსადენების გასაკონტროლებლად

რუსეთი დიდი ხანია ცდილობს ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებისა და ტრანსპორტირების ალტერნატიული გზების სამხედრო-პოლიტიკური ხერხებით დაბლოკვას და დსთ-ის წევრი ქვეყნებიდან ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების სრულ მონოპოლიზებას. ამის მაგალითებია 2008 წლის ომი საქართველოსთან; აზერბაიჯანის რესურსების სრულ შესყიდვაზე პრეტენზია და პოსტსაბჭოთა სივრცეში მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნების მცდელობა; შუა აზიის ქვეყნებზე (ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი) სამხედრო-პოლიტიკური ზემოქმედების ბერკეტების გამოყენება და ა.შ.

**ამასთან, რუსეთის იმპერიის აღდგენის სურვილზე დასავლეთ ევროპის ქვეყნები (უპირველესად გერმანია, საფრანგეთი და იტალია) თვალს ხუჭავენ, რასაც საფუძვლად „ენერგეტიკული შანტაჟის" შიში უდევს. თუ გავიხსენებთ ზემოაღნიშნული ქვეყნების ყოველწლიურად დამოკიდებულებას რუსეთის ნავთობსა და ბუნებრივ აირზე, მაშინ გასაგები გახდება, რატომ უფრთხიან ეს ქვეყნები მოსკოვს.**

„ნაბუკოს" პროექტი ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა და კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის რესურსების ევროპაში ტრანსპორტირებას ითვალისწინებს.

ამ მილსადენით ევროპა რუსეთის გაზზე დამოკიდებულების შემცირებას ცდილობს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის.

ჯერ კიდევ 2009 წლის მაისში ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ევროკავშირის სამიტზე ხელი მოაწერეს დეკლარაციას „სამხრეთის ენერგეტიკულ დერეფანზე" და მასში მნიშვნელოვანი ადგილი „ნაბუკოს" პროექტს უკავია.

„ნაბუკო" რუსული „სამხრეთის ნაკადის" მთავარი კონკურენტია. ამ უკანასკნელის ამოქმედებას კი მოსკოვი 2015 წლისთვის გეგმავს და სამხრეთ ევროპისთვის 63 მლრდ კუბმეტრი გაზის მიწოდებას აპირებს.

**რუსეთის ხელისუფლება აშკარად თუ ფარულად ებრძვის „ნაბუკოს" პროექტს.**

2012 წლის 14 მარტს საინფორმაციო სააგენტო Reuters-მა გაავრცელა სენსაციური ცნობა, რომ საბერძნეთის პროკურატურამ 2008 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სავარაუდოდ, შეთქმულების მიზანი იმდროინდელი პრემიერ-მინისტრ კოსტას კარამანლისის ხელისუფლებისგან ჩამოშორება და ფიზიკური განადგურებაც კი უნდა ყოფილიყო.

პროკურატურის აზრით, შეთქმულთა მიზანი იყო რუსეთსა და საბერძნეთს შორის „სამხრეთ ნაკადის" გაზსადენის ერთ-ერთი მონაკვეთის მშენებლობაზე შეთანხმებისთვის და საზოგადოდ, საბერძნეთ-რუსეთის მეგობრობისთვის ხელის შეშლა.

## ეფ-ეს-ბე „ზრუნავს" ბერძენ მეგობრებზე

2011 წლის ზაფხულში ბერძნულმა ჟურნალმა „ეპიკრამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომ საბერძნეთის ერთ-ერთი მოკავშირე სახელმწიფო სპეცსამსახურების დახმარებით კარამანლისის ჩამოგდებას ან მოკვლას ცდილობდა იმის გამო, რომ მან რუსეთთან ენერგეტიკულ შეთანხმებას მიაღწია.

საინტერესო კი ის არის, რომ ამ ჟურნალის მტკიცებით სავარაუდო შეთქმულების შესახებ ექსპრემიერ-მინისტრისათვის თავად რუსულ სპეცსამსახურებს უცნობებიათ.

მხოლოდ 14 მარტს, ანუ ჟურნალ „ეპიკრაში" ამ სენსაციური მასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა




**საბერძნეთის პროკურატურაში თვლიან, რომ 2008 წლის მოვლენები ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობა იყო**

ლის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო საბერძნეთის პროკურატურამ ოფიციალური გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე „შეთქმულება სახელმწიფო ღალატის მიზნით“.

დაიკითხნენ საბერძნეთის დაზვერვის თანამშრომლები და ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრები.

საბერძნეთის „ელინური (ნაციონალური) დაზვერვის“ ყოფილმა უფროსმა იოანის კორანტისმა განაცხადა, რომ ამ საქმეზე პროკურატურაში დაჰკითხეს. მან ისიც დაადასტურა, რომ ეს ინფორმაცია რუსეთის ეფ-ეს-ბესგან მიიღო.

კოსტას კარამანლისი კომენტარს არ აკეთებს. „სამხრეთ ნაკადი“ დაგეგმილია უკრაინის გავლით ევროპაში რუსული გაზის მიწოდების ალტერნატიულ გზად და დღესაც ითვლება ევროკავშირისა და აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი „ნაბუკოს“ პროექტის საპირწონედ.

საბერძნეთის პროკურატურაში თვლიან, რომ 2008 წელს არეულობები, რაც პოლიციელის მიერ მოზარდის მკვლელობას მოჰყვა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის მცდელობა იყო.

ამ მომენტიდან პოლიტიკურმა კრიზისმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ კარამანლისის მთავრობა კრახამდე და ვადამდე არჩევნებამდე მიიყვანა.

კარამანლისი საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე ორი ვადით — 2004 წლიდან 2009 წლამდე იყო. სწორედ ამ წლებში აყალბებდა საბერძნეთის მთავრობა სტატისტიკურ მონაცემებს და ფაქტობრივ საბიუჯეტო დეფიციტს 3-4 ჯერ ამცირებდა, რამაც ქვეყანა დეფოლტამდე მიიყვანა.

2009 წლის ვადამდე არჩევნების დროს (მისი ინიცირება თავად კარამანლისმა მოახდინა) პარტია „ახალი დემოკრატია“ სასტიკად დამარცხდა. სწორედ კარამანლისის დროს მოაწერა საბერძნეთმა ხელი შეთანხმებას „სამხრეთ ნაკადის“ პროექტში მონაწილეობაზე, რითაც ევროკავშირისა და NATO-ს მოკავშირეების გულისწყრომა გამოიწვია.

**საბერძნეთსა და მის მოკავშირეთა შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ 1999 წელს დაიძაბა, როცა იუგოსლავიაში NATO-ს ავიაციის გამოყენებას ათენმა ვეტო დაადო.**

**შემდეგ დემონსტრაციულად დაარღვია ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების წესები და იარაღის შესყიდვაზე რუსეთთან ხელშეკრულება გააფორმა. შეძენილ სხვადასხვა საშუალებას შორის იყო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-300.**

**ბოლო დარტყმა კი „სამხრეთ ნაკადში“ მონაწილეობა აღმოჩნდა. პოლიტოლოგები და ექსპერტები შეშფოთებას არ მალავდნენ საბერძნეთ-რუსეთის დაახლოების მოსალოდნელ სამხედრო-პოლიტიკურ შედეგებზე. რამდენად რეალურია ეს შიში?**

## „ბობოლა“ ბობოლასები

გიორგი ბობოლასის სახელი პირველად ცნობილი თითქმის 30 წლის წინ გახდა. საბერძნეთში იმ დროს ყველაზე დიდტირაჟიანი გაზეთი „ეთნოსი“ იყო, რომლის გამოშვება 1981 წლის სექტემბერში, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დაიწყო.

ეს გაზეთი გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირის დიდი სიყვარულითა და აშშ-ის დიდი სიძულვილით. მსოფლიოში მომხდარ ყველა პოლიტიკურ მკვლელობაში ის ცრუ-ს ხელს ხედავდა.

თავის დროზე, ცნობილმა ჟურნა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტმა პოლ ანასტასიმ ჟურნალისტური გამოძიების წიგნი გამოსცა, სადაც ამტკიცებდა, რომ გაზეთი „ეთნოსი“ კა-გე-ბეს ფულით გაიხსნა და სწორედ ის აკონტროლებდა, ხოლო გამომცემელი და მთავარი რედაქტორი საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტები იყვნენ. წიგნში დაწვრილებითაა მოყოლილი იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო ეს საიდუმლო თანამშრომლობა 1978 წელს.

ირკვევა, რომ კა-გე-ბეს პოლკოვნიკმა, საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ვასილი სიტნიკოვმა ბერძენ კომუნისტს იანის იანიკოსს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ბერძნულ ენაზე დასაბეჭდად საჭირო გამომცემლობის მოძებნა სთხოვა.

იანიკოსი ძველი კომუნისტი იყო და საბერძნეთის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში იბრძოდა როგორც პარტიზანი. ის დიდხანს უშედეგოდ ეძებდა გამომცემელს და უეცრად დამხმარედ ბიზნესმენი გიორგი ბობოლასი იპოვა.

ანასტასის წიგნს მოჰყვა სასამართლო პროცესები, რომლებიც 9 წელი გაგრძელდა და უამრავმა სკანდალმა საბერძნეთი შეძრა. სასამართლომ აღიარა, რომ გაზეთის გამომცემლები საბჭოთა კავშირთან და მის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ არ აღიარა გეორგი ბობოლასი გავლენის აგენტად, რადგან მას არ შეეძლო სცოდნოდა მისი საბჭოთა პარტნიორების კა-გე-ბესთან კავშირის შესახებო.

გიორგი ბობოლასის საბჭოთა სპეცსამსახურთან მჭიდრო კავშირზე შემდეგი საიდუმლო დოკუმენტი მეტყველებს. ეს არის სსრკ-ის კა-გე-ბეს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სემიონ ცვიგუნის 1980 წლის 5 აპრილით დათარიღებული წერილი გრიფით „სრულიად საიდუმლო“, სათაურით „ბერძენ გამომცემელ გ. ბობოლასის დახმარების შესახებ“.

**„სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ 1976 წლიდან ხორციელდება სპეციალური ღონისძიებანი „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ საბერძნეთში გამოსაცემად. ბერძნული გამომცემლობა „აკადიმოსი“ მსხვილ კომერსანტსა და მრეწველ გ. ბობოლასს ეკუთვნის. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ გარდა, გამოქვეყნდება საბჭოთა საზოგადო-პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.**



ენერგორესურსების ტრანსპორტირებაში დასავლეთსა და რუსეთს შორის ფარული ომი გრძელდება

**ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბერძნულ ენაზე ლ. ბრეჟნევის წიგნის „მშვიდობა — ხალხების შეუფასებელი მიღწევა“ ავტორის წინასიტყვაობით გამოქვეყნება.**

**აღნიშნულია მოწინააღმდეგის მხრიდან „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ გამოქვეყნებისთვის სხვადასხვა სახის პროვოკაციით ხელის შეშლის არაერთი მცდელობა, მაგრამ სხვადასხვა ხერხით ეს მცდელობები ნეიტრალიზებულია.**

**„აკადიმოსის“ აპარატი განწმენდილია მაოისტებისგან, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული გამოცემისთვის ხელის შეშლა თუ არა, წიგნის დამახინჯება.**

**მიზანშეწონილად მიმაჩნია საგარეო ვაჭრობის სამინისტროსთვის დავალების მიცემა, რომ კომერციული საკითხების გადაწყვეტისას ბობოლასს მიანიჭონ უპირატესობა.**

**აგრეთვე ცნობილია, რომ მოსკოვში მორიგი შეხვედრისას ბობოლასი აპირებს გადასცეს საბჭოთა მხარეს კ. მარქსის ხელწერილი დოკუმენტი, რომელიც მან ადრე ლონდონში შეიძინა. ამასთან დაკავშირებით სასურველია სკკპ ცკ-აში გ. ბობოლასის მიღების ორგანიზება შესაბამის დონეზე“.**

კა-გე-ბეს დახმარებით ასე გახდა რიგითი ბერძენი ბიზნესმენი მილიარდერი. გეორგი ბობოლასს ამჟამადაც დიდი პოლიტიკური გავლენა აქვს საბერძნეთის ხელისუფლებაზე, რადგანაც პოპულარული გაზეთებისა და სატელევიზიო არხის მეპატრონეა. მას რუსეთის ჩეკისტურ ხელისუფლებასთანაც კარგი კავშირები აქვს.

სულ ახლახან მისმა შვილმა, ლეონიდას ბობოლასმა, მიიღო ძალზე ხელსაყრელი შეკვეთები რუსეთში, მისი პარტნიორი კი ეფ-ეს-ბეს გენერლის, სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორის გიორგი პოლტავჩენკოს ვაჟი, 26 წლის ალექსეია. ასე რომ, როგორც კვიცი გვარზე ხტის.

## რუსეთის გეოპოლიტიკური ფორმულა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“

ჩვენი აზრით, კოსტას კარამანლისის ხელისუფლებისგან ჩამოშორებისა და ფიზიკური განადგურების სკანდალურ ინფორმაციას რუსეთის სპეცსამსახურების ხელი აშკარად ეტყობა. ასევე იყო ადრეც. რომელიმე პატარა „პროგრესულ“ (როგორც საბჭოთა პროპაგანდა უწოდებდა) გაზეთში დაიბეჭდებოდა სტატია, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ მსოფლიოში ყველა უბედურების მიზეზი ამერიკელები იყვნენ. რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა პრესა აიტაცებდა ამ თემას, უფრო განავრცობდა და გამოაქვეყნებდა სუპერსენსაციურ მასალას, რაც აშშ-ის საერთაშორისო ავტორიტეტს მნიშვნელოვნად აზარალებდა.

ბერძნულ ჟურნალ „ეპიკერაში“ გამოქვეყნებულ სენსაციასაც უმალ გამოეხმაურა რუსეთის მასმედია და ჩანს საქმეს ისე წაიყვანენ, რომ ოთხი წლის წინ ვითომდა დაგეგმილ, მაგრამ შეუმდგარ სახელმწიფო გადატრიალებაში დამნაშავე კვლავ „საზიზღარი იანკები“ იქნებიან. ამაში კი მათ ბერძენი „ნაცადი მეგობრები“ დაეხმარებიან.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების



თავდაცვის მინისტრი საფარ აბიევი ირანის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების დროს

## აზერბაიჯანი

● ირანში ვიზიტად მყოფმა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-პოლკოვნიკმა საფარ აბიევმა 13 მარტს პრესკონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ აიძულებს აზერბაიჯანს, ქვეყნის ტერიტორია ირანის წინააღმდეგ გამოიყენოს.

● 7 მარტს შინაგანი ჯარის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ზაქირ ჰასანოვმა განაცხადა, რომ თურქეთის ინიციატივით 2015 წლისთვის ევრაზიული გაერთიანებული ჟანდარმერიის ქვედანაყოფის შექმნა არის დაგეგმილი. ქვედანაყოფი აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქეთისა და მონღოლეთის ჟანდარმერიის ტიპის დანაყოფებს გააერთიანებს და მას სამშვიდობო დანიშნულება ექნება.

● 15 მარტს სამხედრო ჟურნალისტური კვლევების ცენტრ „დოქტრინის“ ექსპერტებმა გამოაქვეყნეს უსაფრთხოება-თავდაცვასთან დაკავშირებული 2012 წლის შედეგები. განვლილ 2,5 თვეში აზერბაიჯანის ძალოვან სტრუქტურებში დაიღუპა 14 (10 — თავდაცვის სამინისტროდან, 3 — შინაგანი ჯარიდან და 1 — სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურიდან) და დაიჭრა 28 (27 — თავდაცვის სამინისტროდან და 1 — საგანგებო სიტუაციების აკადემიიდან) სამხედრო მოსამსახურე.

● თურქეთი ბაქოს ძირითადი საბრძოლო ტანკის Altay-ს ერთობლივ წარმოებას სთავაზობს. Altay-ს თურქეთის არმიისთვის მიწოდება 2016 წლიდან არის დაგეგმილი და მისი სავარაუდო ღირებულება 5 მლნ 500 ათასი დოლარი იქნება.

● გრძელდება T-84 Оплот-ის ტიპის ძირითად საბრძოლო ტანკთან დაკავშირებული უკრაინა-აზერბაიჯანის მოლაპარაკება. ასევე განიხილება მოძველებული ჯავშანტექნიკის მოდერნიზაციის საკითხი და ერთობლივი საწარმოების შექმნა, სადაც, ძირითადად, საბრძოლო ტანკ БМ Булат-ს, ქვეითთა მძიმე საბრძოლო მანქანას БМПТ-64 და ჯავშანტრანსპორტიორ БТР-4-ს გამოუშვებენ.

● თავდაცვის სამინისტრომ ისრაელის კომპანია IMI-სგან გადასატანი გამნაღმველი სისტემა POMINS-2 შეიძინა. სისტემა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებსა და ეკლიან მავთულხლართებში 0,5 მ სიგანისა და 50 მ სიგრძის გასასვლელს ქმნის.

● მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაგეგმილია აზერბაიჯან-აშშ-ის ერთობლივი წვრთნები და მასში მონაწილეობას 100 აზერბაიჯანელი სამხედრო მიიღებს.

● 19 მარტს აღდამის მიმართულებაზე ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა ავტომატით თავი მოიკლა.

● მარტში ფრონტის ხაზის სიახლოვეს ნაღმზე აფეთქების შემთხვევებმა მოიმატა და ოთხს მიაღწია, ამის შედეგად 1 სამოქალაქო და 3 სამხედრო დაიჭრა.

## სომხეთი

● 14 მარტს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის პოზიციებზე კონტრაქტით მომსახურე უმცროსი სერჟანტის გვამი იპოვეს, მას თავში სასიკვდილო ჭრილობა აზერბაიჯანელი სნაიპერის ტყვიამ მიაყენა.



სომხეთის არმიას ხმაურიანი საქმეები არ აკლდება

# მიმოხილვა


საოკუპაციო არმიის ჯამ-ჭურჭელი სწავლებაზე იგზავნება

● 16 მარტს გიუმრის რუსული 102-ე სამხედრო ბაზის საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფის საბანაკო შეკრება მაღალმთიანი სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის „ალაგიოზის“ მიმართულებით 100 კმ-იანი მარშით დაიწყო. საველე შეკრება თვეზე მეტხანს გაგრძელდება და საბრძოლო სროლებით დასრულდება. შეკრებაში 200 სამხედრო და საბრძოლო ტექნიკის 30 ერთეული მონაწილეობს.

● 17 მარტს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდობის ინიციატივა — ჩვენ არ გავჩუმდებით“ გამოვიდა განცხადებით, რომელიც 14 მარტს ერევნის გარნიზონის სამხედრო პოლიციაში მომხდარ ინციდენტს შეეხებოდა. „ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ჩხუბის მიზეზით დაკავებულ ჯარისკაცებს ერევნის გარნიზონის სამხედრო პოლიციის უფროსმა, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა და გამომძიებელმა სასტიკად სცემეს“, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ ჯარისკაცების ცემა არმიაში ჩვეულ მოვლენად იქცა.

● 18 მარტს თავუშის ოლქის ერთ-ერთ სასაზღვრო პოსტებზე აზერბაიჯანელმა სნაიპერმა გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ბატალიონის მეთაურს მაიორ არტაკ შაჰბასიანს.

## ჩრდილო კავკასია

● მიმდინარე საგაზაფხულო გაწვევა ადიღეში 500 წვევამდელს შეეხება და უკვე ცნობილია, რომ მათი ნახევარი მძღოლებად იმსახურებს. 2011 წლის საშემოდგომო გაწვევაზე არმიაში 488 ახალგაზრდა წავიდა.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 2 მარტიდან ამოქმედდა 1992-93 წლების ომის ინვალიდთა ფონდის ბიუჯეტი 53 მლნ 200 ათასი რუბლის (1 მლნ 730 ათასი დოლარი) ოდენობით.

● საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზიდან კონტრაქტით მომსახურე 100 სამხედრო შეირჩა, რომლებიც სანქტ-პეტერბურგის, ტამბოვის, პენზის, სარატოვის, კოლომნის, ვოლჟსკის, კოვროვოსა და სხვა ქალაქების პროფილურ-სპეციალიზებულ სასწავლო ცენტრებში საერთო-საჯარისო, საარტილერიო, საზენიტო და სხვა სპეციალობებით დამატებით მომზადებას გაივლიან.

● გუდაუთის ბაზის არტილერისტებმა სროლასა და ცეცხლის მართვაში წვრთნები ჩაატარეს. დამუშავდა 152 მმ-იანი 2С3 Акация-ს ტიპის თვითმავალი ჰაუბიცებით აღჭურვილი ქვედანაყოფისთვის დაზვერვის, სროლისთვის მონაცემთა მომზადებისა და საარტილერიო ცეცხლის მართვის ამოცანები. მიმდინარე წელს ამ მიმართულებით მომზადებაზე 800 სთ-ია დაგეგმილი, რომლის ნახევარიც ღამის მეცადინეობებს დაეთმობა.

● აფხაზებმა 1993 წლის 15 მარტს სოხუმზე წარუმატებელი შეტევის მე-19 წელი აღნიშნეს. მიმდინარე წლის აფხაზური მონაცემებით შეტევას 222 მებრძოლი შეეწირა და 23 უკვალოდ დაკარგულად ითვლება, როცა შარშან აცხადებდნენ, რომ 400-მდე დაღუპული და 1000-ზე მეტი დაჭრილი იყო.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● ადგილობრივი ხელისუფლების ფორმირებათა ცალკეულმა სადაზვერვო ბატალიონმა 14-19 მარტს ცხინვალისა და ახალგორის რაიონებში ტაქტიკურ სწავლებებზე სხვადასხვა სახის სასწავლო-საბრძოლო დავალებების შესრულებაზე ივარჯიშა.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● 29 თებერვალს პოსტზე ნაპოვნ ჯარისკაცის გვამს სხეულზე მრავლობითი დაზიანება დაუდგინდა და მისი გარდაცვალების მიზეზად მკვლელობა განიხილება.

**თემურ ჩაჩანიძე**


კიდევ ერთი მსხვერპლი ყარაბაღში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსეთი Су-25-ს წერტილოვან დარტყმებს „ასწავლის“

თუ გამოცდები წარმატებით დასრულდა, რუსული მოიერიშეები წერტილოვანი სამიზნეების განადგურებას მართვადი ბომბებით შეძლებენ.
ფოტოზე Су-25СМ ფრთის ქვეშ ჩამოკიდებული ბომბით КАБ-500-СЭ

სამხედრო ტექნიკის განვითარება დიდ იმპულსს აძლევს საბრძოლო მოქმედებები. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი არმიაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას ცდილობს.

ომის შემდგომ წლებში რუსეთი აქტიურად მუშაობს სამხედრო საავიაციო პარკის განახლებაზე. ახალი საავიაციო ტექნიკის შეძენასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მწყობრში არსებული თვითმფრინავების, განსაკუთრებით საფრონტო და საიერიშო ავიაციის მოდერნიზაციასაც.

ლაპარაკია მოიერიშე Су-25-ის ტიპის თვითმფრინავებზე. მათი გაუმჯობესება ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და მისი მიზანი თვითმფრინავის რადიოელექტრონული აღჭურვილობისა და შეიარაღების მართვის სისტემების გაუმჯობესება იყო. 2008 წლის აგვისტოში რუსებმა რამდენიმე მოდერნიზებული Су-25СМ საქართველოსთან ომშიც გამოიყენეს.

რამდენიმე ხნის წინ საინტერესო ფოტო გამოჩნდა, სადაც ახტუბინსკის სამხედრო-საჰაერო ბაზაში СМ3-მდე მოდერნიზებული მოიერიშეა გამოსახული.

ჯერ კიდევ XXI საუკუნის დასაწყისში რუსებმა თვითმფრინავის კონსტრუქციაში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს, განსაკუთრებით პილონებში.

სტანდარტულ Су-25-ს 10 პილონი, ანუ ფრთის თითო კონსოლზე ხუთ-ხუთი აქვს. ამათგან რვა ბომბებისა და მართვადი/უმართავი საავიაციო რაკეტების ჩამოსაკიდად გამოიყენება. კიდურა პილონებზე კი „ჰაერი-ჰაერი“ კლასის Р-60/Р-60М-ის ტიპის რაკეტები იკიდება. მოიერიშე მათ თავდაცვისთვის იყენებს.

მოდერნიზებულ Су-25СМ-ზე კი პილონები მოხსნილია. ეს ნაწილობრივ წონის შემცირების სურვილით შეიძლება აიხსნას. ამ ტიპის თვითმფრინავის საჰაერო ბრძოლებში და მით უმეტეს „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტების გამოყენებამდე საქმე არასდროს მისულა.

ახტუბინსკში გადაღებულ Су-25СМ3-ზე კიდურა პილონები აღდგენილია, მაგრამ რაკეტების ნაცვლად მათზე ოთხკუთხა კონტეინერებია ჩამოკიდებული. ეს МПС-410 Омуль-ის ტიპის რადიოელექტრონული ხარვეზების დამდგმელი ბლოკებია. სისტემა მოწინააღმდეგის საზენიტო საშუალებებისა და რადარების „დაბრმავების“ გარდა მათ ადგილმდებარეობასაც ადგენს.



Су-25-ზე „ომულების“ გამოყენება მართლაც სიახლეა, მაგრამ თავად სისტემა 22 წლის წინ შეიქმნა და სულ სხვა — Су-25ТМ-ის ტიპის თვითმფრინავისთვის იყო განკუთვნილი. ეს უკანასკნელი ღამითა და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოქმედებაზეა გათვლილი.

გაფართოვდა შეიარაღების ნომენკლატურაც — ამიერიდან თვითმფრი-



მოდერნიზირებული Су-25СМ3 კიდურა პილონებზე ჩამოკიდებული ხარვეზების დამდგმელი კონტეინერებით

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნავს X-58-ის ტიპის რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო რაკეტების გამოყენებაც შეეძლო. რა თქმა უნდა, სერიულ წარმოებამდე საქმე არ მისულა, მხოლოდ ორი პროტოტიპი ააწყვეს, მაგრამ მისთვის შექმნილი სისტემები დარჩა და ახლა, 20-წლიანი შესვენების შემდეგ, რუსები მის „გაცოცხლებას" ცდილობენ.

სხვათა შორის, ამავე თვითმფრინავისგან არის ნასესხები Су-25СМ3-ზე დაყენებული საქარე მინაზე არსებული ინდიკატორიც.

СМ-ზე დაყენებული სამიზნე ნავიგაციური კომპლექსიც ПрНК-25СМ Барс-ი, რომლითაც რუსები ამაყობენ, საბჭოური გადმონაშთია. სტანდარტულ მოიერიშეს ასეთი კომპლექსი არ ჰქონდა (შეიარაღების გამოყენებასა და ნავიგაციას ცალ-ცალკე სისტემები უზრუნველყოფდნენ).

1981 წელს ტანკსაწინააღმდეგო მოიერიშე Су-25Т-ზე მუშაობისას დღის წესრიგში დადგა ახალი სამიზნე და შეიარაღების მართვის სისტემების შექმნის საკითხი. ალტერნატივად ორი ვარიანტი — „შკვალი" და „ბარსი" განიხილებოდა. არჩევანი პირველზე შეჩერდა. „ბარსმა" კი, როგორც ჩანს, ინტერესი მხოლოდ 31 წლის შემდეგ გამოიწვია.

„ბარსის" წყალობით ერთიან კომპლექსში გაერთიანებულმა სამიზნე და სანავიგაციო სისტემებმა მოიერიშის ეფექტურობა ერთი-ორად გაზარდა.

სისტემების გაუმჯობესების გარდა, რუსები საკუთარი მოიერიშეების არსენალის გაფართოებასაც ცდილობენ. ამჟამად СМ-ზე, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მართვადი ბომბური შეიარაღების მორგებაზე მუშაობენ.

ფრთის ქვეშ ჩამოკიდებული КАБ-500С-Э-ის ტიპის მართვადი ბომბით მფრენი მოიერიშე ფოტოობიექტივმა პირველად გასული წლის ოქტომბერში დააფიქსირა. ფოტო ახტუბინსკის ავიაბაზის ახლოს გადაიღეს. თვითმფრინავზე ჩამოკიდებული ბომბი წითლადაა შეღებილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ შეიარაღება თვითმფრინავზე გამოცდას გადის.

თუ გამოცდა კარგად დამთავრდა, რუსული მოიერიშეები წერტილოვანი სამიზნეების განადგურებას, სამიზნიდან დიდ დისტანციებზე და რაც მთავარია, დიდი სიზუსტით შეძლებენ.

დამიზნებას რუსული თანამგზავრული ნავიგაციის სისტემა ГЛОНАСС-ი უზრუნველყოფს. მაქსიმალური დასაშვები დისტანციიდან ჩამოგდებული ბომბის სავარაუდო წრიული გადახრა 12 მ-ს არ აღემატება. კალიბრისა და სიმძლავრის გათვალისწინებით სამიზნე გარანტირებულად განადგურდება.

ერთადგილიანი მოიერიშეების გარდა, რუსები ორადგილიანი საბრძოლო-სასწავლო მოდიფიკაციების გაუმჯობესებაზეც ზრუნავენ. ახალი ვარიანტი Су-25УБМ პირველად 2007 წელს მოსკოვში გამართულ გამოფენაზე წარმოადგინეს. ათპილონიან თვითმფრინავზე კიდურა პილონებზე СМ3-ების მსგავსად „ომულის" კონტეინერები ეკიდა, მაგრამ მთავარ ნიუანსს ფიუზელაჟის ქვეშ ჩამოკიდებული Копье-25-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგური წარმოადგენდა. თავის დროზე ისიც Су-25ТМ-ის საბრძოლო შესაძლებლობების გასაფართოებლად შეიქმნა.

რადიოლოკაციური სადგური სამიზნის აღმოჩენის დისტანციას საგრძნობლად ზრდის, — საჰაერო სამიზნის აღმოჩენა 30-57 კმ-ზე, ხოლო სახღვაოსი 80 კმ-ზე (სარაკეტო ხომალდი) შეიძლება. ამავე ინოვაციის წყალობით თვითმფრინავს X-31A, X-31П და P-77-ის ტიპის რაკეტების გამოყენება შეუძლია.

შეიძლება რუსებმა Су-25УБМ-ის ბაზაზე დამრტყმელი კომპლექსიც შექმნან, სადაც ეკიპაჟის ერთი წევრი პილოტირების, მეორე კი შეიარაღების ოპერატორის ფუნქციებს შეითავსებს. ასეთი თვითმფრინავი ღამითაც და რთულ მეტეოპირობებშიც შეძლებს მოქმედებას, ხოლო „ჰაერი-მიწა" კლასის მართვადი სარაკეტო შეიარაღების გაზრდილი არსენალი კი მის დამრტყმელ შესაძლებლობებს გაზრდის. რადიოლოკაციური სადგურის გამოყენებით ახალი ორადგილიანი მოიერიშე X-58-ის ტიპის რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო რაკეტებს გამოიყენებს. სხვათა შორის, ამგვარი პრეცედენტი უკვე არსებობს — პერუელების ერთი Су-25УБ რუსების დახმარებით ჩატარებული მოდერნიზაციის შემდეგ ამ რაკეტებს იყენებს.

**ჩვენი დოსიე:**

**მოდიფიკაცია — მართვადი ბომბი КАБ-500С-Э; დამიზნების სისტემა — თანამგზავრული; სიგრძე, მ — 3; მასა, კგ — 560; ასაფეთქებელი ნივთიერების მასა, კგ — 195; საბრძოლო ქობინი — ფუგასური; ჩამოგდების სიმაღლე, მ — 500-5000; სამიზნიდან ჩამოგდების დისტანცია — 2-9 კმ; სავარაუდო წრიული გადახრა, მ — 7-12**

მოიერიშეების მოდერნიზაციაში რუსები დიდ ფულს ხარჯავენ. ჩვენ საინტერესო დოკუმენტებს მივაგენით. ერთ-ერთი ტექნიკური პირობებია, რომლის მიხედვითაც რუსეთში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში თბილისის საავიაციო ქარხანაში აწყობილ მოიერიშეებს მოდერნიზაციას Су-25СМ/СМ2/СМ3-ის ვარიანტებში უკეთებდნენ.

დოკუმენტის ტექსტი რიგით №44-ე თვითმფრინავს შეეხება, ანუ 43 მოიერიშემ მოდერნიზაცია უკვე გაიარა.

მეორე დოკუმენტი კონტრაქტს შეეხება, რომლის თანახმადაც 2011-13 წლებში ჩვენი ჩრდილო მეზობლის სამხედრო-საჰაერო ძალები 36 მოდერნიზებულ თვითმფრინავს მიიღებს. აქვეა მოყვანილი თანხაც. კერძოდ, 36 მოიერიშის მოდერნიზაცია 155 მლნ. დოლარზე მეტი დაჯდება. შესაბამისად, ერთ თვითმფრინავზე საშუალოდ 4 მლნ. 300 ათასი დოლარი დაიხარჯება.

**რუსული თვითმფრინავების მოდერნიზაცია ჩვენთვის დამაფიქრებელი ფაქტორია. საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში პირველ დარტყმას სწორედ Су-25-ები მოგვაყენებენ და თანამგზავრული დამიზნების ბომბებით შეიარაღებული СМ3-ები სამიზნეებს უფრო ზუსტად და უფრო შორი დისტანციებიდან გაანადგურებენ. რადიოელექტრონული ხარვეზების დამდგმელი კონტეინერები კი მათ ჩამოგდებას გაართულებს.**

***ალექსანდრე აფაქიძე***



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბრიტანელი მზვერავისგან განწირული ქართველები

**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N6, 2012 წელი**

1946 წლის დეკემბერში კიმ ფილბი გამოიძახეს დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელთან, ადმირალ სერ ჰიუ სინკლერთან, რომელმაც მას განუცხადა, რომ ამიერიდან ფილბი ამ სამსახურის თურქეთის რეზიდენტურას უხელმძღვანელებდა.

იმ დროისათვის თურქეთი, კერძოდ კი სტამბოლი, მთავარი ბაზა იყო, საიდანაც საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში სადაზვერვო მუშაობა მიმდინარეობდა.

მოგვიანებით, 1949 წელს, აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ (ცსს) სტამბოლში წარმომადგენლობა გახსნა. ეს იყო აშკარა მინიშნება თურქეთის ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების მომავალ სტრატეგიულ კურსზე. **თურქეთი ამას თანხმდებოდა იმ პირობით, რომ სადაზვერვო მუშაობა მხოლოდ ბალკანეთის ქვეყნებსა და სსრკ-ში ჩატარდებოდა, ხოლო აშშ-ისა და ბრიტანეთის დაზვერვა თურქეთის შიდაპოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერეოდა.**

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, **„ცივი ომის“ პერიოდში, თურქეთის, როგორც საბჭოთა კავშირის მეზობლად მდებარე ქვეყნის, გეოსტრატეგიულმა მნიშვნელობამ მოიმატა, ამიტომაც თურქეთი საბერძნეთთან ერთად NATO-ს წევრი დაუბრკოლებლად გახდა.**

იმ პერიოდში თურქეთის დაზვერვას თეფიქ-ბეი ხელმძღვანელობდა. თურქეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული მუშაობის სამიზნე საბჭოთა კავშირის სამხრეთი საზღვრები, ყირიმი და შუა აზიის რესპუბლიკები იყო. **აგენტურულ ოპერაციებში ჩართული იყვნენ აზერბაიჯანული, სომხური და ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები, ასევე ყირიმელი თათრები.**

ემიგრანტებს მიაჩნდათ, რომ ამ გზით მტერს (ანუ საბჭოთა კავშირს) ზიანს მიაყენებდნენ და თავიანთ ქვეყანას იმპერიის მარწუხებიდან დაიხსნიდნენ.

თუმცა სტალინის მიერ საბჭოთა კავშირის გარშემო ჩამოშვებული „რკინის ფარდა“ ადვილი დასაძლევი არ იყო და ბრიტანულ-ამერიკულ-თურქული სადაზვერვო ოპერაციები უმეტესად მარცხით მთავრდებოდა.

ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბრიტანეთ-აშშ-ის თითქმის ყველა ოპერაციის შესახებ კიმ ფილბი წინასწარ აწვდიდა ზუსტ მონაცემებს მოსკოვს. აგენტებს საბჭოთა საზღვრის გადმოკვეთისთანავე აკავებდნენ ან ცეცხლს უხსნიდნენ და უმოწყალოდ ხვრეტდნენ. ქვემოთ მოგითხრობთ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ.

## MI-6-მა დახმარებისთვის ნოე ჟორდანიას მიმართა

ლონდონის დავალებით პირველ ეტაპზე ფილბიმ ყურადღება საბჭოთა კავშირსა და ბალკანეთის ქვეყნებზე გაამახვილა, რაც სავაჭრო გემებით ოდე-




ოპერაცია თურქეთის დაზვერვასთან ერთად დაიგეგმა

სის, ნიკოლაევისა და ნოვოროსიისკის პორტებში აგენტების შეგზავნით გამოიხატებოდა.

**ფილბიმ პარალელურად ყურადღება მიაქცია თურქეთის ჩრდილოეთით მოსაზღვრე ქვეყნებს — საქართველოსა და სომხეთს.** სიტუაციის გაცნობის შემდეგ ახალმა რეზიდენტმა დაასკვნა, რომ ადგილობრივ არალეგალებს შორის ერევანში, თბილისსა და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს ქალაქებში გასაგზავნი აგენტების მოძებნა ძალზე რთული იქნებოდა. ამიტომ ლონდონს ქართველი და სომხური ემიგრაციის რიგებში აგენტურის მოძებნაში დახმარება სთხოვა.

აქ ერთი საინტერესო მომენტია: 1968 წელს უკვე საბჭოთა კავშირში მყოფმა კიმ ფილბიმ დაწერა მოგონებე-

ბის წიგნი „ჩემი საიდუმლო ბრძოლა“, რომელიც თავიდან ბოლომდე კა-გე-ბეს მეთვალყურეობით შეიქმნა.

ყველა მზვერავისა თუ სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომლის მოგონებები და მემუარები თავად არის მცირე სპეცოპერაცია და განსაზღვრულ მიზნებს ემსახურება, ამიტომაც ფილბის წიგნიც კრიტიკულად უნდა განვიხილოთ.

მაგალითად, ფილბი წერს, რომ ბრიტანეთის დაზვერვა პარიზში დაუკავშირდა ნოე ჟორდანიას და აგენტების მოძებნაში დახმარება სთხოვა. ნოე ჟორდანია ამ წინადადებას განსაზღვრულ თანხად დათანხმდა, აგენტების ბედი დიდად არც ანაღვლებდაო.

აქ ნათლად ჩანს კა-გე-ბეს სურვილი, რომ ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი არასასურველი კონტექსტით წარმოაჩინოს.

ასეა თუ ისე, ნოე ჟორდანიამ ორ ახალგაზრდა ემიგრანტს რეკომენდაცია გაუწია. ბრიტანეთის დაზვერვის გადაწყვეტილებით საქართველოში აგენტები ჯერ მცირე ხნით, მაქსიმუმ რამდენიმე კვირით უნდა შეეგზავნათ. ამ პერიოდში მათ უნდა შეესწავლათ, არსებობდა თუ არა დარჩენის გრძელვადიანი პერსპექტივა, იყო თუ არა კონსპირაციული ბინების მოწყობის, ყალბი დოკუმენტებით ლეგალიზების და სტამბოლის რეზიდენტურასთან არალეგალური კავშირების დამყარების შესაძლებლობა. საბოლოოდ კი ბრიტანეთის დაზვერვის გრძელვადიანი გეგმა საქართველოში საიმედო სადაზვერვო ქსელის შექმნას ითვალისწინებდა.

1947 წელს სტამბოლში ფილბიმ ბრიტანეთის დაზვერვისაგან შეტყობინება მიიღო, რომ ჟორდანიამ პირობა შეასრულა და ორი აგენტი ლონდონში ინტენსიურ სპეცმომზადებას გადიოდა.

თურქეთში მათი ჩამოსვლისთანავე თეფიქ-ბეიმ, თურქეთის დაზვერვის ხელმძღვანელმა, მომავალი აგენტების გადაბირება სცადა.

კიმ ფილბის აზრით, ქართველ ემიგრანტ-აგენტებს სამი მხარისგან ჰქონდათ დავალება მიცემული: ჟორდანიასგან, თეფიქ-ბეისა და ბრიტანული დაზვერვისგან. კიმ ფილბი წერს: „ჩვენ თავაზიანები უნდა ვყოფილიყავით ჟორდანიასთან, ვინაიდან მას შეეძლო ჩვენთვის აგენტების კანდიდატურების დაბლოკვა, თუმცა ჩვენს დაუხმარებლად ვერც თავად მოახერხებდა საქართველოში საკუთარი ხალხის შეგზავნას. ბოლოს ჩვენ — მე, თეფიქ-ბეი და ორი ქართველი ერზურუმში ჩავედით.

ორივე ქართველი ოც წელზე ოდნავ მეტის თუ იქნებოდა და პარიზში დაბადებულებს საქართველოზე მხოლოდ ემიგრანტებისგან მიღებული ინფორმაცია ჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანი აშკარად დათრგუნვილი იყო.

თეფიქ-ბეიმ აგვიხსნა, რომ მათ გადაგზავნას ახალციხესთან ახლომდებარე თურქული სოფლის მხრიდან აპირებდა.

ორივე ქართველი თურქ ოფიცერთან ერთად არდაღანში ჩავიდა, საიდანაც მათი გზა ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა.

მე თეფიქ-ბეისთან ვიჯექი, როცა არდაღანიდან მოვიდა შიფრდეპეშა და გაირკვა, რომ აგენტებმა საზღვარი გადალახეს. რამდენიმე წუთის შემდეგ სროლის ხმა გაისმა და ერთი აგენტი დაეცა, მეორე კი ტყის გავლით მიდიოდა და თურქეთის საზღვარს შორდებოდა. მის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი“.

სხვა ინფორმაციით, ორივე ქართველი ემიგრანტი საბჭოთა ტერიტორიაზე ჯერ შეუშვეს, შემდეგ კი ავტომატებით დაცხრილეს. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის სამხრეთი საზღვრებიდან უცხო ქვეყნების აგენტურის შემოგზავნის იდეა სამუდამოდ უნდა დასამარებულიყო.

ამ ქართველი პატრიოტების ვინაობა უცნობია, თუმცა შესაძლებელია ქართული ემიგრაციის არქივის საიდუმლო ნაწილში მათზე რაიმე ინფორმაცია არსებობდეს.

## დიქტატორ ენვერ ხოჯას გადასარჩენად

როგორც აღვნიშნეთ, 1949-1961 წლებში კიმ ფილბი ვაშინგტონში იყო, სადაც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან ერთობლივ ოპერაციებს უწევდა კოორდინაციას.

ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პოსტი ბრიტანულ დაზვერვაში. ვაშინგტონში ფილბის ხელი მიუწვდებოდა ამერიკის სპეცსამსახურების საიდუმლო მასალებზე.

ერთხელაც შეიტყო, რომ იგეგმებოდა ალბანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან ენვერ ხოჯას ლიკვიდაცია და ალბანეთში კომუნისტური წყობის დამხობა.

ეს ინფორმაცია მალე მოსკოვში აღმოჩნდა, საიდუმლო მოხსენებას სტალინი გაეცნო და ფანქრით მიაწერა: „გაანადგურეთ მიწაზე დაშვებამდე“.

მართლაც 700-მდე პარაშუტისტი ჰაერშივე დაცხრილეს, რამდენიმე ათეული კი ტყვედ ჩავარდა და ალბანეთ-



საბჭოთა მესაზღვრეები ელოდნენ აგენტების გადმოსვლას და ჩასაფრება მოაწყვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



კიმ ფილბის სინდისზეა
ორი ქართველი ემიგრანტის
მოღალატურად გაცემა და დახვრეტა

ში საჩვენებელი სასამართლოს წინაშე წარდგა.

ამ ოპერაციის ჩავარდნამ კი ის გამოიწვია, რომ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა უარი თქვეს აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში დაგეგმილ ანალოგიურ სპეცოპერაციებზე.

## ბელადის საჩუქარი

საბჭოთა ჩეკისტების „დიდ ადამიანურ თვისებებზე“, ალტრუიზმსა თუ „კომუნისტური იდეებისთვის“ უანგარო თავგანწირვაზე ლეგენდები იქმნებოდა. ერთ-ერთი ამგვარი ლეგენდა კიმ ფილბიზეც შეითხზა.

საბჭოთა სპეცსამსახურების ისტორიის ზოგიერთი რუსი მკვლევრის აზრით, **სწორედ „ახალციხის ოპერაციის“ შემდეგ დაინტერესდა იოსებ სტალინი კიმ ფილბის ბიოგრაფიით.** როცა გაიგო, რომ ფილბი კატეგორიულ უარს აცხადებდა ფულად ანაზღაურებაზე, სტალინმა 1947 წელს ხელი მოაწერა საიდუმლო ბრძანებას ფილბის „წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებაზე.

ამ ვერსიის თანახმად, **სტალინის განკარგულებით სპეციალურად „ახალციხის ოპერაციისა“ და თვით ფილბის 35 წლის აღსანიშნავად საბჭოთა აგენტს საჩუქრად გადასცეს ბარელიეფი არარატის მთის გამოსახულებით, რომელიც საუკეთესო საბჭოთა მხატვრებმა, იუველირებმა და მოქანდაკეებმა შექმნეს.**

40 სმ სიმაღლისა და 25 სმ სიგანის ბარელიეფში ოქრო, პლატინა, მცირე რაოდენობით ბრილიანტები და იშვიათი ხის მასალაა გამოყენებული.

ლეგენდით ფილბის იმდენად მოეწონა საჩუქარი, რომ ყოველთვის თან დაჰქონდა და გამოსაჩენ ადგილას დებდა. ასე გრძელდებოდა თექვსმეტი წელი. სტუმრები აღტაცებულნი იყვნენ ბარელიეფით, ფილბი კი ბარელიეფის წარმოშობის ყველა კითხვაზე თურმე ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა, რომ ბარელიეფი ას წელზე მეტი ხნისაა და მან ის მეძველმანისგან სტამბოლში იყიდა.

**ფილბი იძულებული გახდა 1963 წელს საბჭოთა კავშირში გაქცეულიყო და საჩუქარი მიატოვა.**

ლეგენდის თანახმად, სწორედ ეს ბარელიეფი გახდა ფილბის ჯაშუშობის მტკიცებულება. ლონდონიდან ბეირუთში ჩასულ MI-5-ის ჯგუფში კონტრდაზვერვის თანამშრომლებთან ერთად სხვადასხვა დარგის ექსპერტებიც შედიოდნენ. ჯგუფმა ყურადღებით შეისწავლა ფილბის სახლი, მისი პირადი ოთახი და ნივთები, მაგრამ საბჭოთა სპეცსამსახურებთან ფილბის კავშირის მტკიცებულებებს ვერ მიაგნო. **ბინის დატოვებამდე ცოტა ხნით ადრე ექსპერტს, რომელიც ხელოვნებათმცოდნე იყო, ყურადღება სასტუმრო ოთახში მოციმციმე ბარელიეფისთვის მიუქცევია. სპეციალური აპარატურის მეშვეობით დადგინდა, რომ ბარელიეფი ხელოვნურად იყო „დაძველებული“ და სინამდვილეში ოც წელზე მეტი ხნისა არც იყო.**

**„ანტიკვარის“ უფრო ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საბჭოთა დაზვერვის მეორე შეცდომაც თვალნათელი გახდა. აღმოჩნდა, რომ არარატის „ორთავიანი მთა“, როგორიც ის წარმოდგენილი იყო ბარელიეფზე, ადამიანმა შეიძლება დაინახოს მხოლოდ საბჭოთა კავშირის მხრიდან, მაგრამ თურქეთიდან ვერაფრით ვერ დაინახავს. ასე რომ, „ის, ვინც ბარელიეფს აკეთებდა, საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან უყურებდა მას“,** – დაასკვნეს თურმე ბრიტანეთის კონტრდაზვერვაში.

## გალოთებული „სამუზეუმო ექსპონატი“

საბჭოთა კავშირში გაქცევის შემდეგ კიმ ფილბი კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს კონსულტანტად დანიშნეს, თუმცა მას მხოლოდ წვრილმან საკითხებზე თუ მიმართავდნენ.

თავდაპირველად საზღვარგარეთ არ უშვებდნენ, შემდეგ კი მხოლოდ „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებში გამგზავრების ნება დართეს. თან კა-გე-ბეს თანამშრომლების მთელი ამალა დაჰყვებოდა აშკარად თუ ფარულად.

1973 წელს კიმ ფილბი კიდევ ერთხელ დაქორწინდა, 61 წლის ორმაგი ჯაშუშის „რჩეული“ 38 წლის სანდომიანი რუფინა პუხოვა იყო. დიდი მარჩიელობა არ უნდა იმას, რომ რუფინა კა-გე-ბეს სპეციალურად მიჩენილი აგენტი გახლდათ, რომელიც ფილბის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა და სუკ-ს აცნობებდა.

„როგორც მეუბნებოდა, საბჭოთა კავშირში ჩამოსულს უამრავი იდეა და წინადადება ჰქონდა, მაგრამ მისი აზრებით არავინ დაინტერესდა. ამიტომ დარდის გასაქარვებლად ვისკის მიჩვეული ინგლისელი საბჭოთა კავშირში კონიაკსა და არაყს მიეძალა. ერთხელ პირდაპირ მითხრა, რომ ეს იყო თვითმკვლელობის ყველაზე იოლი გზა“, – იხსენებს რუფინა პუხოვა, რომელიც იძულებული იყო სასმელი საგულდაგულოდ გადაემალა.

კიმ ფილბი 1988 წელს, საბჭოთა კავშირში გაქცევიდან 25 წლის შემდეგ გარდაიცვალა. **ის წლების განმავლობაში გადასცემდა საბჭოთა დაზვერვას ინფორმაციას, რომელსაც ასობით ადამიანი შეეწირა. თუ დემოკრატიული საზოგადოებისთვის კიმ ფილბი მოღალატეა, რუსეთისთვის კვლავ გმირი და ხელშეუხებელი კერპია.**

**ბესიკ ალადაშვილი**

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge



„სულის დაცემა ანადგურებს არმიას; შეცდომითი გათვლები – სახელმწიფოს“

ძველი დროის ჩინელი ფილოსოფოსი ჰუან ში-გუნი

# სუეცის კრიზისი

**„სუეცის კრიზისი“, ანუ არაბეთ-ისრაელის მეორე ომი (1956 წ.), ხანმოკლე მსვლელობის მიუხედავად, პოლიტიკური და სამხედრო პერიპეტიებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ქართველი მკითხველისთვის ეს საინტერესო უნდა იყოს იმ უამრავი პარალელის და ანალოგის გამო, რომელიც ამ ომსა და საქართველოს უახლესი ისტორიის შედარებისას მრავლად მოიძებნება.**

## ომის წინა პირობა

1948-49 წლებში დამარცხების შემდგომ არაბულმა ქვეყნებმა დაიწყეს ძალების მოკრება „მეორე რაუნდში“ რევანშის მისაღწევად. იმავდროულად არ თაკილობდნენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ისრაელის ახალჩამოყალიბებულ სახელმწიფოს „სიცოცხლეს გაურთულებდა“.

კერძოდ, ისრაელთან ფაქტობრივად შეწყვიტეს სავაჭრო კავშირები, გამოუცხადეს სრული ეკონომიკური ბლოკადა, გადაუკეტეს სუეცის არხი, ხოლო ეგვიპტის ჯარებმა ისრაელის საზღვაო პორტ ეილათისკენ მიმავალი აკაბის სრუტე დაბლოკეს.

სახელმწიფო საზღვრები არ იყო აღიარებული, რის გამოც „ფიდაინების“ შეიარაღებული ჯგუფები დაუბრკოლებლად გადადიოდნენ და ამის შედეგად მხოლოდ 1953 წელს 180 ისრაელის მოქალაქე მოკლეს. სასაზღვრო ინციდენტები ყოველდღიურ, ჩვეულ მოვლენად იქცა.

**ამ დაპირისპირებაში არც ისრაელის სპეცსამსახურები მოქმედებდნენ „თეთრი ხელთათმანებით“. ერთ-ერთი გახმაურებული ოპერაცია „სუსანა“ იყო, რომლის განხორციელებისას „მოსადი“ (ისრაელის დაზვერვა) ეგვიპტის ტერიტორიაზე უცხოელებზე თავდასხმებისა და ყველაფრის ეგვიპტელი ისლამისტებისთვის გადაბრალებას ცდილობდა. ამით ეგვიპტესა და მეორე მხრივ ბრიტანეთ-აშშ-ის შორის ურთიერთობის გაუარესება სურდა. ოპერაციის ჩავარდნის შედეგად ისრაელში წარმოიქმნა შიდაპოლიტიკური სკანდალი, რომელიც „ლავონის საქმის“ სახელით არის ცნობილი.**

ვინაიდან ისრაელის შეიარაღებული ძალები ვერ აუდიოდნენ ამგვარ პარტიზანულ ქმედებებს, საჭირო გახდა იმპროვიზებული მეთოდების შემოტანა.

ერთ-ერთი მათგანი „ქვედანაყოფი 101“ (კომანდოს) გამოყენება გახდა. მას 25 წლის ენერგიული მაიორი არიელ შარონი მეთაურობდა.

დანაყოფი ფიდაინებზე ნადირობის მიზნით იორდანიის ტერიტორიის სიღრმეში ღამის საიდუმლო რეიდებს ახორციელებდა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და 1953-55 წლებში იორდანიის საზღვარზე ინციდენტები მნიშვნელოვნად შემცირდა.

არაბეთ-ისრაელის 1956 წლის ომის საბრძოლო მოქმედებათა რუკა






ბრიტანული გამანადგურებელ-ბომბდამშენები Sea Venom-ები ავიამზიდის გემბანიდან ასაფრენად ემზადებიან

იმავე პერიოდში ეგვიპტემ ჩეხოსლოვაკიასთან ხელი მოაწერა კომერციულ შეთანხმებას იარაღის მიწოდებაზე, რამაც კრიზისი წარმოქმნა. „ჩეხოსლოვაკიური ხელშეკრულება“ რეგიონში ძალთა თანაფარდობას ეგვიპტის სასარგებლოდ სრულად ცვლიდა.

ხელშეკრულებით ეგვიპტე იღებდა მეორე თაობის 150 ავიაგამანადგურებელს, 50 ბომბდამშენს, 300-ზე მეტ ტანკსა და თვითმავალ საარტილერიო დანადგარს, თანაც გაცილებით უკეთესს, ვიდრე ისრაელის 86 მოძველებული „შერმანი“ იყო. ასევე გათვალისწინებული იყო 200 ჯავშანტრანსპორტიორისა და სამხედრო ხომალდების – მათ შორის 6 წყალქვეშა ნავის (!) მიწოდება.

კითხვა, სახმელეთო ქვეყანა ჩეხოსლოვაკიას, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ ჰქონდა, საიდან გაუჩნდა წყალქვეშა ნავები, არავის გასჩენია. თუმცა ისედაც ყველასთვის ნათელი იყო, რომ ხელშეკრულების უკან სსრკ იდგა.

ამ პირობებში ისრაელი დადგა დილემის წინაშე, ან დაუყოვნებლივ დაეწყო საომარი მოქმედებები და დაესწრო ეგვიპტისთვის, ან თავადაც მოეძებნა შეიარაღების მიწოდების წყარო.

ებრაელი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები მოედვნენ მსოფლიოს, რათა ეპოვათ ქვეყანა, რომელიც იარაღის მიყიდვას დასთანხმდებოდა.

პარიზში, ჟენევასა და ევროპის სხვა დედაქალაქებში შეხვედრები შედგა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ფორესთან, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მაკმილანსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ ფოსტერ დალასთან, ასევე ბევრ სხვა სახელმწიფო მოხელესთან.

შეხვედრები პოზიტიური ნამდვილად არ იყო: ევროპელების გაღიზიანებას იწვევდა ისრაელის წარმომადგენლების გამოჩენა იმ დროს, როდესაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მთავრობები „ნამდვილად მნიშვნელოვან, გლობალურ პრობლემებს“ განიხილავდნენ.

ასე რომ, იარაღის მიყიდვაზე ისრაელმა უარი მიიღო. სამაგიეროდ მიეცა რჩევები, რომ „ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტა“, „მცირე ზომის ქვეყნის ბედი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო არა მის შეიარაღებაზე, არამედ გაეროსა და საერთაშორისო შეთანხმებების დაცვაზე“, „საჭირო იყო ტერიტორიულ დათმობებზე დაფიქრებულიყვნენ“ და სხვა.

მსგავსი დეკლარაციების მიუხედავად, დასავლელი ლიდერები ხვდებოდნენ, რომ ეგვიპტის საბჭოთა იარაღით გაძლიერება რეგიონში სსრკ-ის გავლენის სწრაფ ზრდას იწვევდა.

გადაწყდა ეგვიპტე-ისრაელის დაპირისპირების დარეგულირება, რისთვისაც ისრაელს გარკვეული ტერიტორიები სამხრეთით, ანუ ნაგევის ნაწილი უნდა დაეთმო, რითაც ეგვიპტე იორდანიასთან საერთო საზღვარს იღებდა და აგრეთვე, პალესტინელი ლტოლვილები უნდა მიეღო.

ამის მისაღწევად ისრაელის დარწმუნება და იარაღის მიწოდებაზე გაუთავებელი მოლაპარაკებით „დაბმა“ და „დაიმედება“ იყო საჭირო.

ამგვარ მეთოდებს ისრაელი ეგვიპტესთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან უნდა მიეყვანა. ამ დიპლომატიურად „დიდოსტატურ“ კომბინაციაში ყველაფერი გათვალეს, გარდა შემდეგი მთავარი ასპექტებისა: ისრაელმა უარი თქვა არაბებისთვის თავისი ტერიტორიის 1/3-ის, წითელ ზღვაზე მისი ერთადერთი პორტის დათმობასა და საზღვრებზე მდგომარეობის გაუარესებაზე – ეგვიპტის ლიდერის მხოლოდ პატიოსანი სიტყვის სანაცვლოდ.

თავის მხრივ, გამალ აბდელ ნასერიც არ იყო თანახმა შემოთავაზებულ გეგმაზე იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში კომუნისტურ ბლოკსა და დასავლეთს, კერძოდ, აშშ-ს, არჩევანი ამ



ეგვიპტელი ჯარისკაცი სუეცის მახლობლად პოზიციაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა გაეკეთებინა, რაც არ შედიოდა მის გეგმებში. ის საკუთარ თავს თვლიდა არა მხოლოდ ეგვიპტის, არამედ მთელი არაბული სამყაროს ლიდერად, სადაც ისრაელთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომაც კი მკრეხელობად აღიქმებოდა. იმავდროულად ეგვიპტემ ნაგევი მთლიანად მოითხოვა.

ამ ვითარებაში ისრაელმა იარაღის შეძენისთვის საფრანგეთში მოულოდნელად ნოყიერი ნიადაგი აღმოაჩინა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ისრაელი მზად იყო ხანგრძლივი ხელშეკრულების საფუძველზე ფრანგული იარაღი ნაღდი ფულით შეეძინა. ასევე მიეწოდებინა სადაზვერვო მონაცემები ეგვიპტის სპეცსამსახურის მოქმედებებზე.

მოლაპარაკებებს დამატებითი იმპულსი მისცა ინდოეთის ბაზარზე საბჭოთა МиГ-ების თითქმის მუქთად გამოჩენით 200 ფრანგული თვითმფრინავის თამაშგარეთ დატოვებამ.

ამ დროს ისრაელი მზად იყო 100 ერთეულის შეძენისთვის და შეთანხმებაც უაღრესად საიდუმლო ვითარებაში გაიმართა. ამის შესახებ არ იცოდა არა მარტო ამერიკულმა მხარემ, არამედ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც.

ისრაელმა ასევე მიიღო 180 მსუბუქი ტანკი AMX-13 და 160 მოდერნიზებული ტანკი „შერმანი“.

AMX-13 აღჭურვილი იყო 75 მმიანი გრძელლულიანი ქვემეხით და 60 კმ/სთ-ში სიჩქარეს ავითარებდა. სუსტი ჯავშნის მიუხედავად, ტანკსაწინააღმდეგო და სადაზვერვო დანიშნულებით ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა.

პარალელურად ინტენსიურად დაიწყო სამხედროთა მომზადება. წვრთნები მიმდინარეობდა უწყვეტად, დღისითა თუ ღამით.

1956 წელს 890-ე პარაშუტისტთა ბატალიონისა და „ქვედანაყოფ 101“-ის ბაზაზე ჩამოყალიბდა 202-ე პარაშუტისტთა ბრიგადა, რომლის მეთაურად უკვე ვიცე-პოლკოვნიკი არიელ შარონი დაინიშნა.

ებრაელმა მფრინავებმა დაიწყეს ახალი ტაქტიკური მეთოდების ათვისება, რომელიც შემუშავებული იყო ერთ-ერთი საუკეთესო ებრაელი მფრინავის, გენერალ დან ტოლკოვსკის მიერ და სწრაფ МиГ-15-თან ბრძოლაში გარკვეულ შანსს იძლეოდა.

მეთოდი მდგომარეობდა შემდეგში: МиГ-15-ს საშუალებას აძლევდნენ ებრაული თვითმფრინავისთვის კუდიდან შემოევლო და ბოლო მომენტში ეს უკანასკნელი სიჩქარის მკვეთრი დაგდებით პიკირებას აზდენდა და მოწინააღმდეგეს წინ ატარებდა. ებრაელი მფრინავი 2-3 წმ-ს იგებდა, რომლის დროსაც მოწინააღმდეგის ჩამოგდება უნდა მოესწრო. მეთოდი მეთოდია, მაგრამ საჭირო იყო მისი ათვისება, რაც უდიდეს სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მდგომარეობა შედარებით თანამედროვე 36 ფრანგული საფრენი აპარატების მიღების შემდგომ გაუმჯობესდა.


მარცხნივ ისრაელის არმიის გენშტაბის უფროსი — პოლკოვნიკი მოშე დაიანი

ამასობაში საერთო სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ სწრაფად დაიწყო გაუარესება მას შემდეგ, რაც 1956 წლის 26 ივლისს ნასერმა განაცხადა სუეცის არხის ნაციონალიზების შესახებ.

ამან დიდი ბრიტანეტის პრესტიჟი დააყენა დიდი დარტყმის ქვეშ ახლო აღმოსავლეთში, რის გამოც ეგვიპტეში სამხედრო ოპერაციის დაუყოვნებლივ დაწყება გადაწყდა.

ბრიტანეთს საფრანგეთიც შეუერთდა, რომელიც ასევე წარმოადგენდა არხის თანამფლობელს და ამასთან ნასერის ხელისუფლების დამხობაც სურდა. ფრანგებმა მონაწილეობა ისრაელს შესთავაზეს, ვინაიდან თავად ბრიტანელები ისრაელთან ღია ალიანსს და ამით არაბთა თვალში კიდევ უფრო დისკრედიტირებას ერიდებოდნენ.

მოკავშირეთა გეგმა შედგებოდა შემდეგი ფაზებისგან: ისრაელი შეტევას სინაზე იწყებდა. ბრიტანეთ-საფრანგეთი ორივე მხარეს ულტიმატუმს უცხადებდნენ და არხიდან 10-10 მილით დახევას მოსთხოვდნენ, რასაც ისრაელი დაუყოვნებლივ შეასრულებდა. თუკი ეგვიპტე იმავეს არ გააკეთებდა, მაშინ 72 სთ-ის შემდეგ ბრიტანეთი და საფრანგეთი სამხედრო მოქმედებას დაიწყებდნენ.

## ოპერაცია „კადეში“

1956 წლის 25 ოქტომბერს ისრაელში მობილიზაცია გამოცხადდა. ფრანგული გამანადგურებელ-გადამჭერებმა 28 ოქტომბრიდან დაიწყეს ისრაელის აეროდრომებზე განლაგება, ხოლო 2 საესკადრო ნაღმოსანი და 1 კრეისერი რეიდზე პორტ ხაიფასთან დადგა. 3 ათასი ფრანგი სამხედრო განთავსდა საგანგებოდ მათთვის მომზადებულ ბაზაზე.

1956 წლის 29 ოქტომბერს ომი დაიწყო, თუმცა ნებისმიერი სამხედრო ლოგიკის საწინააღმდეგოდ ისრაელის სამხედრო გეგმებში უკანასკნელ წამს ცვლილებები შევიდა:

პარაშუტისტთა ბრიგადას უნდა ემოქმედა არა მნიშვნელოვანი ობიექტების მიმართულებით, არამედ სინის სიღრმეში, მითლას უღელტეხილის მიმართულებით, არხიდან 40 კმ დაშორებით;

ოპერაციის დაწყების შესახებ უნდა გამოცხადებულიყო რადიოთი;

პირველი 36 სთ ავიაციისა და ტანკების გამოყენება არ იგეგმებოდა;

**ვახტანგ კაპანაძე**

***ბრიგადის გენერალი***

***გენერალური შტაბის***

***ყოფილი უფროსი***

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა სურთ მექსიკელ ინდიელებს მთავრობისგან



საპატისტები მექსიკის დროშით, 2001 წლის ფოტო

**იუკატანის ნახევარკუნძული მექსიკის შემადგენლობაში შედის და ერთ-ერთი მაღალკულტურული ინდიელი ხალხის – მაიას სამშობლოა. მაიას ერი თითქმის 200 წელია, ეროვნული თვითგამორკვევისთვის იბრძვის, თუმცა მექსიკის საზღვრებს გარეთ „იუკატანის კრიზისის" შესახებ ცოტა ვინმეს თუ სმენია.**

**სხვათა შორის, კრიზისი უკიდურესად გამწვავდა ზუსტად ათი წლის წინ და ზოგან (მაგალითად, ლაკანდონის ჯუნგლებში, რომელიც იუკატანის სამხრეთ ნაწილში – ჩიაპასის შტატში მდებარეობს) შეიარაღებულ შეტაკებაშიც კი გადაიზარდა.**

**მექსიკის სამთავრობო ჯარებს იქ „საპატისტებად" წოდებულ ინდიელ მემარცხენეთა არმია უპირისპირდებოდა და საკმაოდ ეფექტურადაც. 2001 წელს ამ არმიის მებრძოლებმა იუკატანიდან მეხიკოში ე. წ. „უიარაღო მარშირება" მოაწყვეს და მთავრობასთან შეთანხმებას მიაღწიეს.**

**ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს დააინტერესებს იუკატანის კრიზისის დეტალები, რამდენადაც ავტონომიასა და ცენტრს შორის დაპირისპირება ჩვენი ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი პრობლემაა და ჩვენთანაც ისევე, როგორც მექსიკაში, ეს ყველაფერი პირდაპირ უკავშირდება გლობალურ გეოპოლიტიკას.**

## კრიზისის დასაწყისი: შეიარაღებულ დაპირისპირებას შეწირული მთავრობა

იუკატანზე მთავრობასა და ადგილობრივ ინდიელებს შორის ურთიერთობის გამწვავების მორიგი ეტაპი გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, როცა მექსიკის მესვეურებმა ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები გაატარეს და მკვიდრ მოსახლეთა — ინდიელთა უფლებები შესამჩნევად შეზღუდეს. კერძოდ, გაუქმდა ე.წ. „ეხიდოსები" ანუ მიწის კოლექტიურ მფლობელთა ჯგუფები და სანაცვლოდ, ხალხს მოუწოდეს, რომ ნაკვეთები ინდივიდუალური იჯარით აეღოთ.

ამასთან, ხელისუფლებამ ტომის ბელადებიც (როგორც მექსიკაში უწოდებენ — „კასიკები") შეზღუდა, ჩამოართვა მათ მთელი რიგი უფლებები: კასიკებს აეკრძალათ თანატომელთა გასამართლება და იმ რიტუალთა ჩატარება, რომლებიც არსით მექსიკის კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. აქ იგულისხმებოდა, უპირველეს ყოვლისა, მაიას ხალხში ძველი დროიდან ფეხმოკიდებული ე.წ. „კოკოშკუუვაას" ჩვეულება, როცა ახალდაბადებულ ტყუპთაგან ერთ-ერთს — შედარებით სუსტს ნაყოფიერების ღმერთს მსხვერპლად სწირავდნენ.

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მექსიკის ხელისუფლება ვერაფრით ახერხებდა „კოკოშკუუვაას" აღმოფხვრას, მიუხედავად იმისა, რომ მის მონაწილეებს ყოველთვის უმკაცრესად სჯიდა ხოლმე.

მთავრობასა და ინდიელებს შორის დაპირისპირებამ განსაკუთრებით მწვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე ხასიათი მიიღო ჩიაპასის შტატში, რომლის მოსახლეობის 100% ინდიელია. ჩიაპასი ფართობით საქართველოს ოდნავ აღემატება და 1820-23 წლებში დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო და მერე კი მექსიკას შეუერთდა.

**იქაურებს ყოველთვის სურდათ მეხიკოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა, რასაც მეხიკოში „სეპარატიზმად“ ნათლავდნენ. არადა, მექსიკის ჩამოყალიბების თავისებურება რომ გავითვალისწინოთ, ინდიელთა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ სეპარატიზმად ვერ ჩაითვლება.**

სხვა საქმეა, რომ მექსიკის მესვეურები, როგორც წესი, თანამედროვე მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებულ, სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის პრინციპს ეყრდნობოდნენ და ეყრდნობიან დღესაც.

1992 წლის ბოლოს, ჩიაპასის შტატის ჩრდილო ნაწილში მდებარე ლაკანდონის ჯუნგლებში გამოჩნდნენ ინდიელი მემარცხენე-რადიკალები, რომლებიც საკუთარ თავს „საპატისტებს“ უწოდებდნენ.

მთავრობისადმი მათი ძირითადი მოთხოვნა ის იყო, რომ შეწყვეტილიყო ინდიელთა შევიწროება, მეხიკოს ეცნო კასიკების ყველა უფლება და იმ შტატებში, სადაც უმრავლესობას მაიას ინდიელები შეადგენდნენ, სახელმწიფო ენად, ესპანურთან ერთად, მაიაც გამოეცხადებინათ.

„საპატისტები“ თავიანთ იდეურ წინამძღოლად 1910-20 წლების მექსიკის რევოლუციის ერთ-ერთ ბელადს — ემილიანო საპატას მიიჩნევდნენ. საპატა კი თავის დროზე სამხრეთ მექსიკაში ინდიელ ტომთა გაერთიანებით, უტოპიურ-კომუნისტური სახელმწიფოს შექმნას გეგმავდა და ასე განსაჯეთ ამის თაობაზე ლენინთანაც კი ჰქონდა მიწერ-მოწერა. 1917 წელს ინდიელი კომუნისტი სიკვდილით დასაჯეს.


საპატისტთა მეთაური სუბკომანდანტე მარკოსი პრესკონფერენციაზე, 2002 წელი, მეხიკო

თანამედროვე „საპატისტებმა“ კი ემილიანო საპატას იდეებს ხორცი ხელახლა შეასხეს, რამაც გლობალიზაციის პროცესში აქტიურად ჩართულ მექსიკას უდიდესი პრობლემა შეუქმნა.

როგორც კი ლაკანდონის ჯუნგლებში საპატისტებსა და სამთავრობო ჯარს შორის შეტაკებები დაიწყო, სიტუაცია გართულდა სამხრეთ მექსიკის იმ შტატებშიც, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ინდიელები შეადგენენ. თვით მექსიკის დედაქალაქშიც კი უმრავლესობა ინდიელია, თუმცაღა ელიტა თეთრკანიანებისგან შედგება.

**„ინდიელთა პრობლემა“ მექსიკაში ყოველთვის არსებობდა და ხელისუფლებაც ძველთაგანვე მის გადაჭრას „მეტისიზაციის“ გზით ცდილობდა — ყოველ თეთრკანიანს, რომელიც ინდიელზე დაქორწინდებოდა, წახალისების მიზნით, გარკვეული პრივილეგიები ენიჭებოდა.**

ამგვარი პოლიტიკის გამოისობით


სუბკომანდანტე მარკოსი მეხიკოს ცენტრში გამართულ საპატისტთა მხარდამჭერ მიტინგზე, 2000 წელი



მექსიკა და იუკატანის ნახევარკუნძული

იუკატანის ნახევარკუნძულის გარდა (სადაც მაიას ინდიელები გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ „მეტისიზაციას“), მექსიკის თითქმის ყველა „წითელ“ შტატში (ასე უწოდებენ იმ შტატებს, სადაც უმრავლესობას ინდიელები შეადგენენ) საფრთხის ქვეშ დადგა ან საერთოდ მოისპო ადგილობრივი ინდიელების ენები და კულტურა. რამდენადაც მეტისები ესპანურენოვანნი იყვნენ და შესაბამისად, მათი კულტურაც ესპანური იყო.

სხვათა შორის, მექსიკაში სწორედ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩათვალეს, რომ „ინდიელთა პრობლემა“ მწვავედ აღარ იდგა და რეფორმების გატარებას მიჰყვეს ხელი, მაგრამ შეცდნენ.

**იუკატანზე დაწყებულ საპატისტურ ჯანყს სათავეში მაიას ბელადი — რობერტო მატანსას ი გარსია ედგა. ის მექსიკის არმიის გადამდგარი მაღალჩინოსანი იყო და განათლება აშშ-ში — კიი-უესტის აკადემიაში ჰქონდა მიღებული.**

1995 წელს ბელადმა მსოფლიო საზოგადოებრიობის გასაგონად პირველად განაცხადა, რომ ჩიაპასელი ინდიელები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ და მემარცხენე შეხედულებისანი იყვნენ: „ჩვენ იარაღს არ დავყრით, სანამ მიზანს არ მივაღწევთ და თეთრკანიანებს არ განვდევნით ჩვენი მიწებიდან... გვინდა, ისევე ვიცხოვროთ, როგორც წინაპრებმა გვიანდერძეს!“ — ასეთი იყო მატანსას ი გარსიას გზავნილი ოფიციალური მეხიკოს მესვეურებისადმი.

მექსიკის იმჟამინდელ პრეზიდენტს — ერნესტო სედილიოს, რომელიც საერთოდ, ინდიელთა მიმართ ხისტი პოლიტიკით გამოირჩეოდა, რობერტო მატანსას ი გარსიას სახელის გაგონებაც კი აცოფებდა და, ამიტომ, ერთმნიშვნელოვნად თვლიდა, რომ საპატისტი აჯანყებულების წინააღმდეგ ძალა უნდა გამოეყენებინა.

ჩიაპასის შტატში საომარი მოქმე-




დებები უწყვეტად ათი წელი გაგრძელდა, რამაც სამხრეთ მექსიკის ისედაც დაქცეულ ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიაყენა. ჩიაპასიდან და სხვა „წითელი“ შტატებიდან ლტოლვილთა და უმუშევართა მრავალათასიანი ნაკადები მიედინებოდა ჩრდილოეთის „თეთრი“ შტატებისკენ, რომელიც შეერთებულ შტატებთან მეზობლობის წყალობით, ეკონომიკურად იმთავითვე სამხრეთზე მეტადაა განვითარებული; თუმცა, ლტოლვილებს ვერც ჩრდილოეთი იტევდა — სამხრეთელები არალეგალურად, მასობრივად გადადიოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც შემდგომში უამრავ პრობლემას ქმნიდნენ; XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე მექსიკიდან ჩამოსულ არალეგალურ იმიგრანტთა საკითხი ვაშინგტონის დიდ თავსატეხად იქცა.

ამგვარ ფონზე იუკატანის კრიზისის გადაჭრა მექსიკისათვის ნომერი პირველი პრობლემა იყო, თუმცალა სედილიოს მთავრობა, რომლის წევრებიც ინსტიტუციურ-რევოლუციურ პარტიას ეკუთვნოდნენ (ეს პარტია მექსიკის სათავეში 1917 წლიდან იდგა), საკითხის უმტკივნეულოდ გადაჭრას ვერ


მაიას ხალხის წინაპრების მიერ აგებული ბელ-იტცას პირამიდა ჩიაპასში. იქ ინდიელები დღესაც აღასრულებენ უძველეს რიტუალებს

ახერხებდა — იუკატანისკენ ისევ და ისევ მიემართებოდა სამთავრობო ჯარების კოლონები, ომი გრძელდებოდა და აშშ-ის საზღვარზეც ვითარება დაძაბული იყო.

2000 წლიდან მექსიკის მთავრობაშიც და საპატისტების ხელმძღვანელობაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა — **პრეზიდენტად ეროვნული ქმედების პარტიის მეთაური, ვისენტე ფოქსი აირჩიეს, ხოლო საპატისტთა ლიდერი კი „სუბკომანდანტე მარკოსის" ფსევდონიმით ცნობილი პიროვნება გახდა. მარკოსის ნამდვილი სახელი დღესაც უცნობია.**

ერთ-ერთი შეტაკებისას ლიკვიდირებული რობერტო მატანსას გარსიასგან განსხვავებით, იგი ჩიაპასის დამოუკიდებლობაზე აღარ საუბრობდა და, მთლიანად მექსიკის ინდიელთა კეთილდღეობისთვის მებრძოლად აცხადებდა თავს.

თავის მხრივ, მექსიკის პრეზიდენტი ვისენტე ფოქსიც მიიჩნევდა, რომ ინდიელთა პრობლემის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით უნდა მომხდარიყო. ცხადია, სიტუაციის ამგვარი — ერთი შეხედვით უეცარი — ცვლილება გლობალური პოლიტიკის შედეგი იყო.

## კრიზისის საერთაშორისო გამოძახილი: რითი შეაწუხეს მაიას ინდიელებმა „ძლიერნი ამა ქვეყნისანი"

მექსიკაში მიმდინარე საპატისტური ჯანყი, ერთი შეხედვით, ამ ქვეყნის შინაურ საქმეს წარმოადგენდა, მაგრამ მოვლენათა განვითარებამ უჩვენა, რომ ასე სულაც არ იყო.

მაიას ინდიელთა პრობლემის მოგვარებით, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები იყო დაინტერესებული, რამდენადაც სამხრეთ მექსიკაში მიმდინარე საომარი მოქმედებები, როგორც უკვე აღინიშნა, პირდაპირ დაკავშირებული იყო არალეგალურ იმიგრაციასთან, რაც თავის მხრივ, ძაბავდა აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ შტატებში არსებულ, ისედაც საკმაოდ მძიმე კრიმინოგენულ ვითარებას. აქედან გამომდინარე, მექსიკის მთავრობასა და საპატისტების მეთაურობაში მომხდარი ერთდროული ცვლილება საკმაოდ საეჭვოდ გამოიყურებოდა.

ოპოზიციაში აღმოჩენილი ინსტიტუციურ-რევოლუციურმა პარტიის მესვეურებმა მაშინვე სცადეს, ამ ყველაფრისაგან სკანდალი აეგორებინათ, თუმცა



მექსიკის ექს-პრეზიდენტი ვისენტე ფოქსი



მექსიკის ექს-პრეზიდენტი ერნესტო სედილიო

ბევრი ვერაფერი მოახერხეს — ვისენტე ფოქსის ლიბერალური განცხადებები დაპირისპირებით დაღლილ მექსიკის მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ოპოზიციამ მათ ვერაფერი დაუპირისპირა.

**არადა, როგორც შემდგომში გამოირკვა, აშშ-ის მესვეურები მართლაც იყვნენ ჩართულნი მექსიკის პრობლემის მოგვარებაში და, ვისენტე ფოქსის გამარჯვებასაც ირიბად მათვე შეუწყვეს ხელი.**

მექსიკური გაზეთი „ასი ესი" 2005 წელს ღიად წერდა, რომ ვისენტე ფოქსის საარჩევნო კამპანიას აშშ-ში მოღვაწე მექსიკელი ბიზნესმენები აფინანსებდნენ, ხოლო მათ უკან კი თეთრი სახლის სილუეტი იკვეთებოდა. ასეა თუ ისე, ვისენტე ფოქსმა გამარჯვებისთანავე დაუფასა მხარდამჭერებს ამაგი და ინდიელ საპატისტთა ინკოგნიტო ლიდერი მოლაპარაკების მაგიდასთან მიიწვია.

**თავის მხრივ, „სუბკომანდანტე მარკოსი" ხალისით ურთიერთობდა მასმედიის საშუალებებთან, მაგრამ მუდამ ნიღაბი ეკეთა და საკუთარ თავზეც არ საუბრობდა.** გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ჩიაპასის დამოუკიდებლობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და, სწორედ ამიტომაც, რადიკალურად განწყობილი თვისტომები მას მოსყიდულად მიიჩნევდნენ. მიუხედავად ამგვარი ჭორებისა, საპატისტების ახალ მეთაურს პოპულარობა არ აკლდა — მას „XXI საუკუნის ჩე გევარასაც" უწოდებდნენ და მასმედიითაც არნახულ პიარს უკეთებდნენ. ამიტომაც იყო, რომ საპატისტური მოძრაობის წევრთა შორის „სუბკომანდანტე მარკოსის" მოწინააღმდეგეთა რიცხვი გაიზარდა.

2001 წლის თებერვალში, როდესაც საპატისტებმა, სუბკომანდანტეს მეთაურობით იუკატანიდან მეხიკოში „უიარაღო მარშირება" მოაწყვეს და დედაქალაქში ჩასულებმა საჯაროდ გამოაცხადეს ომის დამთავრება და მთავრობასთან მორიგება, რადიკალმა საპატისტებმა, რომლებმაც იარაღის დაყრაზე იმთავითვე კატეგორიული უარი განაცხადეს, ახალი დაჯგუფება — „ჭეშმარიტ საპატისტთა მემარცხენე არმია" შექმნეს. ისინი მექსიკის მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას დღესაც აგრძელებენ, ოღონდ შედარებით ნაკლები ინტენსივობით.

## იუკატანის კრიზისი ამჟამად

დღეს მექსიკაში ინდიელთა პრობლემა მთელი სიმწვავით არ დგას, მაგრამ ლაკანდონის ჯუნგლებში მემარცხენე პარტიზანები კვლავაც მოქმედებენ. ეს ხალხი ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით ვერ სარგებლობს, რადგან ჯერ ერთი, ინდიელები უწინდელზე ფართოდ არიან ჩართული მექსიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ ეკონომიკურ კეთილდღეობას უდიდესი ყურადღება ექცევა და, მეორეც — ქვეყნის მთავრობა ინდიელთა ენების, კულტურის და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების დაცვის უპირველესი გარანტია და ამით წითელკანიანებში სეპარატისტული განწყობილების განეიტრალებასაც ახერხებს.

**მიხეილ ლაბაძე**

# C-1330H Hercules






# ბრიტანული ჯავშანტექნიკა
## 1920-39 წლების ტანკები

გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში პოპულარული იყო ფრანგი გენერლის ბაპტისტ ეტიენის მოსაზრება, რომ მაღალსიჩქარიან მსუბუქ ტანკებს პოზიციების გარღვევისა და დიდ სიღრმეზე მოქმედების უნარი შესწევდათ. იმ პერიოდში სატანკო ბრძოლები თითქმის არ განიხილებოდა, ამიტომ ტანკების ტყვიამფრქვევით შეიარაღებაც საკმარისად ითვლებოდა.

ეტიენის შეხედულებებს იზიარებდა ბრიტანეთის საინჟინრო ჯარების მაიორი ჟილბერტ ლე მარტელი და ის მომავალ ომებში მთავარ ძალად ერთადგილიანი დაჯავშნული მანქანებით აღჭურვილ მძიმე ქვეითებს ხედავდა.

მარტელმა იდეა საკუთარ გარაჟში აწყობილ უცნაური ფორმის მანქანად აქცია, სადაც მუხლუხები წამყვანის, ბორბლები კი მიმმართველის დანიშნულებას ასრულებდნენ.

1925 წლის აგვისტოში გამომგონებელმა გარაჟის მახლობლად უკაცრიელ ადგილზე კოლეგებს თავისი ნამუშევარი უჩვენა და მალევე დარწმუნდა, რომ ერთი კაცისთვის მძღოლის, მსროლელისა და დამკვირვებლის მოვალეობათა შეთავსება შეუძლებელი იყო.




ტანკეტი Morris-Martel: მასა — 2,2 ტ, ეკიპაჟი — 1 კაცი, ჯავშანი — 5-10 მმ, კარბურატორიანი ძრავა 16-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 16-24 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ამის მიუხედავად კარგმა სიჩქარემ სამხედროები მოხიბლა და ფირმა Morris-მა და Crossley-მ რამდენიმე მანქანის ერთ და ორადგილიან ვარიანტებად დამზადების შეკვეთა მიიღეს.

ყველა მანქანა ყოველმხრივი გამოცდა-შემოწმებისთვის სპეციალურად ჩამოყალიბებულ ექსპერიმენტულ მექანიზებულ ბრიგადას გადაეცა.

დაახლოებით იმ პერიოდში შემოვიდა ტერმინი „ტანკეტი", რომელიც ზემსუბუქ და სწრაფ, უკოშკურო ტანკს შეესაბამებოდა.

ტანკეტების იდეას კიდევ ერთი მხურვალე მხარდამჭერი ჰყავდა, — კა-

ტანკეტი Carden-Lloyd MkVI:
მასა — 1,4 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი,
ჯავშანი — 4-9 მმ,
კარბურატორიანი ძრავა
22,5-ცხ.ძალიანი,
სიჩქარე — 45 კმ/სთ-ში,
სვლის მარაგი — 160 კმ,
შეიარაღება — 7,7 მმ-იანი
ტყვიამფრქვევი



პიტანი ჯონ კარდენი. პირველი მსოფლიო ომის წლებში კარდენი არმიის უზრუნველყოფის სამსახურში მსახურობდა და მუხლუხა ტექნიკას კარგად იცნობდა.

კარდენმა კაპიტანი ვივიან ლოიდი შეიამხანაგა და მოკლე დროში ერთობლივად საცდელი ერთადგილიანი ტანკეტიც ააგეს, რომელსაც ოთხკუთხედი კორპუსი, წინა ნაწილში — ძრავა, შუაში — მართვის ორგანოები, უკან კი რადიატორი ჰქონდა.

1925 წლის ბოლოს „ქვეითთა მანქანის“ დემონსტრირება შედგა და დიდი სარეკლამო კამპანიის წყალობით პრესამ ეს მოვლენა ფართოდ განიხილა.

1926 წელს კარდენმა და ლოიდმა ერთობლივი ფირმა დააარსეს და იმავე წლის 8 ნოემბერს კემბერლის პოლიგონზე საერთო ნამუშევარი Carden-Loyd MkI გამოცადეს.

ერთადგილიანი მანქანის უპერსპექტივობაში დარწმუნებულმა გამომგონებლებმა ჯავშანკორპუსი გააფართოეს და მძღოლი-მექანიკოსი და მეთაური-მსროლელი ერთმანეთის მხარდამხარ დასვეს.

სამხედრო უწყება ტანკეტის შეიარაღებაში მიღებას არ ჩქარობდა, ხოლო კარდენი და ლოიდი ახალ-ახალ საცდელ მოდელებს ქმნიდნენ. ზოგიერთი პატარა პარტიებადაც კი მზადდებოდა და შემდგომი გამოცდებისთვის ექსპერიმენტულ მექანიზებულ ბრიგადას გადაეცემოდა, — ახალ ტექნიკას ხარვეზები არ აკლდა.

1928 წელს ინგლისური ჯავშანტექნიკის მთავარმა დამამზადებელმა Vickers-მა კომპანია Carden-Lloyd-ი შეიერთა და იმავე წლის ბოლოს კარდენლოიდის ტანკეტის — MkVI-ის აგებაც დასრულდა.

ნამუშევარმა, როგორც იქნა, სამხედროების მოწონება დაიმსახურა და „ვიკერსმა“ არმიისთვის 325 ტანკეტის დამზადების შეკვეთა მიიღო.

ნაწილობრივ დაჯავშნული, მარტივი და ტექნოლოგიური კონსტრუქციის MkVI-ის სროლა მხოლოდ შუბლის მხრიდან იყო შესაძლებელი, ამიტომაც არმიაში მას უფრო ტყვიამფრქვევმზიდისა და საარტილერიო გამწის დანიშნულებით იყენებდნენ.

მართალია, MkVI ექსპლუატაციაში საკმაოდ საიმედო იყო, მაგრამ ტანკეტის კონცეფცია ისე სწრაფად მოძველდა, რომ 1936 წელს შეიარაღებიდან მოიხსნა და სასწავლო ნაწილებს გადაეცათ, ხოლო შემდგომ საერთოდ ჩამოიწერა.



მცურავი საცდელი ტანკი L1E3

ბრიტანელები დროზე მიხვდნენ, რომ წრიულად მბრუნავი კოშკურისა და საიმედო ჯავშანდაცვის გარეშე ტანკეტის გამოყენება აზრს კარგავდა.

1925 წელს სამეფო არსენალის (Royal Ordnance Factory) ინჟინრებმა კარგი და თან იაფი მსუბუქ ტანკზე შეკვეთა მიიღეს და ჯავშანტექნიკის ალბათ ერთ-ერთი უჩვეულო ნიმუში (A3E1) დაამზადეს, რომელსაც კორპუსის ცხვირსა და კიჩოზე ერთნაირი კოშკურები ჰქონდა დაყენებული.

იაფმა ლითონის ფურცლებმა და ავტობუსის ძრავამ ტანკის ღირებულება კი შეამცირა, მაგრამ მისი საიმედოობა საეჭვო იყო, ამიტომ A3E1-მა სერიულ წარმოებამდე ვერ მიაღწია.

მსუბუქი ტანკის (A4E1) საკუთარი კონცეფცია 1929 წელს კარდენმა და ლოიდმა წარმოადგინეს.

გამომგონებლებმა თავიანთ ბოლო, მე-6 მოდელის ტანკეტზე კორპუსი და კომპანირება (წინ — ტრანსმისია, შუაში — საბრძოლო განყოფილება და კიჩოში — ძრავა) უცვლელად დატოვეს და წრიულად მბრუნავი კოშკურა დაუყენეს.

ეკიპაჟი ორი კაცით განისაზღვრა, მაგრამ კორპუსი და კოშკურა ტანკისტებისთვის საკმაოდ ვიწრო გამოდგა.

მომდევნო მოდელისთვის (A4E2)

მსუბუქი ტანკი MkVIb: მასა — 5,3 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, ჯავშანი — 4-14 მმ, კარბურატორიანი ძრავა 88-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 49-51 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 206 კმ, შეიარაღება — 7,7 მმ-იანი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევები



ეროვნული ბიბლიოთეკა



მსუბუქი ტანკი MkE(A): მასა — 7,0 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, ჯავშანი — 5-15 მმ, კარბურატორიანი ძრავა 91,5-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 37 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 120 კმ, შეიარაღება — ორი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

კორპუსი ხელახლა დაპროექტდა და მისი უკანა ნაწილი მთლიანად საბრძოლო განყოფილებასა და კოშკურას დაეთმო.

1930 წელს გამოცდა ჩატარდა და შედეგმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია — სამეფო-სატანკო კორპუსი ტანკის გაუმჯობესებას მოითხოვდა, ხოლო სამხედრო უწყება გამოცდების გაგრძელების მომხრე იყო და „ვიკერსს" ხუთი MkI (A4E2)-იც შეუკვეთა.

მოდერნიზებულ A4E6-ს სავალი ნაწილი გადაკეთებული ჰქონდა და დაჯავშნაც გაუძლიერდა, მაგრამ მოუხერხებელი კოშკურის გამო ისევ კრიტიკა დაიმსახურა.

„ვიკერსმა" სასურველ შედეგს მხოლოდ რამდენიმე საცდელი ნიმუშის დამზადების შემდეგ მიაღწია. ცვლილებების გამო A4E15-ის კორპუსი-კოშკურის სიმაღლე 30 სმ-ით ამაღლდა და ეკიპაჟის „სამუშაო" პირობებიც გაუმჯობესდა, ბორტებისა და შუბლის ჯავშანფურცლების დახრით ტყვიამედეგობა გაიზარდა და სხვ. თუმცა შეიარაღებაში ერთი ტყვიამფრქვევი შემორჩა.

ტანკი მოიწონეს და „ვიკერსმა" 1931 წელს სამეფო-სატანკო კორპუსს 12 მსუბუქი MkII (A4E15) დაუმზადა.

პარალელურად გაგრძელდა მუშაობა კონსტრუქციის სრულყოფაზე და რამდენიმე თვეში მოდიფიცირებული ვერსიები — MkIIA (A4E16/A4E18) და MkIIB (A4E17) მომზადდა.

ტანკის საცეცხლე ძალის გაზრდას სამხედროებიც შეეცადნენ და კოშკურისთვის სიმაღლეში მომატებით 12,7 მმ-იან ტყვიამფრქვევს ზევიდან 7,71 მმ-იანი „ვიკერსი" დაუყენეს.

ცვლილებებმა A4E10-ის საცეცხლე ძალა უმნიშვნელოდ გაზარდა, მაგრამ სანაცვლოდ ტყვიამფრქვევების მომსახურება გაართულა.

MkII-ის გაუმჯობესების კიდევ ერთი ეტაპი შემცირებული გაბარიტებისა და უფრო ტექნოლოგიური ტანკის დამზადების სურვილი იყო.

ამჯერად სავალ ნაწილში მიმმართველი ბორბალი და მუხლუხების დამჭერი გორგოლაჭები მოიხსნა. ამის ხარჯზე ტანკის სიგრძე და წონა შემცირდა, მაგრამ გაუარესდა გამავლობა. კორპუსი და კოშკურა უფრო ამაღლდა, სიმძიმის ცენტრმა აიწია და მდგრადობა შემცირდა. შეიარაღება — ტყვიამფრქვევი უცვლელი დარჩა, რაც უკვე საკმარისი აღარ იყო.

MkIV (A4E20) სერიაში მაინც წავიდა და 34 ტანკის დამზადების შემდეგ წარმოება შეწყდა.

საცეცხლე ძალის მოსამატებლად მსუბუქი ტანკის მომდევნო მოდელს MkV-ს კოშკურაში მეორე ტყვიამფრქვევი დაემატა და ამ ცვლილების გამო კორპუს-კოშკურას გადიდება დასჭირდა.

მომატებულმა გაბარიტებმა ტანკი ნახევარი ტონით დაამძიმა, სიმძიმის ცენტრი ზევით ასწია და ოღროჩოღროებში მართვა გაართულა. შეიარაღება კი სამხედროებს მოეწონათ და 22 ტანკის დამზადება გადაწყდა.

ტანკეტი-მსუბუქი ტანკის ხაზის განვითარება — MkVI-თ დასრულა. მისი შექმნის იდეა გენერალური შტაბიდან წამოვიდა, რომელსაც კოლონიებში წესრიგის დასამყარებლად და სადაზვერვო დანიშნულებით მუხლუხა მსუბუქი ჯავშანტექნიკა სჭირდებოდა.

ამჯერად „ვიკერსმა" MkV-ის კორპუსი მცირედ შეცვალა და ახალი კოშკურა დააპროექტა, სადაც რადიოსადგურიც იყო გათვალისწინებული. დაჯავშნამ უკან გადაიწია და დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს თუ აკმაყოფილებდა.

სერიული წარმოება 1936 წელს დაიწყო და 91 ტანკის დამზადების შემდეგ უფრო სრულყოფილი მოდელებით (MkVIa, MkVIb და MkVIc) შეიცვალა. ყველაზე მეტი რაოდენობით 850 ცალი — MkVIb-აა დამზადებული.

ბრიტანული ტანკმშენებლობის ლიდერმა „ვიკერსმა" 1930 წელს სამხედრო უწყებას მსუბუქი ტანკის MkE-ს (მეორე დასახელება — Vickers) ორკოშკურიანი (A) და ერთკოშკურიანი (B) ვარიანტები შესთავაზა, მაგრამ სამხედროებმა სავალი ნაწილის გამო დაიწუნეს.

სამშობლოში დაწუნებულ ტანკს „ვიკერსმა" საზღვარგარეთ იმდენად კარგი სარეკლამო კამპანია ჩაუტარა, რომ 11-მა ქვეყანამ იმდროინდელი მასშტაბებით არცთუ მცირე რაოდენობის — 153 ცალი MkE შეიძინა, ხოლო საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა ტანკებთან ერთად წარმოების ლიცენზიაც იყიდეს.

სპეციალურად მესამე ქვეყნებისთვის „ვიკერსმა" მარტივი კონსტრუქციისა და მაღალი საექსპლუატაციო საიმედოობის, მაგრამ სუსტად დაჯავშნულ-შეიარაღებული M1933 მოდელის ტანკი დაამზადა. ამისათვის კი MkIV-დან კორპუსი, კომპანირება და შეიარაღება,

ხოლო MkII-დან გამარტივებული სავალი ნაწილი გამოიყენა.

M1933-ს დიდი წარმატება არ ჰქონდა და ბევრად მეტი ინტერესი ტანკის მომდევნო გაუმჯობესებულმა მოდელებმა დაიმსახურეს.

„ვიკერსმა“ თავისი შესაძლებლობები მცურავი ტანკების შექმნაშიც მოსინჯა და 1931 წელს მუხლუხა ტრაქტორის VCL-ის ბაზაზე აწყობილი A4E11 და A4E12 გამოცადა.

ორივე ბორტებზე დამაგრებული ტივტივებით დაცურავდა, თითო-თითო ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი და ერთმანეთისგან სანიჩბე ხრახნითა და საჭით განსხვავდებოდნენ.

ინგლისში მცურავ ტანკს გულგრილად შეხვდნენ. სამაგიეროდ ინტერესი შორეულ ჩინეთში გამოიწვია და გომინდანის ხელისუფლებამ 29 ამფიბია შეიძინა.

1936 წელს სამხედრო უწყებამ გენშტაბთან ერთად სატანკო კლასიფიკატორი მოამზადა, სადაც მუხლუხა საბრძოლო ჯავშანტექნიკა მსუბუქ, კრეისერულ და ქვეით ტანკებად იყო დაყოფილი. მძიმე ტანკზე საერთოდ უარი ითქვა და მისი ადგილი ქვეითმა ტანკმა დაიკავა.

სატანკო ქვედანაყოფთა შემადგენლობაში შეყვანილი კრეისერული ტანკის დანიშნულება — მოწინააღმდეგის სუსტად დაცული პოზიციების გარღვევა, ოპერატიულ სივრცეში გასვლა და იქ კომუნიკაციების განადგურება იყო, ამიტომ ძლიერი შეიარაღება, დიდი სიჩქარე და სვლის მარაგი მოეთხოვებოდა.

ამ მოთხოვნათა დაცვით ჯონ კარდენმა სამკოშკურიანი კრეისერული A9 დააპროექტა და 1936 წლის ივლისში საცდელი ნიმუშიც ააწყო.

ტანკის შეიარაღება მთავარი (40 მმ-იანი ქვემეხი ან 94 მმ-იანი ჰაუბიცა) და ორი პატარა სატყვიამფრქვევო კოშკურისგან შედგებოდა. წონის შესამცირებლად და „მაღალი“ სიჩქარის (26 კმ/სთ) მისაღწევად კორპუსი-კოშკურის შუბლის მხარე თხელი 14 მმ-იანი ჯავშნით იყო დაცული.

ტანკი მოიწონეს, სერიულ წარმოებაზე ნებართვა გაიცა და ერთი წლის შემდეგ არმიას უკვე 125 MkI (A9) ჰყავდა.

პარალელურად კარდენი პატარა ზომის, მომატებული ჯავშნისა და ნაკლები სიჩქარის მქონე ტანკის პროექტზე მუშაობას განაგრძობდა.

საცდელი A10-ის კორპუსი-კოშკურა მთლიანად A9-ს იმეორებდა, მაგრამ შუბლის მხარეს ჯავშანი 24 მმ-მდე გაიზარდა.

1937 წლის ზაფხულში გამოცდების დროს სიჩქარესა და დაჯავშნაზე შენიშვნები გამოითქვა და კარდენმა მისი გამოსწორება კონსტრუქციის რეზერვების ხარჯზე შეძლო.

გადაცემათა კოლოფში გადაცემათა რიცხვის მომატებით სიჩქარე გაიზარდა, კორპუს-კოშკურაზე დამატებითი ჯავშანფურცლების ქანჩებით დამაგრებით ჯავშნის სისქემ 30 მმ-ს მიაღწია და მძღოლ-მექანიკოსის გვერდით კიდევ ერთი ტყვიამფრქვევი დაიდგა.

1938-39 წლებში MkII (A10) სერიულად მზადდებოდა და გამოშვებული 175 ტანკი მთლიანად 1-ელ ჯავშანსატანკო დივიზიას გადაეცა.

ამერიკელი ქრისტის ტანკები ყურადღების მიღმა არც ბრიტანეთში დარჩა და ტანკეტის შემქმნელის — მარტელის ინიციატივით საცდელად ამერიკიდან ქრისტის M1931 მოდელის ტანკი ჩამოვიდა.

ბორბლებიან ამძრავზე თავიდანვე უარი ითქვა. სანაცვლოდ ტანკის საბრძოლო მასა შემცირდა და საექსპლუატაციო მახასიათებლები გაუმჯობესდა.

შასი პრაქტიკულად ხელუხლებელი დარჩა, მაგრამ გადაკეთება კორპუს-კოშკურას დასჭირდა. კორპუსის ცხვირმა სიმაღლეში მოიმატა და კუთხისმაგვარი ფორმა მიიღო. შედეგად შიდა მოცულობა გაიზარდა და აწყობაც უფრო ტექნოლოგიური გახდა.

კონსტრუქციულ ცვლილებებს წონის მომატება მოჰყვა და ამის მიუხედავად იმდენად მაღალი სიჩქარე შენარჩუნდა, რომ ის კრეისერული ტანკის კონცეფციაში არ ჯდებოდა. პრობლემები სავალი ნაწილის საიმედოობაშიც გაჩნდა.

1937 წელს დაწყებული ტანკის ტესტირება დაახლოებით წელიწად-ნახევარი გაგრძელდა და კომპანია Nuffield-თან 65 ტანკის MkIII (A13)-ის შეკვეთით დასრულდა.

ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების შეხედულებები ქვეითთა ტანკის ტექნიკურ მოთხოვნებზე პირველი მსოფლიო ომის მწარე გამოცდილებით ჩამოყალიბდა. მაშინ რომბისებური ტანკები გერმანელების პოზიციების სიღრმეში გადიოდნენ და შემდეგ უსაწვავობის გამო ეკიპაჟები უკან ფეხით ბრუნდებოდნენ.

ქვეითთა ტანკის მოვალეობა ქვეითების უშუალო საცეცხლე მხარდაჭერა იყო. შესაბამისად ნაკლები სიჩქარე და გაძლიერებული დაჯავშნა სჭირდებოდა.

განიხილებოდა ორი სახის ქვეითთა ტანკი: ერთ შემთხვევაში მას პატარა ზომები, კარგი დაჯავშნა, 1-2 ტყვიამფრქვევი და მასობრივი წარმოებისთვის მისაღები კონსტრუქცია მოეთხოვებოდა;

მეორეში კი დიდ, კარგად დაჯავშნულ, ქვემეხითა და მძიმე ტყვიამფრქვევით აღჭურვილ საშუალებას წარმოადგენდა და მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკასთან ბრძოლაც უნდა შესძლებოდა;

მთავარი შეზღუდვა სიჩქარეს შეეხებოდა და ის ქვეითთა ნაბიჯზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, რომ ბრძოლაში ქვე-

**კრეისერული ტანკი MkI(A9): მასა — 13,0 ტ, ეკიპაჟი — 6 კაცი, ჯავშანი — 4-14 მმ, კარბურატორიანი ძრავა 150-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 40 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 150 კმ, შეიარაღება — 40 მმ-იანი ქვემეხი (94 მმ-იანი ჰაუბიცა) და სამი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**






ქვეითთა ტანკი MatildaII MkII (A12): მასა — 26,9 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 13-78 მმ, დიზელის ორი ძრავა 87-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 24 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 256 კმ, შეიარაღება — 40 მმ-იანი ქვემეხი და 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ითები ტანკების გარეშე არ დარჩენილიყვნენ. პროექტირებას კარდენი ხელმძღვანელობდა და საფუძვლად „ვიკერსის" ტრაქტორის „Dragon-ის სავალი ნაწილი გამოიყენა.

1936 წლის შემოდგომაზე გამოცდებისას საცდელმა A11E1-მა სატრაქტორო შასის არასაიმედოობა გამოავლინა, მუხლუხები ტალახის გამო „იჭედებოდა" და მკვეთრი მანევრის დროს წყდებოდა.

ტანკის არც სიჩქარე (13 კმ/სთ-ში) და მით უფრო შეიარაღება (ერთი ტყვიამფრქვევი) დროის მოთხოვნებს უკვე აღარ პასუხობდა. თუმცა ყველაფერ ამას კომპენსირებას სქელი ჯავშანი (25,4 მმ) უკეთებდა.

1937 წლიდან ქვეითთა ტანკი Matilda MkI არმიის შეიარაღებაში შევიდა და პირვანდელი 60 ტანკის შეკვეთას შემდგომ კიდევ 79 დაემატა.

„მატილდა" არმიას მიღებული არც კი ჰქონდა, როცა ახალი ტექნიკური დავალება მომზადდა და არსენალი „ვულრიჩი" ტანკ — A12 Matilda II MkII-ის პროექტირებას შეუდგა.

საცდელი ტანკი კომპანია Vulcan Foundry-მ ააწყო. „მატილდა II"-ის კორპუსი ჩამოსხმა-გლინვით დამზადებული ჯავშანფურცლებით იყო აწყობილი და ერთმანეთთან გუჟონებით იყო შეერთებული.

ჯავშნის მაქსიმალური სისქე 78 მმ-ს შეადგენდა. ტანკს ძლიერი შეიარაღება (ქვემეხი და 2 ტყვიამფრქვევი) ჰქონდა და საკმარის სიჩქარესაც ავითარებდა.

გამოცდა „მატილდა II"-მ კარგად გაიარა და წარმოებისკენ გზა გაეხსნა, ხოლო კომპანიას 165 ტანკის დამზადების შეკვეთა მოუტანა.

**თემურ ჩაჩანიძე**



# სნაიპერები ჩეჩნეთის ომში



1994-95 წლის ზაფხულში ჩეჩნეთის ტერიტორიაზე პირველმა შეიარაღებული შეტაკებებმა სნაიპერული ომისთვის რუსული ჯარების მოუმზადებლობა ცხადყო. იმ ბრძოლებში დაჭრილი ფედერალური ჯარების რიგითებისა და ოფიცრების 26% სნაიპერთა ტყვიებზე მოდის.

ზოგიერთი თვითმხილველის მტკიცებით, 1995 წლის იანვარში გროზნოსთვის ბრძოლებში სნაიპერთა ცეცხლით რუსული მე-8 საარმიო კორპუსის ოფიცერთა (ოცეული-ასეული) რგოლის უმრავლესობა დაიღუპა.

ჩეჩნები ქალაქის დასაცავად და ნაწილობრივ სნაიპერული ომისთვის დიდი ხნით ადრე მოემზადნენ, — მოაწყვეს პოზიციები, დაამუშავეს კოორდინირებული მოქმედების ტაქტიკა, გამართეს რადიოკავშირები და სხვ.

იარაღიც საკმარისი ჰქონდათ. რუსებმა ჩეჩნეთიდან გასვლისას 533 სნაიპერული შაშხანა СВД (დრაგუნოვის სნაიპერული შაშხანა) დატოვეს.

ჩეჩენი სნაიპერები ზუსტად და ხარისხიანად მუშაობდნენ. ყველაზე ხშირად სნაიპერული წყვილი მობილური საცეცხლე ჯგუფის მთავარ რგოლს წარმოადგენდა, სადაც მათ გარდა ორი მეავტომატე, მეტყვიამფრქვევე და ყუმბარმტყორცნელი შედიოდა.

რუსეთის არმია ქალაქში სნაიპერული ომისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ცნობილია შემთხვევა, როცა ქვეითთა პოლკოვნიკმა სნაიპერის „დასაჭერად" მთელი ასეული გაგზავნა და თანაც დამოძღვრა, აი, იქ, სადღაც ზისო.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ვითარება გააანალიზა და ჩეჩნეთში გასაგზავნად მომზადებულ სპეცრაზმებს სნაიპერთა ჯგუფები დაუმატა.

ამ დროს გენერალ როხლინის ვოლგოგრადის კორპუსი გროზნოს ცენტრში ბრძოლებისას სნაიპერების ცეცხლით დღეში დაახლოებით 30 მებრძოლს კარგავდა. მას შემდეგ, რაც იქ საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფის სნაიპერებმა წაიმუშავეს, დანაკარგი დღეში ორ ჯარისკაცამდე შემცირდა.

თებერვლისთვის ჩეჩენ სნაიპერ-პროფესიონალთა უმრავლესობა განადგურებული იყო. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, ფედერალური ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა ჭრილობების შეცვლილი თავისებურებები მეტყველებდა.

მიუხედავად ამისა, ბრძოლის პირ-

1995 წელს გროზნოზე შეტევის დროს რუსმა სამხედროებმა ჩეჩენი სნაიპერებისგან დიდი დანაკარგი განიცადეს





ომის წინ ჩეჩნურმა ფორმირებებმა კარგი მომზადება გაიარეს

ველმა თვეებმა თვალნათლივ დაანახვა ყველას, რომ რუსი ჯარისკაცები იძულებული იყვნენ საკუთარი სისხლის ფასად ნულიდან დაეწყოთ და ესწავლათ ის, რაც მათთვის ბრძოლამდე დიდი ხნით ადრე უნდა ესწავლებინათ.

ჩეჩნეთთან პირველ ომში დამარცხების შემდეგ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ სნაიპერული ომი პირწმინდად წააგო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დაახლოებით 50 წლის განმავლობაში რუსეთის შეიარაღებულ ძალებში არ ყოფილა სნაიპერთა მოსამზადებელი საგანგებო სასწავლო ქვედანაყოფები, რის გამოც დაიკარგა ომის პერიოდის საბრძოლო გამოცდილება. ჯარებს არ ჰქონდათ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სნაიპერული იარაღი და აღჭურვილობა.

1999 წელს სნაიპერების პროფესიონალური კადრების მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი К-43 ამოქმედდა და ინსტრუქტორებად სნაიპინგში ასე თუ ისე გაცნობიერებული ოფიცრები შეირჩნენ. შერჩეულმა ოფიცრებმა გაიარეს ექვსთვიანი მომზადება და სნაიპერ-ინსტრუქტორის წოდება მიიღეს.

სასწავლო ქვედანაყოფის ძირითადი ამოცანაა სამხედრო ოლქების სნაიპერთა სკოლებისთვის ინსტრუქტორებისა და სასწავლო პროგრამების მომზადება, მარტოხელა სნაიპერებისა თუ სნაიპერთა ჯგუფებისთვის ტაქტიკურ ამოცანათა დამუშავება, სხვადასხვა სახის საბრძოლო მოქმედებათა სრულყოფა და სხვ.

სასწავლო ქვედანაყოფში ირიცხებიან აგრეთვე მკაცრი საკვალიფიკაციო გამოცდაგავლილი ჯარისკაცებიც, რომლებსაც სტაჟირების გასავლელად ცხელ წერტილებში რეგულარულად გზავნიან.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაცემებით ჩეჩნეთში, ბამუტის ახლოს კონტრტერორისტული ოპერაციის დროს რუსმა სნაიპერებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 50 ჩეჩენი მებრძოლი და სამხედრო ტექნიკის 8 ერთეული.

2000 წელს გროზნოს იერიშისას დროს ამ ქვედანაყოფმა 51 ჩეჩენი მებრძოლი და სამხედრო ტექნიკის 20 ერთეული გაანადგურა.

2000 წლის ბრძოლების პერიოდში (გაზაფხული-ზაფხული) რუსმა სნაიპერებმა მოწინააღმდეგის ოცდარვა სნაიპერი მოსპეს.

**როგორც რუსი სამხედრო ექსპერტები ამტკიცებენ, ჩეჩნეთის ომმა ფედერალური ჯარების სნაიპერებს ტაქტიკის შემუშავების კარგი საშუალება მისცა. ჩრდილო კავკასიაში გაჩაღებული ბრძოლების ერთ-ერთი სპეციფიკური თვისება პარტიზანულ ომში სნაიპერების მასობრივი გამოყენებაა.**

1999-2000 წლების საომარი მოქმედებების დროს დაღესტანსა და ჩეჩნეთში მათი როლი იმდენად ეფექტური და მასშტაბური იყო, რომ თავისუფლად შეიძლებოდა მისთვის „სნაიპერთა ომი“ ეწოდებინათ.

ჩეჩენი მებრძოლები არა მარტო რუსულ საშტატო სნაიპერულ იარაღს (СВД-ВСС), არამედ ოპტიკური სამიზნეებით აღჭურვილ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს და სნაიპინგისათვის განკუთვნილ სპორტულ შაშხანებსაც კი იყენებდნენ.

ჩეჩენ მებრძოლთა რაზმები 9-10 კაცისგან შედგებოდა. მათგან ექვსი „კალაშნიკოვის“ სხვადასხვა მოდიფიკაციის (7,62 მმ-იანი — АКМ ან АКМС) ავტომატებით იყო შეიარაღებული. ჰყავდათ ერთი მეტყვიამფრქვევე (7,62 მმ-იანი РПК, ან 5,45 მმ-იანი РПК-74, ან 7,62 მმ-იანი ПКМ) და РПГ-7-ით შეიარაღებული ერთი ყუმბარმტყორცნელი.

ყუმბარმტყორცნელები ასევე იყენებდნენ ერთჯერად ყუმბარსატყორცნებს — РПГ-18-ს, ან РПГ-22-ს, ან РПГ-26-ს.

ჯგუფში ბოლო და მთავარი რგოლი СВД-თი შეიარაღებული ერთი ან ორი სნაიპერი იყო.

ჩეჩენ მებრძოლთა საომარ ტაქტიკაში შედიოდა გარნიზონებზე, საკონტროლო-გამშვებ პუნქტებსა და სადარაჯო პოსტებზე თავდასხმები; ხაფანგების და ჩასაფრებების მოწყობა; დივერსიული და ტერორისტული აქტები; მნიშვნელოვანი ობიექტებისა და მძევლების ხელში ჩაგდება და სხვ.

თავდასხმების დროს გამოყოფდნენ ჯგუფებს, რომელშიც ათიდან ორმოცდაათ კაცამდე შედიოდა. ყველაზე ხშირად ისინი თავდასხმებს ღამით აწყობდნენ და ხელთ არსებულ ყველა სახის იარაღს, მათ შორის სნაიპერულსაც იყენებდნენ.

მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა თუ მატერიალურ საშუალებათა განადგურების მიზნით ჩეჩენი მეომრები ჩასაფრებებს, როგორც წესი, გზებზე ან ფედერალური ჯარების სავარაუდო გადაადგილების ზონებში აწყობდნენ.

სნაიპერთა ჯგუფები საცეცხლე რაზმებში შედიოდნენ და მათი დანიშნულება ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის განადგურება, მოწინააღმდეგისათვის მანევრირებაში ხელის შეშლა იყო.

დაღესტანში (1999 წლის აგვისტო-სექტემბერი) სამხედრო მოქმედებებისას ჩეჩენი მებრძოლები უპირატესობას გაბატონებული სიმაღლეებისა და უღელტეხილების დაკავებას ანიჭებდნენ, სადაც შორსმსროლელი საცეცხლე საშუალებებისა და მათ შორის სნაიპერთა პოზიციებს აწყობდნენ.

მოქმედებებში ხშირად იყენებდნენ მობილურ ჯგუფებს, რომლებიც ნაღმმტყორცნელის, ყუმბარმტყორცნელისა და წყვილი სნაიპერისგან შედგებოდა.

ასეთ შემთხვევებში გამოქვაბულსა და სხვა საფარში მყოფი სნაიპერები ნაღმსატყორცნებისა და ყუმბარსატყორცნების ხმაურის ფონზე მუშაობდნენ.

უკან დახევისას ჩეჩნები ქმნიდნენ დაზღვევის შერეულ ჯგუფებს, რომლებიც 1-2 ნაღმსატყორცნს, 2 მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევს, 2 სნაიპერსა და ამდენივე ყუმბარმტყორცნელს აერთიანებდა.

ოდნავ მოგვიანებით ჩეჩნებმა საკუთარ ტერიტორიაზე (1999 წლის ოქტომბერი) პარტიზანული ომის მეთოდები და ხერხები გამოიყენეს. ისინი, ისევე როგორც პირველი კონფლიქტისას (1994-



ჩეჩნეთის ომში ორივე მხარე ეპიზოდურად BCC-ს ტიპის მაყუჩიან სნაიპერულ შაშხანასაც იყენებდა

96 წწ.), ფედერალურ ძალებთან უშუალო შეტაკებებს გაურბოდნენ და მცირე რაზმებით (3-4 მებრძოლი) მოქმედებას არჩევდნენ. ამ შემთხვევაში რაზმის შემადგენლობაში — ყუმბარმტყორცნელი, სნაიპერი, მეტყვიამფრქვევე და ავტომატებით შეიარაღებული ორი მებრძოლი შედიოდა.

**ჯგუფებს ხშირად მენაღმეებიც ემატებოდნენ. ელვისებური იერიშის შემდეგ უკან დახევისას მენაღმეები პოზიციებს ნაღმავდნენ. მათი მოქმედების პრინციპი ერთობ მარტივი იყო — ძირითადი ჯგუფი ცეცხლს (ზოგჯერ არამიზანმიმართულსაც კი) ფედერალური ძალების მიმართულებით ხსნიდა, ხოლო სნაიპერები სამიზნეებს არჩევდნენ და სპობდნენ.**

ჯგუფებს გარდამტეხი შედეგის მიღწევა არ აინტერესებდათ, არჩევდნენ ხანმოკლე, მაგრამ ხშირ თავდასხმებს, რომლებსაც უდანაკარგოდ ასრულებდნენ.

სნაიპერები ხშირად პოზიციებს ტყის მასივის ირგვლივ ან ხელსაყრელ კვადრატში ხეებზე იკავებდნენ. მათთან შორიახლო პოზიციებზე წინასწარ მზვერავი-მეთვალყურეები იყვნენ განლაგებულნი, რომელთა მიზანი სამიზნის აღმოჩენა და სნაიპერისთვის მისი მითითება იყო.

**განსაკუთრებულ ყურადღებას ე.წ. „საბრძოლო სამეულების“ (სნაიპერი, მეავტომატე და ყუმბარმტყორცნელი) მოქმედების ტაქტიკა იქცევს. ეს მეთოდი ჩეჩენმა მებრძოლებმა ჯერ კიდევ აფხაზეთის ომში გამოიყენეს. შემდეგ დაამუშავეს და 1995 წლის ზამთარში გროზნოზე პირველი იერიშების დროს სრულყვეს.**

თავდასხმის ობიექტის ახლოს სამეული პოზიციებს სხვადასხვა ადგილას იკავებს. შემდეგ მეავტომატე სროლას იწყებს და საპასუხო ცეცხლს საკუთარ თავზე იღებს. ამ დროს სნაიპერი მტრის საცეცხლე წერტილებს პოულობს და სპობს. ყუმბარმტყორცნელი კი ხმაურით სარგებლობს და მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკა და ავტოტრანსპორტი მწყობრიდან გამოჰყავს.

ფედერალური ძალების საარტილერიო მომზადების ან საარტილერიო დაბომბვის წინ ჩეჩენთა მოიერიშე ჯგუფები ფედერალების მხარეს სწრაფ ნახტომს აკეთებდნენ და უსაფრთხო ზონაში შედიოდნენ.

შეწყდებოდა თუ არა საჰაერო დაბომბვა თუ საარტილერიო სროლა რუსები იერიშს იწყებდნენ და ამ დროს ჩეჩენი მეომრები მათ თითქმის მიჯრით, 100-150 მეტრიდან უსწორდებოდნენ. ამასთან, სნაიპერები შეტევის დასაწყისშივე ფედერალების მეთაურების, გამორჩეულად აქტიური რიგითებისა და სერჟანტების განადგურებას ცდილობდნენ, რათა მოწინააღმდეგის შემადგენლობაში პანიკა დაეთესათ.

სნაიპერული ჯგუფები გაცილებით ეფექტურად დასახლებულ პუნქტებში მოქმედებდნენ და იქაც მათი სამიზნე ოფიცრები, რადისტები და მძღოლები იყვნენ. ყოველი სნაიპერის უსაფრთხოებაზე 5-6 მეომარი ზრუნავდა, მათ შორის ერთი აუცილებლად ყუმბარმტყორცნელი უნდა ყოფილიყო.

სნაიპერის სასროლი პოზიციები კლასიკური პრინციპით იყო შერჩეული: შენობების შუა სართულების ოთახების სიღრმე ან შენობის კედლის ნაპრალები.

მეავტომატეები ჩვეულებრივ ქვემო სართულებს, ხოლო ყუმბარმტყორცნელები პირიქით, ყველაზე მაღალ ადგილს იკავებდნენ.

**ჩეჩენ სნაიპერთა შორის ერთობ გავრცელებული იყო ფანდი, რომლის გამოყენებისას სნაიპერი პირველი გასროლით მოწინააღმდეგის ჯარისკაცს დაჭრიდა (ძირითადად, ფეხის არეში) ხოლმე და შემდეგ კი სათითაოდ ხოცავდა ყველას, ვინც კი დაჭრილი ჯარისკაცის შველას მოინდომებდა.**

ჩეჩნები მარტოხელა სნაიპერებსაც იყენებდნენ. წინასწარ გეგმავდნენ მოქმედებას. არჩევდნენ ნაკლებშესამჩნევ ხელსაყრელ პოზიციებს სახლების მაღალ სართულებზე (ყველაზე გამოსადეგი კუთხის ოთახები იყო, საიდანაც სროლა რამდენიმე მიმართულებით შეიძლებოდა) ან სხვენში. იქვე ჰქონდათ იარაღისა და აღჭურვილობის სამალავები.

ჩეჩნეთის ომის კიდევ ერთი თავისებურება ის იყო, რომ რუსები სამამულო წარმოების უახლესი ტიპის მძიმე მსხვილკალიბრიანი OCB-96-ის ტიპისა და მაყუჩიანი BCC-სა და BCK-94-ის ტიპის სნაიპერული შაშხანებით შეიარაღებულ ჩეჩნებს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი შაშხანებით ებრძოდნენ.



ჩეჩნეთის პირველ ომში დამარცხების შემდეგ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ სნაიპერული ომი პირწმინდად წააგო

# სალადინი

## 1137/38–1193



**სალადინი თავისი რაინდობითა და დიდსულოვნებით იყო ცნობილი მტრებს შორისაც კი. მან მაჰმადიანური სამყარო გააერთიანა, დაამარცხა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობიდან დატოვებული ქრისტიანთა ჯარი, დაიკავა იერუსალიმი მესამე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მოსამზადებლად და დააარსა აიუბიდთა დინასტია ეგვიპტეში.**

### ქრონოლოგია

* 1137/38 — დაიბადა თიქრითში, შუამდინარეთში.

* 1169 — სირიის ჯარებს უსარდლა ეგვიპტეში.

* 1171 — ხელთ იგდო მართვის სადავეები ეგვიპტეში.

* 1174 — სირიაში ძალაუფლებას დაეპატრონა და შუამდინარეთის, პალესტინის, ეგვიპტისა და სირიის გაერთიანება სცადა.

* 1187 — ჰიტინთან ჯვაროსანთა ლაშქარი დაამარცხა და იერუსალიმი აიღო.

* 1191 — არსუფთან რიჩარდ I-მა დაამარცხა, მაგრამ სალადინმა იერუსალიმი მაინც არ დაუთმო.

* 1193 — გარდაიცვალა დამასკოში, 4 მარტს.

### რწმენის სამართლიანობა

სავარაუდოდ, 1137 წელს თიქრითში, შუამდინარეთში (ახლ. ერაყი) დაიბადა. მამამისი ქურთი მმართველი იყო. სალადინს სახელად სალაჰ-ალ დინ იუზუფ იბნ აიუბი ერქვა, რაც ნიშნავს „რწმენის სამართლიანობა, იოსები, იობის ვაჟი“. დამასკოში თეოლოგიის შესწავლის შემდგომ ის თურქ-სირიელ ამირა ნურადინის მხედართმთავარს, თავის ბიძას ასად ად-დინ შირქუჰს შეუერთდა, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან ჯვაროსანთა განდევნას ცდილობდა. როდესაც ბიძამისი გარდაიცვალა, სალადინმა მისი ადგილი დაიკავა, ვეზირის მოკვლა ბრძანა და ეგვიპტე დაიმორჩილა. მან შიიტური სახალიფო მოსპო და სუნიტური ისლამი დაამკვიდრა.

1174 წელს, როდესაც ნურადინი გარდაიცვალა, სალადინმა სირია დაიპყრო და თორმეტწლიანი ბრძოლა დაიწყო სრულიად ისლამური სამყაროს — სირიის, შუამდინარეთის, პალესტინისა და ეგვიპტის გასაერთიანებლად. 1186 წლისთვის პალესტინაში ჯვაროსნები ალყაში მოაქციეს და სალადინმა ჯიჰადი, ანუ საღვთო ომი, გამოაცხადა მათ განსადევნად. ბრძოლის დასასრულს მან მეჩეთები ააშენა, სასწავლებლები გახსნა და რელიგიური სამუშაოები დააფინანსა. ამის პასუხად ჯვაროსანთა ლიდერმა გი დე ლუზინიანმა ყველა ციხესიმაგრიდან გარნიზონების შეკრება ბრძანა და ერთიან დიდ ლაშქარს მოუყარა თავი. ჯვაროსნები სალადინს დაედევნენ, მან კი ისინი უდაბნოში შეიტყუა. 1187 წლის 4 ივლისს, როდესაც ქრისტიანები დევნისა და უწყლობისგან მოიქანცნენ, სალადინი მათ შემოუბრუნდა და ერთიანად გაჟლიტა, მათი მხედართმთავარი გი დე ლუზინიანი დაატყვევა თავისი „ჭეშმარიტი ჯვრის“ ნამსხვრევებიანად, რომელიც ამ უკანასკნელს თან მიჰქონდა.

### ჯვაროსანთა დაპყრობა

ჯვაროსანთა აწ უკვე გაუკაცურებული ციხესიმაგრეებიანად ტიბერია, აკრა, ტორონი, ბეირუთი, სიდონი, ნაზარეთი, კესარია, ნაბულა, იაფა და აშკელონი სალადინის ხელში გადავიდა, თუმცა 1187 წლის 2 ოქტომბერს ტვიროსის აღება ვერ შეძლო, მას ჯვაროსანთა ერთ-ერთი გონიერი სარდალი, გრაფი კონრადი იცავდა. სალადინი იე-



სალადინი თავის მეომრებს შეტევაზე მიუძღვება

რუსალიმში შეიჭრა. ჯვაროსნებისგან განსხვავებით, მაჰმადიანთა შესვლას ქალაქში რბევა-ძარცვა არ მოჰყოლია. სალადინმა გი დე ლუზინიანიც კი გაათავისუფლა, როდესაც ამ უკანასკნელმა სიტყვა მისცა, რომ ბრძოლას აღარ გააგრძელებდა.

მაგრამ გი დე ლუზინიანს სიტყვის შენახვა არც უფიქრია და აკრა ორ წელიწადს ალყაში მოაქცია. იერუსალიმის ხელახლა დაპყრობამ მესამე ჯვაროსნული ომი გამოიწვია. როდესაც რიჩარდ I 1189 წელს პალესტინაში ჩავიდა, მან აკრა სწრაფადვე აიღო, იერუსალიმს შეუტია და ურსუფთან სალადინს სძლია. თუმცა ამ უკანასკნელმა ხერხი იხმარა, ქრისტიანთა სავალი გზა გადაწვა და რიჩარდ I-ს იერუსალიმის დაპყრობაზე ხელი ააღებინა.

ერთწლიანი შეტაკებების შემდეგ სალადინმა რიჩარდ I-თან გააფორმა შეთანხმება, რომლის თანახმად ჯვაროსნებს სანაპიროზე მცირე ნაწილი ეთმობოდათ მიწისა. გარდა ამისა, ქრისტიანებს იერუსალიმსა და სრულიად პალესტინაში რელიგიური სიწმინდეების მოლოცვის საშუალება ეძლეოდათ. როდესაც სალისბერის ეპისკოპოსი წმინდა მიწას ეწვია, მან სალადინთან ხანგრძლივი საუბარი გამართა. სალადინს აინტერესებდა, თუ რას ფიქრობდნენ ქრისტიანები ორ ლიდერზე.

„მეფე ჩემი უბადლოა მამაცთა შორის, — უთხრა ეპისკოპოსმა, — მაგრამ თქვენი სახელიც დიადია და ჭეშმარიტ რჯულზე რომ მოექცეოდეთ, ქვეყნად ორი მთავარი აღარ იქნებოდა“.

პასუხად სალადინმა გამბედაობა შეუქო რიჩარდს, მაგრამ დასძინა: „მირჩევნია, ცოდნითა და გონიერებით ვიყო სახელმოხვეჭილი, ვიდრე მხოლოდ გამბედაობით“.

სალადინმა დამასკოსკენ იბრუნა პირი, მაგრამ 1193 წლის 4 მარტს, 55 წლისა ყვითელი ციებით გარდაიცვალა. ის დამასკოს დიდ მეჩეთში, ფართო აკლდამაში დაკრძალეს. გარდაიცვალა თუ არა, მისმა ოჯახმა იმპერია დაინაწილა. 1229 წლისთვის იერუსალიმი ისევ ქრისტიანთა ხელში გადავიდა, აიუბიდების დინასტია კი დაიქცა.




## იერუსალიმის აღება

● 1187 წლის ივლისში გი დე ლუზინიანმა ჯვაროსანთა 15000-კაციანი არმია გალილეის ზღვის სამხრეთით, სეფორთან დააბანაკა. როგორც კი გაიგო, სალადინს ჩრდილოეთით ტიბერია აუღიაო, მყისვე გაემართა ქალაქის გასათავისუფლებლად. მაგრამ სალადინმა გზები ჩახერგა და ჯვაროსნებს უწყლო ველისკენ უბიძგა, სადაც მთებში დამალულმა მოისარებმა შეუტიეს. ისინი ჰიტინის თავზე, ფერდობზე დაბანაკდნენ. ღამით სალადინმა ჯარი შეყარა და ყოველი მხრიდან გზამოჭრილ ქრისტიანებს ალყა შემოარტყა. ჯვაროსნებს წყლის აღებაც კი აღარ შეეძლოთ. შებინდებისას მოწყურებულმა ქრისტიანებმა პატარა ტბისკენ გაიკვალეს გზა, მაგრამ სალადინის ჯარმა შეუტია და უკან დაახევინა, მთა „ჰიტინის რქებისკენ“. რაინდები ამაოდ დაშვრნენ, თან ფეხოსნებიც გაწირეს. უმეტესობა აჩეხეს, მაგრამ სალადინმა გი დე ლუზინიანსა და ქრისტიანი ლორდების უმეტესობას სიცოცხლე შეუნარჩუნა.

● ეტყობა, სალადინმა კარგად ვერც გაიაზრა 1187 წელს იერუსალიმის აღება რა რეაქციას გამოიწვევდა ევროპაში. მალე ქრისტიანი მეფეები წმინდა მიწაზე ჩავიდნენ მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად. სალადინმა ვერც რიჩარდ I-ის ტაქტიკური შესაძლებლობები გათვალა და ურსუსთან იოლი გამარჯვება დაუთმო. თუმცა მისი სტრატეგიული ყნოსვა მაინც აღმატებული იყო, — როდესაც ქალაქი იერუსალიმი გაანადგურა, ამით ჯვაროსნები სასმელი წყლისა და საკვების გარეშე დატოვა. ისინი იძულებულნი შეიქნენ, ქალაქს გასცლოდნენ. ამდენად, რიჩარდ I-მა ინგლისში დაბრუნებით იერუსალიმი, ფაქტობრივად, მაჰმადიანების ხელში დატოვა.

*მოამზადა*
***ლევან ინასარიძემ***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უჩვეულო უპილოტოები

პირველი ამოცანა, რომლის შესასრულებლად სამხედროებმა თვითმფრინავები და საერთოდ საფრენი აპარატები გამოიყენეს, საჰაერო დაზვერვა იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს დასაწყისში აეროპლანების მთავარი დანიშნულება მოწინააღმდეგის პოზიციათა დაზვერვა იყო.

თვითმფრინავების შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან ერთად მათთვის წაყენებული მოთხოვნებიც იცვლებოდა და კონსტრუქტორებიც სულ უფრო სრულყოფილ მზვერავ თვითმფრინავებს ქმნიდნენ.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ამერიკელებმა შექმნეს U-2 (ფრენის სიმაღლე — 21 კმ, ფრენის ხანგრძლივობა — 6.5 სთ), რომელსაც სულ სხვა კონცეფციის SR-71 მოჰყვა. ამ უკანასკნელში გამოყენებული ტექნოლოგიები დღესაც უნიკალურია და თვითმფრინავი წარმოუდგენელი — 3500 კმ/სთ-ში სიჩქარით დაფრინავდა.

ამერიკის გარდა სუპერშესაძლებლობების მქონე მზვერავებს საბჭოთა კავშირიც ქმნიდა და მიქოიანის ფირმის МиГ-25-ები ექსპორტზეც იგზავნებოდა.

ამ თვითმფრინავების უნიკალურ შესაძლებლობათა მიუხედავად, სამხედროების თვალთახედვის არეში უპილოტო საფრენი აპარატები მოხვდნენ. ინტერესი მათ მიმართ ნელ-ნელა გაიზარდა, ხოლო პილოტირებულ მზვერავებს პოზიციათა დათმობა მოუხდათ.

უპილოტოებს დიდი პლუსი აქვს — ექსპლუატაცია და შენახვა გაცილებით იაფი ჯდება, ნაკლებ საწვავს მოიხმარენ, ჰაერში უფრო მეტხანს დაფრინავენ, გარკვეულ შემთხვევებში აეროდრომიც კი არ სჭირდებათ და რაც მთავარია, დაფრინავს მფრინავის გარეშე, რომლის მომზადებაც ასობით ათასი დოლარი ჯდება.

დაზვერვასთან ერთად, უპილოტოებმა სახმელეთო ობიექტებზე იერიშების მიტანაც ისწავლეს. ამერიკელები პირველები იყვნენ, რომლებმაც ეს საფრენი აპარატები სახმელეთო სამიზნეების გასანადგურებლად გამოიყენეს და ამ თვისებით იმდენად მოიხიბლნენ, რომ საჰაერო-საიერიშო ოპერაციებში მათი საშუალებით ჩვეულებრივი საბრძოლო თვითმფრინავების ჩანაცვლებასაც კი აპირებენ.

2010 წლის დასაწყისში პენტაგონის პერსპექტიული კვლევითი პროექტების სააგენტო (DARPA)-მ ძირითადი ამერიკული მოიერიშის A-10 Thunderbolt II-ის შემცვლელ ახალ დამრტყმელ უპილოტოზე ტენდერი გამოაცხადა. გეგმა იმდენად ამბიციური იყო, რომ მოიერიშესთან ერთად F/A-18 Hornet-ისა და F-16 Fighting Falcon-ის ტიპის გამანადგურებელთა ჩანაცვლებაც კი იგეგმებოდა.

გამარჯვებულმა 2012-13 წლისთვის სახმელეთო ჯარების უშუალო მხარდამჭერი უპილოტო მოიერიშის სა-




გამანადგურებლიდან უპილოტოში ტრანსფორმირებული პირველი ამერიკული რეაქტიული თვითმფრინავი — QF-104

დემონსტრაციო პროტოტიპები უნდა შექმნას. ამოცანის გასამარტივებლად DARPA-მ A-10-ების უპილოტო ვარიანტში გადაკეთების შესაძლებლობაც არ გამორიცხა. ამ შემთხვევაში მოიერიშეებს დისტანციური მართვისთვის აუცილებელი აპარატურა უნდა დაემატოს.

**ამერიკელები დამრტყმელ უპილოტობს უკვე წლებია იყენებენ. პირველი მათგანი Predator-ია. მისი პროტოტიპი ჯერ კიდევ 1994 წელს აფრინდა და ერთი წლის შემდეგ მისი გამოყენება დაიწყო.**

**ექსპლუატაციის პროცესში აპარატმა მოდერნიზაცია გაიარა. ვარიანტ MQ-1-ს ორ საკიდ წერტილზე სახმელეთო ობიექტების გასანადგურებლად შეიარაღების წაღება შეეძლო.**

**მეორე უპილოტო — MQ-9 Reaper-ი ექსპლუატაციაში 2007 წლიდან შევიდა და სასარგებლო დატვირთვის სახით 680 კგ-ის წაღება შეუძლია.**

**ორივე დაკისრებულ ამოცანებს შესანიშნავად ასრულებს, მაგრამ პილოტირებად მოიერიშე A-10-ს ვერ შეედრებიან. პირველ რიგში სასარგებლო დატვირთვით — A-10-ის შემთხვევაში შეიარაღების მასა 7257 კგ-ია, როცა ეს მაჩვენებელი დამრტყმელი უპილოტობის სასარგებლო დატვირთვა ერთ ტონასაც არ აღწევს.**


Boeing-ის პილოტირებად/უპილოტო შვეულმფრენი A/MH-6X

**ჩვენი დოსიე: თავის დროზე საბრძოლო თვითმფრინავების რადიომართვად მოდიფიკაციებად გადაკეთებით თბილისის 31-ე საავიაციო ქარხანაც იყო დაკავებული. 1956 წლიდან ქარხანა МиГ-15-ის ტიპის გამანადგურებლის ბაზაზე უპილოტო მფრინავ სამიზნეებს ამზადებდა და ამისთვის რესურსგასულ МиГ-15-ებს იყენებდა. სულ 1961 წლამდე 242 თვითმფრინავი გადაკეთდა. ამ ტიპის თვითმფრინავების გარდა, თბილისის საავიაციო ქარხანა რადიომართვად მოდიფიკაციად (40 ერთეული) МиГ-17-ების კონვერტაციითაც იყო დაკავებული.**

ბოლო დროს აშშ-ისთვის თვითმფრინავების უპილოტოდ გადაკეთება კვლავ აქტუალურია და მუშაობა შვეულმფრენებზეც მიმდინარეობს.

კომპანია Sikorsky-მ უკვე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში შვეულმფრენ UH-60M Black Hawk-ის ოპციალურის (ორმაგი მართვის) უმართავ ვერსიას შექმნის. უპილოტო რეჟიმში მართვას სპეციალური ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს, რომელიც კომპაქტური ზომების (სიგრძე 60 სმ) კონტეინერში იქნება მოთავსებული. შვეულმფრენის უპილოტო ვერსიამ საცდელი ფრენები უკვე შეასრულა.

„სიკორსკის" უპილოტო-პილოტირებულ პროექტს ერთი ნაკლი აქვს – მისი გამოყენება მხოლოდ მართვის ელექტროდისტანციური სისტემით აღჭურვილ შვეულმფრენებზე შეიძლება.

ოპციალური შვეულმფრენისთვის ახალი აპარატების აგება საჭირო არ არის. სპეციალურ ელექტრონულსისტემიანი კონტეინერი ინტეგრირებული იქნება შვეულმფრენის კომპიუტერულ სისტემასთან, რომელიც მართვაზეა პასუხისმგებელი.

სისტემა სასარგებლოა მაშინაც კი, როცა შვეულმფრენის კაბინაში ეკიპაჟია. საჭიროების შემთხვევაში მას შვეულმფრენის ბაზაში დაბრუნება და ავტომატურ რეჟიმში უსაფრთხო დასმა შეუძლია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ საბრძოლო დავალების შესრულებისას შვეულმფრენის ეკიპაჟი დაიჭრა.

**ჯერ კიდევ 2010 წელს აშშ-ის არმიამ განვითარების 25-წლიანი გეგმა შეიმუშავა. მასში ერთ-ერთი მთავარი პუნქტი არსებული საავიაციო ტექნიკის უპილოტოებად გადაკეთებაა.**

„სიკორსკიმდე" შვეულმფრენის მსგავსი ტრანსფორმაცია „ბოინგმა" შეასრულა. 2006 წელს კომპანიამ A/MH-6X-ის ტიპის შვეულმფრენი გამოცადა. მისი გამოყენება პილოტირებულთან ერთად უპილოტო ვარიანტში შეიძლება და ამ ბოლო სახით შვეულმფრენის პირველი საცდელი ფრენა 2007 წელს შედგა. აფრენისა და 14 წთ-იანი ფრენის შემდეგ კომპიუტერმა აპარატი წინასწარ განსაზღვრულ წერტილში დასვა.

„ბოინგის" წარმომადგენელთა თქმით, შვეულმფრენს უპილოტო კონფიგურაციაში სადაზვერვო და მოწინააღმდეგის აქტიური წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენებენ. განიხილება მისი შეიარაღების პერსპექტივაც.

ერთდროულად რამდენიმე უპილოტოს გამოყენების შემთხვევაში თანამედროვე ციფრული სისტემების წყალობით ბორტებს შორის ინფორმაცია ავტომატურად გაიცვლება.

პილოტირებული ავიაციის უპილოტოდ ტრანსფორმაცია ამერიკელებისთვის სიახლე არ არის და პირველი მცდელობა გასული საუკუნის 60-იან წლებში რეაქტიული თვითმფრინავების გადაკეთებასთან არის დაკავშირებული.

ელექტრონული სისტემების გამოსაცდელად და მეზენიტეთა სავარჯიშოდ F-104A-ს ტიპის გამანადგურებლები შეირჩა. თვითმფრინავის აფრენა, ჰაერში დავალების შესრულება და დაფრენა მიწიდან რადიოსიგნალების საშუალებით ხდებოდა. ჯამში 22 თვითმფრინავი (ნიშნული QF-104A) გადაკეთდა. დანიშნულებიდან გამომდინარე, თვითმფრინავებიდან ყველაფერი ზედმეტი




**ჩვენი დოსიე:**
**მოდიფიკაცია — Firebird**
**თვითმფრინავის სიგრძე — 10 მ**
**ფრთის გაქანი — 20 მ**
**მაქსიმალური ასაფრენი მასა — 2268 კგ**
**სასარგებლო დატვირთვა — 560 კგ**
**ძრავის ტიპი: 1 შიდაწვის – Lycoming TO-540**
**სიმძლავრე – 1x350 ცხ.ძ**
**ფრენის ხანგრძლივობა — 40 სთ**

მოიხსნა, სანაცვლოდ კი ტელეკამერები და დისტანციური მართვის აპარატურა დაიდგა.

მათი ნაწილი გამანადგურებელი ავიაციის მფრინავთა მომზადებაში უპილოტო მფრინავი სამიზნეების როლს ასრულებდა. შესაბამისად QF-104A-ის მიერ რაიმე საბრძოლო დავალების შესრულებაზე საუბარი ზედმეტი იყო.

გავიდა დრო და ამერიკელებმა უპილოტოებად გადაკეთებული პილოტირებადი თვითმფრინავების საბრძოლო დანიშნულებით გამოყენებაზე დაიწყეს ფიქრი. ეფექტურობასთან ერთად, დამრტყმელი უპილოტოების მთავარი ნაკლი მათი მეტისმეტად დიდი ღირებულებაა.

**ამერიკელები ჭკვიანი ხალხია. ჩამოწერილ თვითმფრინავებს ჯართად დაჭრის სანაცვლოდ აკონსერვებენ და სპეციალურ ბაზებში ინახავენ. ყველაზე დიდი AMARG-ი არიზონას შტატში მდებარეობს. აქ ამერიკის შეიარაღებაში არსებული ნებისმიერი სახის საფრენი აპარატის, მათ შორის სტრატეგიულ ბომბდამშენთა ნახვა შეიძლება. დაკონსერვებული თვითმფრინავების ოდენობა 4400-ს აჭარბებს. აქედან 700-ზე მეტი F-4 Phantom II-ის ტიპის თვითმფრინავია.**

საბრძოლო უპილოტო თვითმფრინავების შექმნა სწორედ ჩამოწერილი „ფანტომების“ ბაზაზე გადაწყდა. „პენსიაზე“ გასულ თვითმფრინავებს არემონტებენ, უახლებენ სისტემებს და მწყობრში აბრუნებენ.

ამგვარი მეთოდით აღდგენილ თვითმფრინავებს (ნიშნული QF-4) მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემათა განადგურება/გადალახვისთვის იყენებენ და ამისთვის „ფანტომებს“ „ჰაერი-მიწა“ კლასის მართვადი რაკეტებით აიარაღებენ.

ამერიკელი სამხედროები მსგავს უპილოტო „კამიკაძეებად“ ასეულობით „ფანტომის“ გადაკეთებას აპირებენ. აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში მათი გამოყენება უპრობლემოდ შეიძლება — ჩამოგდების შემთხვევაშიც კი საბრძოლო თვითმფრინავის ყველაზე ძვირად ღირებული კომპონენტი – ადამიანი მიწაზე იქნება.

სპეციალური სისტემებით აღჭურვილი QF-4-ები ფრენას გუნდურად, ექვსი თვითმფრინავის ოდენობითაც შეძლებენ.

QF-4 ვარიანტში მოდერნიზაცია დაახლოებით 250-მა „ფანტომმა“ უკვე გაიარა და თითოეული 800 ათასი დოლარი დაჯდა.

პროექტი 1990-იანი წლებიდან ხორციელდება, თუმცა თვითმფრინავების ბორტიდან მართვადი შეიარაღების გამოყენება არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო. ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, თვითმფრინავს AGM-88 HARM-ის ტიპის რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო რაკეტით შეაიარაღებენ და ყოველი ერთეული 300 ათასი დოლარი დაჯდება. თუ არ ჩავთვლით ბოლო მოდიფიკაციას, რომელიც 870 ათასი ღირს.

QF-4-ს ოთხი ასეთი რაკეტის წაღება შეუძლია და ჩამოგდების შემთხვევაში დანაკარგის საერთო ღირებულება 2 მლნ-ს არ გადააჭარბებს, მაშინ როცა ერთი MQ-9 Reaper-ი შეიარაღების გარეშე 30 მლნ ღირს.

ოპციალურად მართვადი უპილოტო თვითმფრინავის შესაქმნელად ამერიკაში კერძო კომპანიებიც მუშაობენ. ერთ-ერთი მათგანი საყოველთაოდ ცნობილი „სქეილ კომპოზიტსია“ — ფირმა,

კუდისა და ფრთის ბოლოების ნარინჯისფერი შეფერილობა თვითმფრინავის ცარიელ კაბინაზე მეტყველებს



ეროვნული ბიბლიოთეკა



МиГ-27, რომლის უპილოტო ვარიანტად გადაკეთებას გივი ჯანჯღავა აპირებდა



საბრძოლო თვითმფრინავების უპილოტო საფრენ აპარატებად გადაკეთება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთისთვისაც აქტუალური იყო. იდეის ავტორი ჩვენი თანამემამულე გივი ჯანჯღავაა, რომელიც ქალაქ რამენსკოეში ხელსაწყოთმშენებელ საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელობდა.

იმ პერიოდში აღმოსავლეთ გერმანიიდან ჯარების გამოყვანის გამო რუსეთში დიდი რაოდენობით МиГ-23-სა და МиГ-27-ის ტიპის თვითმფრინავები დაგროვდა, ხოლო უფულობა შენახვის საშუალებას არ იძლეოდა. თვითმფრინავებს, რომელთა საფრენოსნო რესურსი ნახევარზეც არ იყო ამოწურული, შეიარაღებიდან ხსნიდნენ და აკონსერვებდნენ, ხოლო ნაწილს კი ჯართად ჭრიდნენ.

სწორედ მაშინ გაუჩნდა ჯანჯღავას მათი უპილოტოებად გადაკეთების იდეა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის დამრტყმელ МиГ-27-ებს ანიჭებდა. ჯანჯღავას საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა და უპილოტოებად გადაკეთებული თვითმფრინავის გამოყენებას ჩეჩნეთის პირველ ომშიც აპირებდა, მაგრამ მიზეზთა გამო იდეა არ განხორციელდა.

რაც შეეხება თავად გივი ჯანჯღავას, ის 1940 წლის 10 აგვისტოს თბილისში დაიბადა. 1964 წელს ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალობით მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი დაამთავრა და იმავე წელს განაწილებით რამენსკოეს ხელსაწყოთმშენებელ საკონსტრუქტორო ბიუროში მოხვდა. 1970 წელს ის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 13 წლის შემდეგ კი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახდა. 1991 წელს ჯანჯღავა მთავარი კონსტრუქტორიდან გენერალური კონსტრუქტორის, შემდეგ კი დირექტორის თანამდებობას იკავებს. 1997 წელს მისი ინიციატივით გაერთიანება „ტექნოკომპლექსი“ შეიქმნა.

დღეს ის კონცერნ „ავიაონიკას“ ხელმძღვანელობს, სადაც 20-მდე საკონსტრუქტორო ბიურო და ქარხანაა გაერთიანებული. „ავიაონიკა“ რუსული სამხედრო ავიაციისთვის ელექტრონიკას ქმნის.

რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე სახელი უცნაური კონსტრუქციების თვითმფრინავებით გაითქვა.

მისი კონსტრუქტორი ბერტ რუტანია. ეს სწორედ ის რუტანია, რომლის ექსპერიმენტულმა თვითმფრინავმა „ვოიაჯერმა“ 1986 წელს დედამიწას დაუჯდომლად შემოუფრინა. ჰაერში 9 დღე დაჰყო და 43432 კმ დაფარა.

ფირმის კიდევ ერთი ქმნილება Firebird-ის ტიპის თვითმფრინავი კორპორაცია Northrop Grumman-თან ერთობლივად არის შექმნილი. ერთი შეხედვით განსაკუთრებული ამ აპარატში არაფერია, რომ არა ერთი გარემოება — „ცეცხლოვანი ფრინველი“ (ასე ითარგმნება მისი სახელი ქართულად) OPV კონცეფციით არის დამზადებული. აბრევიატურა იშიფრება როგორც Optionally Piloted Vehicle — ოპციალურად მართვადი აპარატი. შესაბამისად მისი გამოყენება როგორც მფრინავით, ასევე მის გარეშეც შეიძლება.

Firebird-ი ერთ-ერთი თანამედროვე სადაზვერვო აპარატია. შედარებით მოკრძალებული ზომის მქონეს ნახევარი ტონა სასარგებლო ტვირთის წაღება შეუძლია, რაც ასეთი თვითმფრინავისთვის არც ისე ცოტაა.

აპარატი პირველად გასული წლის თებერვალში აფრინდა. დანიშნულებიდან გამომდინარე, „ცეცხლოვან ფრინველს“ მაღალი გარჩევადობის ვიდეოფოტოგადაღებები და მიღებული ინფორმაციის ონლაინრეჟიმში გადაცემა შეუძლია. თანამედროვე აღჭურვილობის გამოყენებით ღამითაც შესანიშნავად მოქმედებს — ფოტოებს ინფრაწითელ დიაპაზონში იღებს და სითბური კვალით მოწინააღმდეგის ტექნიკასაც პოულობს.

ჯერჯერობით შექმნილია აპარატის მხოლოდ ერთი პროტოტიპი, რომელიც აქტიურ საგამოცდო პროგრამას უპილოტო კონფიგურაციით გადის. ბოლო დროს ბიუჯეტის შემცირების გამო პენტაგონმა არაერთი სამხედრო პროექტი დააკონსერვა ან საერთოდ დახურა. თუმცა Firebird-ს ქამრების შემოჭერის პოლიტიკა არ შეხებია. მეტიც, „სქეილ კომპოზიტსი“ უახლეს მომავალში მეორე პროტოტიპის აწყობასაც აპირებს.

**2010 წლიდან ამერიკელები გამანადგურებელ F-16-ის უპილოტო ვარიანტად გარდაქმნისთვის მუშაობენ. 2010 წლის მარტში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებსა და კორპორაცია „ბოინგს“ შორის 69.7 მლნ დოლარის კონტრაქტი გაფორმდა. გარიგება სტანდარტული გამანადგურებლის, უპილოტო ვერსია QF-16-ად გადაკეთებას შეეხება.**

**მფრინავი სამიზნის დანიშნულებასთან ერთად QF-16-ის გამოყენება საბრძოლო ოპერაციებშიც იგეგმება. გადაწყვეტილია 2014 წლამდე უპილოტო ვარიანტად 126 გამანადგურებლის გადაკეთება.**

***ალექსანდრე აფაქიძე***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ირანის სახმელეთო ძალები

## ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახმელეთო ოპერაციების დაწყების შემთხვევაში ისრაელისა და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს ბევრი არასასიამოვნო სიურპრიზი დახვდებათ წინ...

ირანის თემა, კერძოდ კი ამ ქვეყნის წინააღმდეგ ისრაელისა და აშშ-ის მიერ საბრძოლო ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა, აქტუალურობას არ კარგავს.

„არსენალის“ გასულ ნომრებში ჩვენს მკითხველს გავაცანით ირანის ბალისტიკური რაკეტის, საჰაერო თავდაცვის, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების შესაძლებლობები.

ირანის სახმელეთო ძალებზე საუბარი ბოლოსთვის მოვიტოვეთ, რაც შემთხვევით არ გაგვიკეთებია. საქმე ის არის, რომ მარტო საჰაერო დარტყმებით, რაგინდ დიდი სიზუსტითაც უნდა გამოირჩეოდეს, აშშ-ის და მით უმეტეს, ისრაელის ავიაცია მთლიანად ვერ გაანადგურებს ირანის ბირთვულ პოტენციალს.

„წერტილოვანმა“ საჰაერო დარტყმებმა შეიძლება თუ არა შეაჩერონ, არამედ დააჩქარონ კიდევაც თეირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის პროცესი, რადგან დაბომბვების შემდეგ ირანს მეტი მოტივაცია გაუჩნდება აუცილებლად შექმნას ბირთვული შეიარაღება და უფრო მეტად ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს რეგიონში.

ერთადერთი გარანტირებული მეთოდი, რომელიც გამორიცხავს ირანული ატომური ბომბის გამოჩენას, ისრაელ-აშშ-ის ერთობლივი სახმელეთო ოპერაცია შეიძლება გახდეს. ის „წერტილოვან“ საჰაერო დაბომბვებს მოჰყვება და მიზნად ირანის ხელისუფლების ძალისმიერი ხერხით შეცვლას ისახავს, რაც თავის მხრივ ირანის ბირთვული პროექტის შეჩერებასა და განადგურების ტოლფასი გახდება.

თავის დროზე, 2003 წელს, საერთაშორისო კოალიციურმა ძალებმა, აშშ-ის თაოსნობით განახორციელა ერთიანი საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია ერაყში შეჭრისას, რასაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა მოჰყვა. თუმცა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვაშინგტონელმა ჩინოვნიკებმა ერაყში ვერსად აღმოაჩინეს მასობრივი განადგურების იარაღი, რომლის შექმნასაც სადამ ჰუსეინს აბრალებდნენ და რაც გახდა ერაყში შეჭრის მთავარი მიზეზი.

ერაყისგან განსხვავებით ირანი არ მალავს ეროვნული ბირთვული პროგრამის მიმდინარეობას, თუმცა ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ ეს პროგრამა მშვიდობიან ხასიათს ატარებს და თეირანი არ ქმნის ატომურ ბომბს.

ამაში გარკვევა ამერიკულ და ისრაელელ სამხედროებს მარტო წერტილოვანი დარტყმებით არ შეუძლიათ, ამისთვის სახმელეთო ოპერაციაა საჭირო, მაგრამ შედეგი შეიძლება ისეთი კატასტროფული იყოს, რომ ვაშინგტონისთვის ერაყისა და ავღანეთის სახმელეთო კამპანიები უბრალო გასეირნებად დარჩეს.

ამხელა შესავალი იმიტომ დაგ-

ვჭირდა, რომ მკითხველი დარწმუნდეს, — რეგიონში ყველაზე მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების პატრონმა ირანმა შეიძლება წააგოს ბრძოლა ჰაერში, მაგრამ ხმელეთზე სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებს.

75 მლნ-იან ირანს 523-ათასიანი შეიარაღებული ძალები ჰყავს, რომლის ძირითად ნაწილს 220 ათასი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე შეადგენს. მათ მხარს 350 ათასამდე მომზადებული რეზერვისტი უმაგრებს, რომელთაც გვერდში ომის დროს არანაკლებ 12 მლნ (!) სამხედრო საქმისთვის ვარგისი მოხალისე ამოუდგება.

ირანის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ორ პარალელურ სტრუქტურას უწევს კოორდინაციას, — რეგულარულ შეიარაღებულ ძალებსა და „ისლამური რევოლუციის მცველების“ კორპუსს.

არმიის სახმელეთო ძალებში 350 ათასი სამხედრო ირიცხება. იგი მოიცავს 5 საშტაბო კორპუსს, 12 დივიზიას (34 ქვეითი, 4 ჯავშანსატანკო, კომანდოსი, საჰაერო-სადესანტო და 2 მექანიზირებული დივიზია), რამდენიმე ცალკეულ სატანკო, ქვეით, კომანდოსის ბრიგადას, 6 საარტილერიო ჯგუფს, საარმიო ავიაციის რამდენიმე დანაყოფს.

თავის მხრივ, „ისლამური რევოლუციის მცველების“ კორპუსის სახმელეთო ძალებში 100 ათასზე მეტი სამხედრო მსახურობს, რომლებიც 31 დივიზიამდე (აქედან 15 ქვეითი, ჯავშანსატანკო, მექანიზირებული დივიზია) და რამდენიმე ცალკეულ ბრიგადაში არიან გაერთიანებული.

ირანის არმიისა და „ისლამური რევოლუციის მცველთა“ კორპუსის შეიარაღებაში ირიცხება ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების არანაკლებ 50 გასაშვები დანადგარი, 1600-ზე მეტი ტანკი, 610 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 640 ჯავშანტრანსპორტიორი, 2100 ბუქსირებადი და 310 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 676-ზე მეტი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, 5 ათასი ნაღმსატყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების გამშვები 100-მდე დანადგარი, 1700-ზე მეტი საზენიტო-საარტილერიო ქვემეხი, აგრეთვე, საარმიო ავიაციის 17 თვითმფრინავი და 223 შვეულმფრენი, მათ შორის 50 საბრძოლო „სიკობრა“.

ციფრები ირანის სახმელეთო ძალების შესახებ მართლაც რომ შთამბეჭდავია, თუმცა ისიც უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, რომ იგი აბსოლუტურად ზუსტი არ არის, რადგან უზუსტესი მონაცემები თვით აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და ისრაელის „მოსადსაც“ არ გააჩნიათ, არათუ ჩვენ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ნათელია, რომ ირანის ტერიტორიაზე სახმელეთო ოპერაციების დაწყების შემთხვევაში ისრაელ-აშშ-ისა და შეიძლება რეგიონის ზოგიერთი სხვა ქვეყნის კოალიციური ძალები სერიოზულ სამხედრო წინააღმდეგობას წააწყდებიან.

ირანელთა წინააღმდეგობა, ძირითადად, განპირობებული იქნება არა მარტო ტანკების, ჯავშანმანქანებისა თუ საარტილერიო დანადგარების (თუნდაც მოძველებულების) რიცხვით, არამედ ბრძოლის იმ ტაქტიკით, რასაც სავარაუდოდ ირანის არმიისა და პირველ რიგში „ისლამური რევოლუციის მცველთა“ კორპუსი აირჩევს.

მოძველებული ირანული ტანკების (მათ შორის შედარებით თანამედროვე 480 ცალი T-72 და 100-მდე ეროვნული წარმოების „ზულფიკარია“, დანარჩენები ნახევარსაუკუნოვანი ამერიკული M60-ები და საბჭოთა T-55-ებია) განადგურება ამერიკულ-ისრაელის ავიაციასა და ამერიკულ „აპაჩებს“ არ გაუჭირდებათ, მაგრამ თვით ულტრა-

კვადროციკლებზე ამხედრებული მეზენიტეები, ქართველების არ იყოს, ირანელებსაც ჰყოლიათ...



ეროვნული ბიბლიოთეკა



მოძველებული ამერიკული თვითმავალი ჰაუბიცა M107-ი აღლუმზე თეირანში

თანამედროვე დასავლური სამხედრო ტექნიკაც კი ნაკლებად ეფექტურია პარტიზანული ბრძოლის საშუალებებთან, — მოულოდნელ ჩასაფრებებსა და გზების დანაღმვასთან.

ეს ნამდვილად დაამტკიცა ავღანეთის 11-წლიანმა ანტიპარტიზანულმა ომმა, სადაც მიუხედავად უზარმაზარი სამხედრო უპირატესობისა, ISAF-ის ძალებმა მაინც ვერ გატეხეს წელში თალიბები.

ირანის შედარება არც ავღანეთთან და არც ერაყთან არ ღირს, რადგან ირანელთა საბრძოლო სულისკვეთება ნამდვილად უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ერაყელებისა, რასაც ემატება ირანის არმიის ბოლო პერიოდის ინტენსიური მზადებაც.

თუკი „ისლამური რევოლუციის მცველთა“ კორპუსისა და „ბასიჯის“ 300-ათასკაციანი სახალხო ლაშქრის მეთაურობა პარტიზანული მოქმედების ტაქტიკას აირჩევს (სანამ რეგულარული არმიის სახმელეთო ძალები ფრონტალური ბრძოლებით იქნებიან დაკავებულნი), მაშინ საბრძოლო უპირატესობის მოპოვება კოალიციის საჰაერო-სახმელეთო ძალებს ძალზე გაუჭირდებათ.

ეს მხოლოდ ვერსიებია, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს საბრძოლო მოქმედებები, თუკი მაინც გადაწყვიტეს ისრაელმა და შემდეგ აშშ-მაც ირანზე თავდასხმა.

უფრო სავარაუდოა, რომ ასეთი რთული გადაწყვეტილების მიღება მარტო ისრაელს გაუჭირდება, რადგან ამერიკული მძიმე ბომბდამშენებისა (რომლებსაც რამდენიმეტონიანი ბუნკერსაწინააღმდეგო ბომბების წაღება შეუძლიათ) და საჰაერო ტანკერების გარეშე ისრაელის საბრძოლო ავიაცია ვერ მიაყენებს ეფექტურ „წერტილოვან“ საჰაერო დარტყმებს ირანის მიწისქვეშა ბირთვულ ობიექტებს.

ამიტომაცაა, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრი საზღვარგარეთულ ვოიაჟებს აწყობს მოკავშირეთა დასაყოლიებლად, თუმცა როგორც ჩანს, არც აშშ, არც გერმანია და საფრანგეთი ჩქარობენ ირანზე სასწრაფოდ იერიშის მიტანას.

როდესაც ასეთი ჭოჭმანია მოკავშირეთა შორის ჯერ მარტო ერთობლივი საჰაერო ოპერაციის გამო, ადვილი წარმოსადგენია, რა რთული გადასაწყვეტი იქნება ვაშინგტონისთვის, ბერლინისა თუ პარიზისთვის სახმელეთო დანაყოფების გაგზავნა ირანის ტერიტორიაზე.

აქედან გამომდინარე, გინდაც ისრაელთან ერთად აშშ-მაც დაბომბოს ირანის ბირთვული ობიექტები, ძალზე საეჭვოა დასავლეთმა ირანის ტერიტორიაზე მასშტაბური სახმელეთო ოპერაცია წამოიწყოს, რადგან ეს დიდ საბრძოლო დანაკარგთან (პირველ რიგში, პირად შემადგენლობაში) იქნება დაკავშირებული.

**ირაკლი ალადაშვილი**



სახალხო ლაშქარ „ბასიჯში“ პარტიზანული ომისთვის ათასობით ირანელ მანდილოსანს ამზადებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღამის რაინდები




04:10. მუხლამდე თოვლი დევს და ისეთი მოყინულია ზედაპირი, ზემოდან ვდგავარ. ჩექმა ძირამდეც კი არ ჩადის თოვლში, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წონას ტანსაცმლიან-ეკიპირებიანად მინიმუმ ოცდახუთი-ოცდაათი კილოგრამი ემატება. გამოუძინებელი ვარ, სულ ორი საათი მეძინა და იმის გამო, რომ ახალგაღვიძებული ვარ, კიდევ უფრო მეტად ვგრძნობ ზამთრის ყინვიანი ღამის ალერსს. სამი საათი აქ უნდა ვიდგე. დაჯდომას აზრი არა აქვს, ფიცარი გაყინულია და თუ ცდუნებას ვერ გავუძელი და თუნდაც ერთი საათით ჩამოვჯექი, მშვიდობით, შთამომავლობავ!

დრო იწელება. დღე რომ იყოს, მობილური ტელეფონით გაერთობოდა კაცი — ან ინტერნეტში შევძვრებოდი, ან ვიმესიჯებდი ჩემს ტურფასთან, მაგრამ ღამით, მით უმეტეს, როდესაც გარშემო თეთრი ფონია, ტელეფონის განათება საგუშაგოზე თვითმკვლელობის ტოლფასია. მტერს არ სძინავს. შეიძლება რომელიმე მოცლილი სნაიპერი არემარეს ზვერავდეს და ნამდვილად არ გამოეპარება მუქი სილუეტი თოვლში, თუ ტელეფონს გავანათებ ან სიგარეტს მოვწევ. კიდევ კარგი, სიგარეტს არ ვეწევი, თორემ ახლა მაგის სურვილიც დამტანჯავდა. ამ ფიქრებში ვარ და თან ვცდილობ, მსუბუქი მოთელვითი ვარჯიშები ჩავატარო, რომ სხეულის ტემპერატურა შევინარჩუნო. ყველანი ასე ვიქცევით, ერთადერთი, რასაც ვერ ვათბობთ, ფეხებია, რადგან ჩექმებში უმოძრაოდაა.

05:05. რაციაზე ჯგუფის უფროსმა მოგვიკითხა და გაგვამხნევა. გამოგვკითხა, ვინმეს რამე ხომ არ უჭირდა. ორად ორი რამ გვსურდა — სითბო და ძილი. მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდით, იქით გავამხნევეთ. ცოტა იუმორიც გავურიეთ და კიდევ ათი წუთი გავლიეთ.

05:45. ფეხის თითებს ველარ ვგრძნობ, მაგრამ ყინვას არ ვეპუები. ვარჯიშს ვუმატებ, ოღონდ არა იმდენად, რომ გავოფლიანდე. ეს კიდევ უარესი იქნება. თან პერიმეტრს ვზვერავ, თან ჩემს იარაღს ვიხუტებ, რომ მასაც არ შესცივდეს. როგორც ნამდვილი მეგობრის იმედი აქვს კაცს და თავადაც უფრთხილდება, ასეთ დამოკიდებულებაში ვარ ჩემს იარაღთან. ვიცი, რომ თუ არ გავუფრთხილდები, საჭირო მომენტში მიმტყუნებს.

ფიქრებით შორს ვარ აქედან. ჩემს სახლს დავტრიალებ ფანტაზიებში. ჩემს ძაღლს ვეთამაშები. ქართული ნაგაზი მყავს. გაზაფხულია და ეზოში დავრბივართ ორივენი. აი, ახლა ჰამაკში ვკოტრიალობ, ჩემს თავზე აყვავებულ ალუბლის ხეს ფუტკრები შესევიან და გაბმული ბზუილი იავნანასავით ჩამესმის.

ამ ფიქრებში თვალები მიმეხუჭა, მაგრამ ყინვამ იზრუნა ჩემზე და არ მომცა საგუშაგოზე ჩათვლემის საშუალება. ვარჯიში განვაგრძე. ცოტა გამოვფხიზლდი. ისევ ფიქრებში წავედი. მომავლის გეგმებს ვისახავ, მაგრამ ეს გეგმები ოცნებებს უფრო ჰგავს. ვფიქრობ და წინასწარ ვტკბები. ფანტაზიებში დილით გვიანობამდე მძინავს, თმაც მოზრდილი მაქვს და წვერიც. სადღაც მთაში ვარ, ტყესთან ახლოს. სიჩუმეს მხოლოდ მდინარის ხმა არღვევს. ფიჭვნარის ჩამონაყარ გამხმარ წიწვებზე ვარ წამოკოტრიალებული და თავიც ფიჭვის მდელოსფრად დახავსულ ფესვზე მიდევს. პირშიც გამხმარი წიწვი მაქვს, არემარეს გავცქერი და თავისუფლებით ვტკბები... მაგრამ ისევ ყინვა მაბრუნებს სავარაუდო ან უფრო სასურველი მომავლიდან აწმყოში და ისევ ვვარჯიშობ.

06:30. ვარჯიში აღარ მშველის. ფეხებიდან სიცივე ნელ-ნელა ზემოთ მოიწევს. ყველა სიკეთესთან ერთად ამინდს სუსხიანი ქარიც დაემატა და ნამქერს სახეში მაყრის. ჯგუფის უფროსი თავადაც დაღლილი და გათოშილი საგუშაგოდან საგუშაგოზე სიარულით გვაიმედებს, გვამხნევებს, ცოტაც გაუძელით, ბიჭებო, ნახევარი საათიც და შევიცვლებითო. რომ ვთქვა, ეს ამბავი მახარებს-მეთქი, ტყუილი იქნება. ერთი მხრივ კარგია, შევალთ ოთახში, ფეხებს ჯერ გავილღობთ, მერე გავითბობთ, მერე სიამოვნებისგან ტანში ჟრუანტელი დაგვივლის, მერე საძილე ტომარაში შევწვებით და სამი საათით მივიძინებთ, რომ გათენებამდე გამოვშუშდეთ, მაგრამ რომ ვიცი, ვინც შეგვცვლის, როგორ ამინდში უნდა იმორიგეონ, ძალიან მეცოდებიან. რომ შემეძლოს გაძლება, მათ ნაცვლადაც გავჩერდებოდი, მაგრამ ჩემს ორგანიზმსაც აქვს გამძლეობის ზღვარი.

06:45. ადგილზე ვხტუნავ და ცივა-ცივას გავიძახი. ჩვენ გვღვიძავს და დღეს ღამესთან ვასწორებთ, ღამეს დღესთან, რომ ამ სოფლის მკვიდრთ

ეროვნული



ოკუპირებული ტერიტორიის ე.წ. საზღვარი

მშვიდად ეძინოთ. რაღაცით ბერულ ცხოვრებას წააგავს. რა თქმა უნდა, მათ სიძლიერემდე, ვაჟკაცობამდე, თავგანწირვამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ თავად ცხოვრების სტილს ვგულისხმობ. ჯერ კიდევ გათენებული რომ არ არის, მაშინ ვდგებით. მორჩილებაში ვართ, რადგან სადაც გვეტყვიან და რამდენი ხნითაც გაგვამწესებენ, ვემორჩილებით. მოთმინებას ვსწავლობთ. ბევრ რამეს ვიტანთ. ოჯახიდან შორს ვართ. სხვათა შორის, ორი ჩემი თანამშრომელი სტიქაროსანია. ყველანი კარგი ბიჭები არიან, ძალიან მორწმუნეები, თანადგომა და ურთიერთგატანა არ ემლებათ. უკვე ის ფაქტი, რომ სხვათა კეთილდღეობისთვის ფორმა ჩაიცვეს და ოჯახებს მოსწყდნენ, ძილზე, სითბოსა და კომფორტზე უარი თქვეს, ამტკიცებს, რომ პატივისცემის ღირსნი არიან. ამ დროს ხალხი გამუდმებულ განკითხვაშია და უმადურებადაც მიმაჩნია ეს, რადგან ბევრ საქმეში ზედაპირული ცოდნით შემოვიფარგლებით და ყველას ერთ ქვაბში ვხარშავთ ხოლმე... მიტინგი დაარბიესო და სპეცრაზმის გაგონებაზე შიშის, ზიზღის ან სიძულვილის განცდა ეუფლებათ. სპეცრაზმი, ანუ სპეციალური დანიშნულების რაზმი, საქართველოში ბევრია და სხვადასხვა დანიშნულება აქვს. ზოგს ქვეყნის შიდა საქმეები ეხება, ზოგი ქვეყანას გარეშე მტრისგან იცავს, ზოგს ორივე ევალება და ა.შ. რასაც უშუალოდ ჩვენ ვაკეთებთ მივლინებაში სიარულით და იქ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვით, თუ ეს ბოროტებაა, მაშინ მე ძალიან ბოროტი ვარ, ისევე, როგორც ჩემი ძმები, ჩემი კოლეგები. ქველმოქმედებასაც ვეწევით და ბერმონაზვნებსაც ვეხმარებით ნებაყოფლობით, მაგრამ ამაზე საუბარიც არ ღირს, სიკეთეს რომ ვაკეთებთ, მერე ქვეყანას არ ვდებთ ამას, უბრალოდ ვივიწყებთ და ცხოვრებას ვაგრძელებთ, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. მაგრამ ხალხში მაინც ცუდ ასოციაციას ვიწვევთ და ეს მიკლავს გულს. ვინც თუნდაც ერთხელ განგვიკითხა, თუნდაც ერთი ზამთარი, თუნდაც ერთი თვე ჩვენი ტყავით შეიმოსოს, იცხოვროს ჩვენთან ერთად ჩვენი ცხოვრებით და ყველაფერს სხვაგვარად გააცნობიერებს, მიხვდება, რომ არასწორად მსჯელობდა...

06:55. ფეხის ხმა ისმის, ვიღაც ჩემკენ მოიკვლევს გზას. ღამის ხედვის მოწყობილობით გავხედე და ჩემი შემცვლელი აღმოჩნდა. ისეა ჩათბილული, ძლივს მოდის.

— როგორ ხარ, ძმის, გული ხომ არ გაიყინე?

— ფეხები გამეყინა სასწაულად. რა მოგარბენინებდა ასე ადრე?

— აი, ფეხები რომ გაგეყინა, სწორედ ეგ. მოუსვი ახლა აქედან და კარგად ჩათბი.

— წადი თუ გინდა, ცხელი ჩაი მოიდუღე და წამოიღე, მაგრად ცივა, იცოდე. მე ათ წუთს გავჩერდები, ათი წუთი აქეთ, ათი წუთი იქით...

— არა, ძმაო, მადლობა, გაიხარე. არც მიძინია, ვერ დავიძინე და წეღან ჩაიც დავლიე.

— რატომ ვერ დაიძინე, ხომ მშვიდობაა?

— ამ ღამეს ჩემს მეუღლეს ბიჭი ეყოლა!

— გილოცავ, ძმაო! ღმერთმა დიდი ვაჟკაცი გაგიზარდოს!

— გაიხარე!

— ხვალ, ალბათ, წახვალ სანახავად, არა?

— ჩავალ ერთი საათით, ცოლს ვინახულებ, ბავშვს დავხედავ და წამოვალ.

— ვხვდები, როგორ გიჭირს ახლა. მთელი გულით და გონებით იქ ხარ, ალბათ.

— კი, ბიჭო, გაგიჟებას ვარ, მაგრამ რას იზამ? ფორმის ტარება რაკი ვიტვირთე, ამ ტვირთს ბოლომდე ვზიდავ. მთავარია, მეუღლეც კარგად არის და ბავშვიც ჯანმრთელია, მადლობა უფალს. ამ ღამეს გავხნავ, დედას ვუტირებ, შვილს რომ ვნახავ ხვალ, ამის გაფიქრება ისე მახარებს, ყინვა სულ ფეხებზე მკიდია.

— ეჰ!.. კიდევ რამდენ ასეთ ღამეს და ასეთ ზამთარს გავხნავთ და გავიყვანთ, ჩემო ძმაო, ვინ იცის... მაგრამ ცხოვრება გვახარებს და სიცოცხლით გვავსებს ამგვარი ამბებით. შენ შვილი შეგეძინა, აგერ, ჩვენი ჯგუფის უფროსის ბიჭმა, რომ ჩავალთ, ცოლი უნდა მოიყვანოს და ასე... მართალია, ბევრ მნიშვნელოვან მომენტს გამოვტოვებთ ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ დაგიფასდება, ჩემო ძმაო, მაღლა დაგვიფასდება, იმ ქვეყნად. სხვა თუ არაფერი, სუფთა სინდისით დავუტოვებთ ჩვენს მიწას ჩვენს ხორცს ნეშომპალად. იმ მიწაზე ბალახი ამოვა, ჩვენი შვილები ირბენენ და ითამაშებენ. ჩვენი თუ არა, ჩვენი დების, ძმების, მეგობრების შვილები...

ოთახში შევედი. ჩემი თანამებრძოლები უკვე გამათბობელს ჩახუტებოდნენ. გავიხადე და საძილე ტომარაში შევწექი.

06:25. მძინავს...

**გიორგი ზურებიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შექმენი შენი არსენალი „არსენალთან“ ერთად

## 13-დან - 27 აპრილამდე



ორ კვირაში ერთხელ, შეიძინეთ ჟურნალთან ერთად საბრძოლო ტექნიკის თითო ასაწყობი მოდელი

ააწყვე და შეაგროვე საბრძოლო ტექნიკის მოდელების კოლექცია საკუთარი ხელით მაკრატლისა და წებოს გარეშე

ამერიკული „სტელსის“ თვითმფრინავი

**F-117A**

„ღამის ქორი“



არსენალი

3D ასაწყობი მოდელი

თითოეული 3D მოდელის ფასი: 3,5 ლარი ჟურნალთან ერთად 5 ლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შექმენი შენი არსენალი

„არსენალის“ ერთგულ მკითხველს მოსწონს ჟურნალში დაბეჭდილი სამხედრო ტექნიკის ფერადი და ეფექტური სურათები, მაგრამ სულ სხვა განცდაა, როდესაც ხელში იმავე თვითმფრინავისა თუ შვეულმფრენის სამგანზომილებიან ლამაზ მოდელს დაიჭავებ, რომლის აწყობა მაკრატლისა და წებოს გარეშე შეგიძლია.

„არსენალთან“ ერთად თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ საბრძოლო ტექნიკის 3D მოდელები, ააწყოთ და შექმნათ საკუთარი მინიარსენალი. ჟურნალში მოყვანილია კონკრეტული მოდელის აწყობის ინსტრუქცია, ასევე მისი საბრძოლო ვარიანტის შექმნისა და გამოყენების პატარა ისტორია და ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები.



## AH-1W SUPER COBRA

თქვენ გიწევთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მრისხანე, ამერიკული საბრძოლო შვეულმფრენის AH-1W Super Cobra-ს სამგანზომილებიანი მოდელის აწყობა.

მისი წინამორბედი AH-1G Huey Cobra, ასევე ლეგენდარული შვეულმფრენის UH-1 „იროკეზის“ ბაზაზე შეიქმნა, რომელიც ქართული არმიის შეიარაღებაშიცაა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ვიეტნამის ომში მონაწილე ამერიკელი სამხედროები მიხვდნენ, რომ მათ სჭირდებოდათ სპეციალიზებული დამრტყმელი შვეულმფრენი, რადგან „იროკეზების“ კარებში დაყენებული ტყვიამფრქვევების ცეცხლი საკმარისი არ იყო ჯუნგლებში მიმალული ვიეტნამელი პარტიზანების გასანადგურებლად.

პირველი საბრძოლო „კობრა“ — AH-1G სატრანსპორტო „იროკეზის“ ბაზაზე შეიქმნა და მისი ეკიპაჟის ორი წევრი ტანდემურად იყო განთავსებული კაბინაში — წინ შეიარაღების ოპერატორი იჯდა, უკან კი პილოტი.

ეკიპაჟის განთავსების ამ სქემის არჩევით, ამერიკული ფირმა Bell-ის კონსტრუქტორებმა განსაცვიფრებელ მაჩვენებელს მიაღწიეს, — „კობრას“ ფიუზელაჟის სიგანე მხოლოდ 90 სმ იყო!

ასეთი თხელი კორპუსის მქონე შვეულმფრენი, როდესაც უტევს მოწინააღმდეგეს, მისი წინიდან დაზიანება ურთულესი ამოცანაა, რადგან ერთ მეტრზე ნაკლები სიგანის საფრენი აპარატის ავტომატის მიზანში ამოღება და მით უმეტეს, მორტყმა წარმოუდგენლად რთულია.

თავის მხრივ, ვიწრო ფიუზელაჟმა შეამცირა ფრენისას წარმოქმნილი ჰაერის წინაღობა და გაზარდა შვეულმფრენის სიჩქარე. მიუხედავად იმისა, რომ „კობრას“ პირველ მოდიფიკაციებს მხოლოდ ერთი ტურბოხრახნული ძრავა ჰქონდა, 1965 წლის ნოემბერში „კობრამ“ შვეულმფრენებისთვის მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, როდესაც 322 კმ/სთ სიჩქარე განავითარა.

იმავე წელს „ბელის“ ფირმამ მოიგო კონტრაქტი აშშ-ის არმიისთვის საბრძოლო შვეულმფრენების მიწოდებაზე და 1967 წლიდან პირველი სერიული AH-1G „ჰიუ კობრები“ მალე ვიეტნამში გაიგზავნა.

საერთო ჯამში გამოშვებულ იქნა AH-1G ტიპის 1133 ცალი „ჰიუ კობრა“, რომელთა უდიდესი ნაწილი აშშ-ის არმიას გადაეცა.

ვიეტნამში „ჰიუ კობრებს“ „საჰაერო არტილერიასაც“ კი ეძახდნენ. რადგან მისი ერთი სამლულიანი 20 მმ-იან „ვულკანის“ ტიპის ავტომატური ქვემეხიდან და ფრთებზე ჩამოკიდებული უმართავი რაკეტების გასაშვები ბლოკებიდან გახსნილი ცეცხლი ვიეტნამელ კომუნისტებს საშინელ დღეში აგდებდა.

„ჰიუ კობრები“ 1200 მ სიმაღლიდან პიკირებისას იწყებდნენ სროლას და რაკეტების გამოშვებას და მიწიდან 700 მ სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „არსენალთან“ ერთად

მაღლეზე გამოდიოდნენ პიკირებიდან, რის გამოც ვიეტნამელთა AK-47 და AKM ტიპის „კალაშნიკოვის“ ავტომატების საპასუხო ცეცხლი არაეფექტური იყო.

თუმცა „ჰიუ კობრების“ ცეცხლი უშედეგო გამოდგა, როდესაც 1971 წელს ლაოსში კომუნისტებმა საბჭოთა წარმოების T-34 და T-54 ასევე ПТ-76 ტიპის მცურავი ტანკების გამოყენება დაიწყეს. მათ ჯავშანს „ჰიუ კობრას“ საბორტე ქვემეხის 20 მმ-იანი ჭურვები ველარ ხვრეტდა. სიტუაციას მეტ-ნაკლებად შველოდა კუმულაციურქობინიანი უმართავი რაკეტების გამოყენება, მაგრამ მათი მიზანში მოხვედრა ძნელი იყო.



ყველაფერი შეიცვალა, როდესაც 1972 წელს „ჰიუ კობრების“ პილონებზე Tow-ს ტიპის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები ჩამოკიდეს. მათი საშუალებით ამერიკელი პილოტები უპრობლემოდ აფეთქებდნენ ვიეტნამელების საბჭოთა წარმოების ტანკებს, თანაც არანაკლებ 2 კმ-ის სიშორიდან ისე, რომ საპასუხო ცეცხლის არ ეშინოდათ.

„ჰიუ კობრების“ ეკიპაჟების სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან მოსკოვმა ვიეტნამში სასწრაფოდ გადაგზავნა Стрела-2 ტიპის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. „სტრელას“ საზენიტო რაკეტებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს „ჰიუ კობრების“ ჩამოგდება, რამაც „ბელის“ ფირმის ინჟინრები აიძულა სასწრაფოდ შეეტანათ ცვლილება საბრძოლო შვეულმფრენის კონსტრუქციაში. მათ შვეულმფრენის ტურბოხრახნიანი ძრავიდან გამომდინარე,



მაღალი ტემპერატურის აირის ჭავლი ზემოთ მიმართეს, სადაც მას დიდი სიჩქარით მბრუნავი ხრახნის ნიჩბები ფანტავდა და „სტრელას“ რაკეტის ინფრაწითელი დამიზნების სისტემას შვეულმფრენიდან მომდინარე მხურვალების დაფიქსირება უჭირდა.

აშშ-ის არმიას პრინციპში აკმაყოფილებდა „ჰიუ კობრას“ მონაცემები, მაგრამ საზღვაო ქვეითთა კორპუსმა „ბელის“ კონსტრუქტორებს მისი სერიოზული მოდერნიზება და რაც მთავარია, მეორე ძრავის დამატება მოსთხოვა, რადგან ახალ შვეულმფრენს ზღვის თავზეც უნდა ეფრინა.

„ბელის“ ფირმას არმიასთან მომგებიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და არ ჩქარობდა საზღვაო ქვეითთა მკაცრი მოთხოვნების შესრულებას, თუმცა საბოლოოდ დათანხმდა, რითაც როგორც შემდგომში აღმოჩნდა, მომგებიანი სვლა გააკეთა მომავლისთვის.

საქმე ის არის, რომ მალე აშშ-ის არმიამ ახალი საბრძოლო შვეულმფრენის შექმნაზე გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც „მაკდონელ დუგლასის“ AH-64 Apache-მ გაიმარჯვა, ხოლო „ჰიუ კობრები“ ნელ-ნელა ჩამოწერეს.

რომ არა საზღვაო ქვეითთა კორპუსის შეკვეთა, „კობრების“ ისტორია ჯერ კიდევ 20 წლის წინ დამთავრდებოდა, არადა, ეს შვეულმფრენები დღესაც მონაწილეობენ ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში.

საზღვაო ქვეითთა კორპუსის მოთხოვნით „ბელმა“ AH-1G-ზე ორი ტურბოხრახნიანი ძრავა დააყენა, შეიარაღებაში ქვემეხი უფრო სწრაფმსროლელი ვარიანტით შეცვალა, გააძლიერა ფიუზელაჟის სიმტკიცე. ახალ ორძრავიან საბრძოლო შვეულმფრენს სახელიც ახალი შეურჩიეს — AH-1J Sea Cobra.

ზღვის „კობრამ“ მოასწრო მონაწილეობა ვიეტნამის ომის დამამთავრებელ ეტაპში. სავარაუდოდ, მისი საბრძოლო კარიერის დაწყებას დეტალურად აანალიზებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არმიებში, რის შემდეგაც ირანის შაჰის გრანდიოზული შეკვეთა იყო.

ირანის შაჰი მაშინ ვაშინგტონის ერთ-



ერთ საუკეთესო მოკავშირედ ითვლებოდა და აშშ-ისგან უახლეს საბრძოლო ტექნიკას ყიდულობდა. „კობრის“ ორძრავიანი ვარიანტი ირანელმა სამხედროებმა იმიტომ აირჩიეს, რომ მათ ირანის მაღალმთიან რაიონებშიც მოუწევდათ ფრენა. 1974-1977 წლამდე ირანმა „ბელის“ ფირმისგან 202 ცალი ორძრავიანი AH-1J Sea Cobra შეიძინა, რომელთაგან ბოლო 62 ცალი შვეულმფრენი ტანკსაწინააღმდეგო Tow-ს რაკეტებით იყო აღჭურვილი.

დღეს ირანის ისლამური რესპუბლიკის შეიარაღებაში არანაკლებ 50 ცალი AH-1J რჩება, რომლებსაც ირანელები აუცილებლად გამოიყენებენ იმავე ამერიკელების წინააღმდეგ, თუკი ამ ქვეყანაში საბრძოლო მოქმედებები დაიწყო.

„ბელის“ ფირმამ მართალია წააგო კონკურენცია, „მაკდონელ დუგლასთან“, როდესაც აშშ-ის არმიამ „ჰიუ კობრები“ „აპაჩებით“ ჩაანაცვლა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ ზღვაზე, კერძოდ კი საზღვაო ქვეითთა კორპუსის შეიარაღებაში არსებულ მის „სი კობრას“ კონკურენტი არ გაუჩნდებოდა.

თუმცა „მაკდონელ დუგლასმა“ სურვილი გამოთქვა დაემზადებინა „აპაჩის“ საზღვაო ვარიანტი „სი აპაჩი“ და ეს საზღვაო ქვეითთა კორპუსისთვის მიეყიდა.

შეიარაღების ბაზრის ამ სეგმენტზეც მარცხი რომ არ განეცადა „ბელის“ ფირმამ დაჩქარებული ტემპებით დაიწყო AH-1J Sea Cobra-ს გაუმჯობესებული ვარიანტის შექმნა.

1986 წელს „ბელის“ ფირმამ საზღვაო ქვეითთა კორპუსს პირველი მოდერნიზებული შვეულმფრენი, ახალი სახელწოდებით AH-1W Super Cobra გადასცა, რომელიც გამოირჩეოდა გაძლიერებული ძრავებითა და შეიარაღებით. ეკიპაჟი ღამის ხედვის სათვალეებით იყო აღჭურვილი, რაც მას ღამითა და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში საბრძოლო ამოცანის შესრულების შესაძლებლობას აძლევდა.

„ბელი“ „მაკდონელ დუგლასთან“ ბრძოლისთვის ემზადებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ უკანასკნელმა თავი აღარ შეიწუხა საზღვაო „სი აპაჩის“ დამზადებით და მოდერნიზებული „სუპერკობრა“ დღემდე შემორჩა ამერიკელ საზღვაო ქვეითებს.

„სუპერკობრების“ საბრძოლო ნათლობა 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ დაწყებული „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის დროს შედგა. მართალია თავის რადიოელექტრონული აპარატურის შესაძლებლობებით ისინი ჩამოუვარდებოდნენ „აპაჩებს“, მაგრამ ერაყის უდაბნოში მათაც არაერთი ათეული ჯავშანტექნიკა გაანადგურეს.

იმის გამო, რომ აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსი პირველი ჩაერთო 2001 წელს ავღანეთში „თალიბანის“, ხოლო 2003 წელს ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმთან ბრძოლებში, მათ საჰაერო მხარდაჭერას, ბუნებრივია, სწორედ „სუპერკობრები“ ახორციელებდნენ.

დღეისათვის აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის შეიარაღებაში 167-მდე AH-1W Super Cobra რჩება, ირანს 50-მდე შვეულმფრენი ჰყავს, თურქეთს 7, სამხრეთ კორეას 3, ხოლო ტაივანს კი 59.

„კობრის“ ყველაზე თანამედროვე ვარიანტია AH-1Z Viper-ი, რომელზეც ოთხნიჩბიანი ხრახნი და თანამედროვე დასამიზნებელი აპარატურაა დაყენებული.

ერთი „სუპერკობრის“ საშუალო ფასი 10 მლნ დოლარს უტოლდება.




### AH-1W Super Cobra-ს ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები

ეკიპაჟი — 2 (პილოტი და ოპერატორი)

სიგრძე — 17,6 მ (მარტო ფიუზელაჟის — 13,8მ)

სიმაღლე — 4,4 მ

მასა (ცარიელი) — 4,9 ტ

მასა (ასაფრენი) — 6,7 ტ

საწვავის მარაგი — 946 კგ

ძალური დანადგარი — 2X1723 ცხ.ძ-ის ტურბოხრახნული ძრავა

მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე — 352 კმ/სთ

მაქსიმალური სიჩქარე — 282 კმ/სთ (მიწის ახლოს)

კრეისერული სიჩქარე — 278 კმ/სთ

ფრენის სიშორე — 518 კმ

სტატიკური „ჭერი“ — 4,5 კმ-მდე (მიწის ეფექტის გათვალისწინებით და მხოლოდ 915 მ-ი ამ ეფექტის გარეშე)

შეიარაღებაში შედის ერთი სამლულიანი 20 მმ-იან ავტომატური ქვემეხი ტურელზე, ხოლო პილონებზე ჩამოკიდებულია Tow-ს ტიპის რვა ტანკსაწინააღმდეგო და AIM-9L ტიპის ორი „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტა.

**ირაკლი ალადაშვილი**



კომპაქტური და ამასთან მძლავრი XR9-S-ი მანდილოსნებსაც ვერ ტოვებს გულგრილს...

# ყველაზე ძლიერი ჯიბის პისტოლეტი

## Boberg XR9 – ყველაზე გრძელლულიანი მოდელი კომპაქტურ პისტოლეტებს შორის, რომლის ნასროლ 9 მმ-იან ტყვიას 32%-ით მეტი ენერგია და 15%-ით მეტი საწყისი სიჩქარე აქვს

რა მოდიფიცირება შეიძლება ჩაუტარონ კომპაქტურ პისტოლეტს, რომ მისი საბრძოლო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზარდოს?

ერთადერთი ტექნიკური გამოსავალი ლულის სიგრძის გაზრდაა, რომელიც თავის მხრივ ზრდის ლულიდან ტყვიის გამოსვლის საწყის სიჩქარეს და შესაბამისად მის სალულე ენერგიას.

თუმცა ამ შემთხვევაში ლულადაუგრძელებელი პისტოლეტი დაკარგავს კომპაქტურობას და „ჯიბის პისტოლეტის“ კატეგორიიდან საშუალო ან დიდი პისტოლეტების კლასში გადაინაცვლებს, რომლის მალულად ტარება ჯიბეში შეუძლებელი გახდება.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამერიკელმა მეიარაღემ არნე ბობერგმა მაინც გამონახა გამოსავალი — პისტოლეტი ისევ კომპაქტური დარჩა, მაგრამ გრძელმა ლულამ 15%-ით გაზარდა ტყვიის საწყისი სიჩქარე, ხოლო 32%-ით (ანალოგიურ კომპაქტურ პისტოლეტებთან შედარებით) კი ტყვიის საწყისი სალულე ენერგია. ამასთან, ლულა კომპაქტური პისტოლეტის ჩარჩოს წინ არ გამოდის.

2008 წელს საერთაშორისო საიარაღო გამოფენაზე Shot-Show 2008-ზე არნე ბობერგის შექმნილმა პატარა კერძო ფირ-



ხ 180




Ruger SR9C-ს (ბ) სიგრძე 174 მმ-ია, მაგრამ მისი ლულის სიგრძე მხოლოდ 89 მმ მაშინ, როდესაც 129 მმ სიგრძის Boberg XR9-S-ს (ა) 86 მმ სიგრძის ლულა აქვს




მა Boberg Engineering-მა წარადგინა კომპაქტური პისტოლეტი Boberg XR9, რომლის ნასროლი ჩვეულებრივი 9 მმ-იანი „ლუგერის" ტყვია უფრო მეტ ხის შრეს ხვრეტდა, ვიდრე იმავე ზომის კომპაქტური პისტოლეტი Kahr PM9-ა. ეს კი იმით იყო გამოწვეული, რომ 136 მმ საერთო სიგრძის Kahr PM9-ის ლულის სიგრძე მხოლოდ 76 მმ იყო მაშინ, როდესაც 147 მმ სიგრძის XR9-ს 107 მმ სიგრძის ლულა ჰქონდა.



კომპაქტურ პისტოლეტებში ყველაზე გრძელლულიანი Boberg XR9-ს ჭრილი, სადაც ჩანს მჭიდიდან ვაზნის ამომღები U-ს მაგვარი ფორმის მექანიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენი დოსიე:** ამერიკული კომპაქტური პისტოლეტი Boberg XR9-ა 555 გრამს იწონის, მისი სიგრძე 147 მმ-ია, ლულის სიგრძე კი — 107 მმ. მჭიდში „ლუგერის“ 9 მმ-იანი 7 ვაზნა ჩადის.



Boberg XR9-ს არასრული დაშლა

მოგვიანებით ბობერგმა კიდევ უფრო შეამცირა ისედაც კომპაქტური XR9-ს ზომა და ახალი დამოკლებული XR9-S-ის სიგრძე მხოლოდ 129 მმ გახდა. ლულის სიგრძემაც დაიკლო 86 მმ-მდე, მაგრამ იგი მაინც უფრო გრძელია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კომპაქტურ პისტოლეტად აღიარებულ 155 მმ სიგრძის საბჭოთა ПСМ-ზე, რომელსაც მხოლოდ 85 მმ სიგრძის ლულა აქვს.

მაინც როგორ მოახერხა უცნობმა ამერიკელმა მეიარაღემ კომპაქტურ პისტოლეტში შედარებით გრძელი ლულის განთავსება?

პისტოლეტებში, როგორც წესი, ლულის ბოლო, საიდანაც ლულაში ვაზნის თავი შედის, პისტოლეტის ტარში მოთავსებული მჭიდის წინ არის განთავსებული, რათა ვაზნა უპრობლემოდ მიეწოდოს. მეიარაღე ბობერგმა კი ლულის ბოლო მჭიდის თავზე განათავსა, რითაც ადგილი მოიგო და ლულა სხვა კომპაქტურ პისტოლეტებთან შედარებით 20-30 მმ-ით დააგრძელა. ამ ეშმაკურმა მიგნებამ სამაგიეროდ ვაზნის მიწოდების სქემა გაართულა და იგი ორსაფეხურიანი გახადა. სპეციალური მექანიზმი ვაზნას მჭიდიდან ლულის საპირისპირო მხარეს იღებს და მხოლოდ შემდეგ გზავნის ლულაში.

ასეთი მექანიზმი ჯერ კიდევ საუკუნის წინ გამოიყენეს ბრიტანულ პისტოლეტ Mars-ში, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს იგივე გაიმეორა უკრაინელმა ინჟინერმა შევჩენკომ თავისი ორიგინალური დიზაინის პისტოლეტში. მიჩნეულია, რომ ამგვარი კონსტრუქციის გამოყენება მომგებიანია მხოლოდ კომპაქტურ პისტოლეტებში, რომელთა ტარება ჯიბით მალულადაა საჭირო, რადგან საარმიო პისტოლეტებში მეიარაღეები უბრალოდ დააგრძელებდნენ ლულას.

*ირაკლი ალადაშვილი*




საარმიო პისტოლეტთან შედარებით ბობერგის ჯიბის პისტოლეტი მართლაც რომ მინიატურულად გამოიყურება

**არსენალი**

ISSN 1987 - 5061
9 771987 506007




# XR9-S BOBER

F1557
2012